რუსუდან ბერიძე

კერძო რეპეტიტორობის ფენომენის გამომწვევი ფაქტორები საქართველოში

ნაშრომი წარმოდგენილია განათლების მეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა ტაბატაძე

ასოცირებული პროფესორი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

ივლისი, 2019

საავტორო უფლება © რუსუდან ბერიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით რუსუდან ბერიძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: "კერძო რეპეტიტორობის ფენომენის გამომწვევი ფაქტორები საქართველოში" და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: _____

თანახელმძღვანელი: _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2019 წელი

ავტორი: რუსუდან ბერიძე

დასახელება: კერძო რეპეტიტორობის ფენომენის გამომწვევი ფაქტორები საქართველოში.

ფაკულტეტი : ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი

თარიღი: ___/___/___

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

_____

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის

მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში გარემო განსაკუთრებით კონკურენტულია, სწორედ ამიტომ თითოეული ადამიანისთვის უმაღლესი დონის განათლების მიღება პრიორიტეტული გახდა. აქედან გამომდინარე, ადამიანები სხვადასხვა გზებით ცდილობენ მიიღონ ისეთი განათლება, რომ სამუშაო ბაზარზე ღირსეული და კონკურენტუნარიანი კანდიდატები იყვნენ. ადრეულ ასაკში ყოველივე ამაში, მშობლებიც აქტიურად არიან ჩართული და ხშირ შემთხვევაში, შვილები დამატებით დაჰყავთ მოსამზადებლად სხვადასხვა საგნის მასწავლებელთან, რეპეტიტორთან. ეს უკანასკნელი ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა მთელ მსოფლიოში.

ბოლო პერიოდში, საქართველოში, რეპეტიტორობის ფენომენი და მასთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში „რეპეტიტორების ბუმია“, ძნელად თუ ნახავ მოსწავლეს, რომელიც რამდენიმე საგანში დამატებით არ ემზადება. რეპეტიტორთან სიარული ერთგვარ აუცილებლობადაა ქცეული და ძალიან პოპულარულია.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია კერძო რეპეტიტორის ფენომენი საქართველოში. კვლევის მიზანია, აღნიშნული ფენომენის სიღრმისეული შესწავლა და იმ ფაქტორებისა თუ მიზეზების იდენტიფიცირება, რაც განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის არსებობასა და მისი გავრცელების ფართო მასშტაბებს. ნაშრომი ფოკუსირებულია, განსაზღვროს

მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების მოტივები, რომელიც ხელს უწყობს რეპეტიტორის ინსტიტუტის პოპულარობას.

კვლევა აღწერს, რეპეტიტორის ფენომენის გავლენას ფორმალურ განათლებაზე. კვლევაში მონაწილე, დაინტერესებული მხარეებიდან, მიღებული თვისებრივი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ რეპეტიტორების ფენომენი ფორმალური განათლების პარალელურად არსებობს, „ჩრდილოვანი განათლების“ სახით და განათლების მიღების დამხმარე საშუალებას წარმოადგენს, ამასთანავე დიდ გავლენას ახდენს ძირითად განათლების სისტემაზე. რეპეტიტორის ინსტიტუტის არსებობას, რამდენიმე ფუნდამენტური მიზეზი განაპირობებს. ერთის მხრივ, რეპეტიტორების მოტივატორი ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და მასწავლებლის დაბალი ხელფასებია, ხოლო მეორე მხრივ, გამოცდების არსებული სისტემა და უნივერსიტეტში მოხვედრის სურვილი.

კვლევამ ასევე, ცხადყო, რომ ქვეყანაში არ არსებობს საკითხის მიმართ რაიმე თანმიმდევრული პოლიტიკა ან ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებდა და კანონიერ ფარგლებში მოაქცევდა რეპეტიტორის ფენომენს.

კვლევის მიგნებების მიხედვით შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს, რომ რეპეტიტორობა გარკვეულ რეგულაციებს დაექვემდებაროს, რაც შეამცირებს მის უარყოფით მხარეებს.

კვლევის შედეგები მნიშნელოვანი და გასათვალისწინებელია განათლების მკვლევარებისა და განათლების სამინისტროსთვის, განათლების პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

Resume

The modern world is very competitive that's why the high education level became a priority for each person. Therefore, people are trying to get a good education from various sources, to become worthy and highly required workforce. Parents actively included in all this, and in most cases children are sent to personal tutors which is widespread and popular practice around the world.

In recent years a phenomenon of tutors and the questions connected with it are especially relevant in Georgia. It can be easily said that there is "boom of tutors in Georgia" it's difficult to find pupil, who does not prepare in several subjects, preparation with tutor became very popular necessity.

Following article discusses the private tutor phenomenon in Georgia. The objective of the research is to study the following phenomenon and identify factors and reasons which caused importance, existence and wide spreading of Institute of tutoring. Research is focused on motives of teachers, pupils and parents which promote popularity of institute of tutors.

The research also describes influence of a phenomenon of the tutor on formal education. Based on the analysis of the data obtained from participants of research, showed that the phenomenon of tutoring exists with a formal education as an "Educational Shadow", it presents itself as an educational assistant and has a huge influence on the educational system, also there are several fundamental reasons

which caused existence of institute of tutors. On the one hand, the economic situation in the country and low salary of teachers, and on the other hand, existing examination system and desire of entering the university are the main roots of the tutoring system.

Also research shows that there is no official consistent policy which could regulate and lawsuit the tutoring phenomenon.

On the basis of results of researches were developed recommendations which will help to adjust certain rules for tutors for reducing its negative sides.

Results of a research are important and have to be considered by the Ministry of Education to develop further educational policy.

შინაარსი

შესავალი 1

თავი I. კერძო რეპეტიტორობა - ზოგადი მიმოხილვა 6

თავი II. კერძო რეპეტიტორობის ფენომენი: საერთაშორისო ვითარება 13

თავი III. კერძო რეპეტიტორობის ფენომენი: საქართველოში არსებული სიტუაცია 20

თავი IV. ლიტერატურის მიმოხილვა 23

თავი V. კვლევის მიზანი და ამოცანები 27

თავი VI. კვლევის მეთოდოლოგია 30

კვლევის შედეგების ანალიზი 31

დასკვნა 38

რეკომენდაციები 42

გამოყენებული ლიტერატურა 43

დანართები 45

შესავალი

განათლება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ის გასაზღვრას, როგორც ჩვენს პირად წარმატებას, ისე ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. სწორედ, განათლების დონე განაპირობებს მოქალაქეების ცხოვრების სტანდარტს, ხოლო ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლება კი განსაზღვრავს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესს.

ხარისხიანი განათლების მიზანს, საზოგადოებაში განათლების დონის გაზრდა, სოციალური ინტეგრაცია და მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება წარმოადგენს. თუმცა, თვითონ განათლების ხარისხი კომპლექსური ტერმინია (Napier, 2014, p. 12). ხარისხიან განათლებაში შეიძლება ვიგულისხმოთ, სწავლის, სასწავლო გარემოსა და ზოგადად ცხოვრების ხარისხი. ასევე, სტუდენტების, პედაგოგების და პედაგოგიური პრაქტიკის ეფექტურობის ხარისხი.

განათლების სისტემაში კერძო სწავლების ფენომენი, წინა პლანზე, განსაკუთრებით XX საუკუნის 90-იანი წლებიდან წამოიწია (ბრეგვაძე, 2012), რომელიც დღემდე მსოფლიო მასშტაბითაა აღიარებული. კერძო სწავლებას, როგორც განათლების მიღების დამატებით საშუალებას, იცნობს ყველა ქვეყანა და საზოგადოება.

მაინც, რას წარმოადგენს კერძო სწავლების ფენომენი? კერძო სწავლება, ეს არის აკადემიური საგნების სწავლების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების დამატებით მომზადებას სასკოლო საგნებში, საფასურის სანაცვლოდ (რევაზ აფხაზავა, 2011, გვ. 3).

დღესდღეობით, კერძო რეპეტიტორობის ფენომენი ბევრი განვითარებადი და განვითარებული ქვეყნის განათლების სისტემის

ძირითადი კომპონენტია. თუმცა, განათლების პოლიტიკის კრიტიკოსები, ძალიან იშვიათად აღიარებენ მას, როგორც განათლების შემადგენელ ნაწილს.

აღსანიშნავია, ასევე, რომ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ინტენსიობითა და ფორმითაა გავრცელებული. თუმცა, ყველა მათგანში კერძო დამატებითი სწავლება წარმოადგენს განათლების სისტემის „ჩრდილს“ ანუ ე.წ. „ჩრდილოვან განათლებას“, სწორედ ამ სახელით არის ცნობილი კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტი შედარებითი განათლების დისკურსში. მეტაფორის „ჩრდილოვანი განათლება“, ავტორი, მარკ ბრეი, თავის ერთ-ერთ პირველ ნაშრომში ფენომენის შესახებ აღნიშნავს, რომ კერძო რეპეტიტირობის, როგორც ფორმალური განათლების ჩრდილის კონტურები გაცილებით უფრო ბუნდოვანია, ვიდრე თვითონ განათლების სისტემა (ბრეგვაძე, 2012, გვ. 9).

კერძო რეპეტიტორობა, თავის მხრივ, ზემოქმედებას ახდენს განათლების პროცესებზე. თუმცა „ჩვეულებრივი ჩრდილისგან განსხვავებით, მას შეუძლია შეცვალოს საგანი, რომელსაც ირეკლავს“ (ბრეი, 2009, p. 16). სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული შედეგების მიხედვით, კერძო რეპეტიტორობის ფენომენს, შეუძლია, როგორც დადებითი, ისე ნეგატიური გავლენის მოხდენა განათლების სისტემაზე. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იგი აუმჯობესებს სწავლების შედეგებს, მოსწავლეთა აღმავალი მობილობის მაჩვენებლებს და ზრდის ადამიანურ კაპიტალს. ფენომენის ყველაზე თვალსაჩინო ნეგატიური ეფექტი კი უთანასწორობაა, რომელსაც აღრმავებს ფორმალური განათლების სისტემაში.

მაშინ, როდესაც ფორმალური, ზოგადი, განათლების ხარისხი არ შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს, კერძო რეპეტიტორობა ჩამნაცვლებელ ფუნქციას ასრულებს, ხოლო, როდესაც ამ სერვისისადმი წვდომა შეზღუდულია ფინანსური თუ სხვა სტრუქტურული მიზეზების გამო,

აგრეთვე იზღუდება წვდომა ხარისხიან საგანმანათლებლო შედეგებზეც, რაც ფენებს შორის უთანასწორობის ნათელი გამოხატულებაა (ბრეგვაძე, 2012, გვ. 16).

კერძო სწავლება, როგორც ინსტიტუტი საუკუნეებია არსებობს და სავარაუდოდ მომავალშიც იარსებებს, თუმცა განსაკუთრებით პოპულარული და აქტუალური XX საუკუნის 90 წლებიდან გახდა. თუმცა, დღესდღეობით, კერძო რეპეტიტორის ფენომენის არსებობა პრობლემატური და საგანგაშოა, რადგან ყოველდღიურად უფრო და უფრო სტრუქტურირდება და იზრდება მასზე მოთხოვნა.

კერძო სწავლება, ზოგიერთ ქვეყანაში, ერთგვარი ბიზნეს საქმიანობად არის ქცეული: ცენტრები და კომპანიები ადგილობრივ და მრავალენოვან დონეზე სთავაზობენ და ხელმძღვანელობენ კერძო გაკვეთილებს (Halsey Rogers, Hai-Anh Dang, 2008, p. 4).

ფენომენის ასეთი გააქტიურება განაპირობა თანამედროვე სამყაროში კონკურენციის და შეჯიბრებითობის მაღალმა დონემ, მშობლები სხვადასხვა გზით ცდილობენ, რომ მათმა შვილებმა მიიღონ მაღალი აკადემიური მოსწრება, რათა ჰქონდეთ უკეთესი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მომავალში. ხშირ შემთხვევაში მშობლების ამ ქცევას განაპირობებს მიმბაძველობა, სხვა მშობლების მიმართ.

კერძო რეპეტიტორის ფენომენი, ასევე აქტუალურია საქართველოშიც, დღესდღეობით საქართველოში თითქმის ყველა აბიტურიენტი მოსამზადებლად დადის სხვადასხვა საგნის რეპეტიტორთან. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეები რეპეტიტორთან მომზადებას, არა მხოლოდ აბიტურიენტობის პერიოდში, არამედ ადრეული ასაკიდან იწყებენ. ამ ფაქტს კიდევ უფრო ართულებს ის სიტუაცია, რომ კერძო მასწავლებლის მომსახურებით სარგებლობენ ის მასწავლებლებიც, ვინც კერძო სკოლაში

დადის, სადაც, წესით, სახელმწიფო სკოლებთან შედარებით უფრო მაღალია განათლების ხარისხი, რადგან საგნებს გაძლიერებულად ასწავლიან და უტარდებათ დამატებითი გაკვეთილები. შესაბამისად, მათ აღარ უნდა სჭირდებოდეთ კერძო მასწავლებელთან დამატებით მომზადება.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ხელმძღვანელი შალვა ტაბატაძე აღნიშნავს, რომ მართალია „ფარული განათლება“ სხვა ქვეყნებში ფართოდ არის გავრცელებული, თუმცა საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს პრობლემა. განათლების არსებული სისტემა სკოლას ფუნქციას უკარგავს და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებსაც, კი აიძულებს რეპეტიტორებთან სიარულს. კერძო რეპეტიტორის ფენომენის აქტუალობის განმაპირობებლად ის ასევე ასახელებს მისაღები გამოცდების არსებულ სისტემას, რადგან უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა ტესტების კარგად მომზადებაზეა დაფუძნებული, რაშიც კერძო მასწავლებელი ეხმარებათ (მათეშაშვილი, 2016). საინტერესოა, კიდევ რა ფაქტორები განსაზღრავს ინსტიტუტის არსებობას და მის ასეთ პოპულარობას მოსწავლეებსა და მის მშობლებს შორის.

აქედან გამომდინარე, ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა რეპეტიტორთა ინსტიტუტის სიღრმისეული შესწავლა და იმ მოტივების და ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც მის ასეთ აქტუალობას განაპირობებენ. კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, ინფორმაცია შევაგროვეთ სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით. ყოველივე ეს დაგვეხმარა, რომ შეგვესწავლა, თუ რა ფაქტორები განაპირობებს რეპეტიტორების ინსტიტუტის არსებობას, ერთი მხრივ, თავად კერძო მასწავლებლებისთვის და მეორე მხრივ, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის.

ჩვენი კვლევის ობიექტები იყვნენ, როგორც მოსწავლეები და მათი მშობლები, რომლებიც კერძო მასწავლებელთან სისტემატურად ემზადებიან,

ასევე რეპეტიტორები, რომლებიც დამატებითი ფულის სანაცვლოდ ამზადებენ მოსწავლეებს, თუ აბიტურიენტებს, სხვადასხვა საგანში.

კვლევის საგანი კი საქართველოში რეპეტიტორის ისტიტუტის არსებობის გამომწვევი მიზეზები და ფაქტორებია, რაც უფრო და უფრო აქტუალურს ხდის აღნიშნულ საკითხს.

ნაშრომის სიახლეს, წარმოადგენს თემის სიღრმისეულად შესწავლა, რადგან დღემდე არსებული კვლევები ფენომენს შეისწავლიდნენ მხოლოდ რაოდენობრივი მახასიათებლებით. შესაბამისად, არ არის გამოკვეული თუ კონკრეტულად რა მიზეზები და მოტივები განაპირობებს ჩრდილოვანი განათლების ასეთ პოპულარობას საქართველოში.

თავი I. კერძო რეპეტიტორობა - ზოგადი მიმოხილვა

კერძო რეპეტიტორთა ინსტიტუტი ყოველთვის არსებობდა ძირითად საგანმანათლებლო სისტემასთან ერთად. კერძო სწავლება გულისხმობს დამატებით მეცადინეობას სასკოლო საგნებში საფასურის სანაცვლოდ, მაშინ, როდესაც ზოგადი განათლების დაწესებულებებში მოსწავლეები, აღნიშნულ საგნებში განათლებას უფასოდ იღებენ. კერძო სწავლება მსოფლიო მასშტაბის ფენომენია და განათლების სისტემის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, ჩრდილოვანი განათლების სახით.

კერძო სწავლება, რამდენიმე მახასიათებლით გამოირჩევა:

ერთის მხრივ, რეპეტიტორების საქმიანობა არ რეგულირდება კანონმდებლობით, ისინი ატარებენ არაფორმალურ გაკვეთილებს, საიდანაც იღებენ შემოსავალს, რომელიც არ/ვერ იბეგრება, რადგან მასწავლებლები ცდილობენ ყოველივე ეს ფარულად გააკეთონ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კერძო რეპეტიტორი ინსტიტუტის არსებობა ხელს უწყობს „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის განვითარებას.

მეორეს მხრივ, არც მოსწავლეები იქცევენ ყურადღებას, რადგან კერძო რეპეტიტორთან სიარულს, განიხილავენ უარყოფით კონტექსტში, რადგან რეპეტიტორთან სიარული ხაზს უსვამს ფენებს შორის უთანასწორობას და მოზარდთა გარკვეული ნაწილის რეპეტიტორთან სიარული სხვებს მათთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში აგდებს. გარდა ამისა, რეპეტიტორთან სიარული მოსწავლის მხრიდან გამოხატავს ერთგვარ უნდობლობას სკოლისა და მასწავლებლების მიმართ.

მოსწავლეების და რეპეტიტორების მსგავსად, მშობლებიც ცდილობენ, აღნიშნულზე ყურადღება არ გაამახვილონ, რადგან არ უნდათ სხვებისთვისაც ნათელი გახდეს მათი სკეპტიკური დამოკიდებულების შესახებ, ფორმალური

განათლების სისტემის მიმართ. გარდა ამისა, რეპეტიტორთან სიარული მათ შვილებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს, რაც უთანასწორობის და უსამართლობის გრძნობას აღვივებს (ბრეი, 2009, გვ. 21).

ბრეის თეორიიდან გამომდინარე, აუცილებელია უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ რეპეტიტორთა ინსტიტუტის დადებით და უარყოფით მხარეებზე. კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტს ბევრი დადებითი მხარე აქვს, მათ შორის: კერძო სწავლება ეხმარება იმ მოსწავლეებს, რომელთაც ინდივიდუალურად სჭირდებათ დამატებითი მეცადინეობა, რათა სხვებთან ერთად, თანაბარ პირობებში შეძლონ სწავლა. ასევე, ზოგიერთ მოსწავლეს ინდივიდუალურად სწავლება მოტივაციის ამაღლებაში ეხმარება. კერძო დამატებითი სწავლების, კიდევ ერთი დადებითი მახასიათებელი არის ის, რომ მოსწავლეებში ზრდის კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო ბაზარზე.

განვითარებად ქვეყნებში, სადაც პედაგოგთა ანაზღაურება დაბალია, კერძო რეპეტიტორთა ინსტიტუტის არსებობა არის ერთგვარი დამატებითი შემოსავლის წყარო. არსებობს სპეციალური სახელმწიფო თუ კერძო ე.წ მოსამზადებელი კურსები, სადაც დასაქმებულნი არიან პედაგოგები (Silova, 2006).

დადებით ფაქტორებში უნდა განვიხილოთ ასევე ზოგიერთ ქვეყანაში არსებული სისტემა, რომელიც თავად განსაზღვრავს საგანმანათლებლო დონეზე რეპეტიტორთა ინსტიტუტის არსებობას. მასწავლებლები, რომლებიც ისედაც პასუხისმგებელნი არიან თავიანთი მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებაზე, ატარებენ დამატებით გაკვეთილებს მოსწავლეებთან, რომლებსაც კარგად იცნობენ და შესაბამისად, მიზნის მიღწევა გაცილებით ადვილია. თუმცა, ამან შესაძლოა უარყოფითი შედეგებიც გამოიწვიოს, იმ შემთხვევაში თუ მასწავლებელი არაკეთილსინდისიერად მოიქცევა და გამიზნულად გამოტოვებს საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს კლასში

და ამას მხოლოდ დამატებითი გაკვეთილის ხარჯზე აანაზღაურებს, დამატებითი საზღაურის სანაცვლოდ.

რაც შეეხება უარყოფით ფაქტორებს, კერძო სწავლების ინსტიტუტი განაპირობებს სოციალური უთანასწორობის ზრდას სოციალურ ფენებს შორის, მდიდარ ოჯახებს უკეთესი განათლების მიღების საშუალებას აძლევს. რაც განაპირობებს არაჯანსაღ კონკურენციას და ურთიერთობას თანატოლებს შორის. მდიდარ ოჯახებს ხელი მიუწვდებათ უფრო უკეთესი ხარისხის კერძო გაკვეთილებზე, მაშინ როცა ღარიბი ოჯახის წევრებს აღნიშნულის შესაძლებლობა არ აქვთ, გამონაკლისებს წარმოადგენენ მთავრობის მიერ დაფინასებული ისეთი პროექტები, როგორიცაა „არც ერთი ჩამორჩენილი ბავშვი (ბრეი, 2009, გვ. 42)“ აშშ-ში, სადაც მთავრობა აფინანსებს მოსწავლეებს ღარიბი ოჯახებიდან, რომ მათ შეძლონ კერძო გაკვეთილებზე სიარული.

სოციალური უთანასწორობის კიდევ ერთი განზომილება ეხება სოფლის/ქალაქის განსხვავებას კერძო რეპეტიტორობის სახეებში. კერძო რეპეტიტორობა უფრო გავრცელებულია ქალაქებში, რაც განპირობებულია იმით, რომ ქალაქის მოსახლეობას უფრო მაღალი შემოსავლები აქვთ და მათ ფინანსურად ხელი მიუწვდებათ კერძო გაკვეთილებზე, ასევე ქალაქში არის მაღალი კონკურენტული გარემო, განათლება და კვალიფიკაცია უფრო მოთხოვნადია. ქალაქში არის უფრო მეტი მოსახლეობის რაოდენობა, შესაბამისად, კერძო რეპეტიტორთა ინსტიტუტებიც უფრო მრავლადაა წარმოდგენილი.

უფრო მეტად კი მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კერძო რეპეტიტორთა ინსტიტუტის არსებობამ შესაძლოა სასკოლო განათლების ნდობის ხარისხის ნაკლებობა გამოიწვიოს. როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების განხილვიდან ნათლად ჩანს, რომ მშობლები იძულებული ხდებიან გადაიხადონ კერძო მომზადების საფასური და იციან, რომ წინააღმდეგ

შემთხვევაში უფრო ძვირი დაუჯდებათ თავიანთი შვილების სწავლა. აცნობიერებენ რა მშობლები განათლების მნიშვნელობას, მაქსიმალურად, ცდილობენ თავიანთი შვილებისთვის შეარჩიონ საუკეთესო კერძო მასწავლებელი და გადაიხადონ ნებისმიერი თანხა, რომელიც ერთგვარი ინვესტიციაა - სამომავლოდ კარგი კარიერისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ რეპეტიტორთა ინსტიტუტი ერთგვარი ბიზნესია, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება მატერიალურ შესაძლებლობებს. არსებული განათლების სისტემის მდგომარეობაში, კარგი გონებრივი მონაცემების მქონე ბავშვი, რომელსაც ღარიბი მშობლები ჰყავს, შეიძლება მოხვდეს დაბალი ხარისხის უნივერსიტეტში, რადგან მას კერძო მასწავლებლებისათვის გადასახდელი ფული არ აქვს, ხოლო სკოლაში ვერ იღებს სათანადო განათლებას. აქედან გამომდინარე, უთანასწორობამ, კერძო გაკვეთილებზე სიარულის შესაძლებლობაში, შესაძლოა გამოიწვიოს ნიჭის არათანაბარი და არაეფექტური გადანაწილება.

განსაკუთრებულ პრობლემას ქმნის და რეაგირებას საჭიროებს ის შემთხვევებიც, როდესაც ძირითადი სკოლის მასწავლებლები, ძირითადი სასკოლო გაკვეთილების დროს განზრახ ამცირებენ სასწავლო პროგრამას, ნაკლებ დროს უთმობენ შესასწავლ საკითხებს, რათა მოსწავლეს აუცილებლად დასჭირდეს ამ საგნებში მომზადება და კერძო რეპეტიტორობაზე მოთხოვნა გაიზარდოს (ბრეი, 2009, p. 56).

ფაქტია, რეპეტიტორთა ინსტიტუტის არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც განათლების ხარისხზე, ისე მოსწავლის აკადემიურ წარამატებაზე და პედაგოგის პროფესიულ და მატერიალურ მდგომარეობაზე.

კერძო რეპეტიტორები მოსწავლეებს ეხმარებიან სწავლაში, რათა გაიზარდოს მათი გონებრივი და ადამიანური კაპიტალი, რაც თავის მხრივ

წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. გარდა ამისა, რეპეტიტორთა ინსტიტუტის არსებობას სოციალური ფუნქციაც აქვს რადგან ახალგაზრდებს ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობას აძლევს.

გარდა ამისა, მეორე მხრივ, რეპეტიტორებისთის კერძო სწავლება დამატებითი შემოსავლების წყაროა, რაც ჩვენი ტიპის ქვეყნებში, სადაც მასწავლებლის ხელფასი არაა მაღალი, ასევე, არის ბევრი სამსახურის მაძიებელი პირი, რომლებიც კერძო რეპეტიტორობით იღებენ შემოსავალს. კერძო გაკვეთილების ჩატარებით მიღებული შემოსავალი ნამდვილად ეხმარება მასწავლებლებს ყოველდღიური ხარჯების დასაფარად.

მართალია, კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტი, ძირითად განათლების სისტემის დამხმარე საშუალებაა, ის მოსწავლეებს ეხმარება იმ საგნების და პროგრამის ათვისებაში, რომელსაც სასკოლო გაკვეთილების ფორმატში ვერ სწავლობს და აუცილებელია დამატებითი მეცადინეობა, მაგრამ, მეორე მხრივ, მშობლებს უმსუბუქებს ბავშვის აღზრდის პროცესს და მათ ნაცვლად პროფესიონალი მასწავლებელი ეხმარება მათ შვილებს საგნების სწავლაში.

თუმცა, მიუხედავად დადებითი მხარეებისა, კერძო რეპეტიტორის ფენომენის არსებობას მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგებიც მოჰყვება, რადგან როგორც წესით, როგორც აღვნიშნეთ, ის საზოგადოებაში სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობას აღრმავებს. ასევე, თანამედროვე სამყაროში, მოსწავლეების ისედაც გადატვირთულ გრაფიკს კიდევ უფრო დაძაბულს და რთულს ხდის, ზღუდავს ბავშვების თავისუფალ დროს, რაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არ არის სასურველი და შესაძლებელია, უარყოფითად აისახოს ბავშვის გონებრივ შესაძლებლობაზე.

ბევრ ქვეყნაში, კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მახასიათებლების შერწყმა რთულ სურათს ქმნის. მიუხედავად საკითხის პრობლემატურობისა ძალიან ცოტა ქვეყანას აქვს პრობლემის

მოგვარების შესაბამისი მექანიზმი, ზოგიერთ ქვეყანაში უფრო მეტიც თავს არიდებენ ამ პრობლემაზე საუბარს და რაიმე გადაწყვეტილების მიღებას საკითხის მოსაგვარებლად, სახელმწიფოს მსგავსი ჩაურევლობის პოლიტიკა ცალკე პრობლემაა. სინამდვილეში, სახელმწიფო, განათლების პოლიტიკის ექსპერტები, შემოქმედები ვალდებულები არიან შეაფასონ რეპეტიტორთა ინსტიტუტის არსებობა, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები, და შემდგომ შესაბამისი ძალებით, ისე რომ არ მოხდეს არც მოსწავლეების და არც რეპეტიტორების უფლებების დარღვევა, აკონტროლონ და დაარეგულირონ საკითხი.

პუასონი და ოისონი აღნიშნავენ, რომ კერძო რეპეტიტორის ფენომენი, როგორც ასეთი არც კარგია და არც ცუდი, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ და რა პირობებში მიეწოდება ის საზოგადოებას, რაც გულისხმობს შემდეგს, ვინ სთავაზობს გაკვეთილებს: ისევ სკოლის მასწავლებლები, რომლებიც სკოლაშიც ასწავლიან და დამატებით ამეცადინებენ, კერძო რეპეტიტორები, რომლებიც მხოლოდ კერძო გაკვეთილებს ატარებენ და არ ასწავლიან სკოლებში თუ კერძო ცენტრები? მეორეს მხრივ, ვის სთავაზობენ მასწავლებლები გაკვეთილებს საკუთარ თუ სხვა მოსწავლეებს? კერძო რეპეტიტორობა არის ძირითადი სკოლის დამატებითი ნაწილი თუ რაიმე გზით ახდენს ძირითადი სისტემის კორუმპირებას? (პუასონი, ოისსონ 2007, გვ. 4) მხოლოდ ამ ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება ვისაუბროთ ფენომენის დადებით და უარყოფით მხარეებზე და სწორედ, მათი გათვალისწინებით უნდა მოხდეს სწორი პოლიტიკის შემუშავება კერძო რეპეტიტორის ფენომენის რეგულირებისათვის.

დღესდღეობით, თანამედროვე მსოფლიო რეპეტიტორობის ინსტიტუტის სხვადასხვა ფორმას ცნობს. მკვლევარებმა სიღრმისეულად შეისწავლეს აღნიშნული საკითხი და დაასკვნეს, რომ კერძო რეპეტიტორი ფორმა და

სახეობა ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იცვლება. მართალია, კერძო გაკვეთილები ძირითადად პირისპირი შეხვედრის სახეს ატარებს, თუმცა გაკვეთილები, ასვეე შეიძლება ჩატარდეს ტელეფონის ტელევიზორის და ინტერნეტის საშუალებით (კორეა, სამხრეთ აფრიკა) (ბრეი, 2009, გვ. 38).

კერძო რეპეტიტორთა ინსტიტუტის ჩამოყალიბება სხვადასხვა ქვეყანაში სხადასხვა ფაქტორით არის განპირობებული, ერთის მხრივ ეს არის: ფორმალური განათლების მიმართ უნდობლობა, განათლების სისტემის დაბალი ხარისხი, მოსწავლეებს სჭირდებათ დამატებითი გაკვეთილები პროგრამის ასათვისებლად, საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარების ან სასწავლო დაფინანსების მიღების სურვილი და ა.შ. ხოლო, მეორეს მხრივ, რეპეტიტორის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას განაპირობებს თვითონ მასწავლებლების დაბალი ხელფასი, რომლებიც დამატებით შემოსავალს ეძებენ, სამუშაოს მაძიებელთა დიდი რაოდენობა, კიდევ უფრო მოხერხებული გრაფიკი და ა.შ.

თავი II. კერძო რეპეტიტორობის ფენომენი: საერთაშორისო ვითარება

კერძოდ მომზადების პრაქტიკა ბევრ ქვეყანაში (ძირითადად, აზიის ქვეყნებში) საუკუნეების განმავლობაში არსებობდა, თუმცა, კერძო რეპეტიტორობა, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის ფენომენი, საგანმანათლებლო დისკურსში, დაახლოებით წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდება.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით შესამჩნევია ტენდენცია, რომ კერძო რეპეტიტორის ფენომენის ფარგლები დღითდღე იზრდება, კერძო სწავლების ფენომენს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც მსოფლიოს „მეგატრენდს“ (ბრეგვაძე, 2012, გვ. 7).

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, კერძო რეპეტიტორის ფენომენი ქვეყნებში სხვადასხვა სახით გვხვდება. მარკ ბრეი, ევროპაში გამოყოფოს „ჩრდილოვანი“ განათლების ფორმისა და გავრცელების 4 ჯგუფს:

1) სამხრეთ ევროპაში კერძო სწავლების მაღალი მაჩვენებელია. საბერძნეთში, კვიპროსში და მალტაში დამატებითი სწავლება რამდენიმე 10-ეული წელია მიღებულია ჩვეულებრივი ოჯახური ცხოვრების ნაწილად, განსაკუთებით მეორე საფეხურის სტუდენტებისათვის.

2) აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანზაქციის დროს, გვიან 1980 და ადრეულ 1990-იან წლებში, კერძო სწავლება შეზღუდული იყო. თუმცა ტრანზაქციის პერიოდის დასრულების შემდეგ ჩრდილოვანმა სწავლებამ ამ ქვეყნებშიც დაიწყო გავრცელება. ეკონომიკური რესტრუქტირების დროს მასწავლებლების ხელფასი დაიწია, სწორედ ამიტომ, ბევრმა მასწავლებელმა დამატებით სწავლება აქცია გზად, რომ დამატებითი შემოსავალი მიეღოთ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ

ქვეყანაში მასწავლებლების ხელფასი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მოსწავლეების დამატებით მეცადინეობებზე მიღების პრაქტიკა დღემდე შემორჩენილია.

3) დასავლეთ ევროპაში ასევე ხანგრძლივი ტრადიციაა კერძო სწავლების, თუმცა გაცილებით მცირე მასშტაბის ვიდრე სხვა ქვეყნებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი საუკუნის დასაწყისიდან კერძო სწავლების მასშტაბი საკმაოდ გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო საზოგადოებაში კონკურენციის გაზრდით, შრომისა და უნარ-ჩვევების მობილურობის კონტექსტში. ყოველივე ეს წარმოადგენდა განათლების მარკეტიზაციის ნაწილს, რომელიც სოციალურად უფრო მისაღები გახდა.

4) ჩრდილოეთ ევროპაში ყველაზე გვიან დაიწყო კერძო სწავლების ინსტიტუტმა ზრდა. სკანდინავია ინარჩუნებს სკოლის ძლიერ ტრადიციებს და მოსწავლეების მოთხოვნებს თუ საჭიროებებს სკოლაშივე ადეკვატურად პასუხობს. მართალია, სკანდინავიაში სტუდენტებს უტარდებათ დამატებითი გაკვეთილები, როგორც დაბალი მოსწრების მოსწავლეებისთვის, რომ გაუთანაბრდნენ თანატოლებს, ისე მაღალი მიღწევის მოსწავლეებს, რომ შეინარჩუნონ მოსწრება, თუმცა ისინი ამ ყველაფერს იღებენ საჯარო სკოლის სწავლების ფარგლებში და არა პარალელური სისტემებით“ (Askec, 2012).

კერძო რეპეტიტორის ფენომენის ფორმას, სახეს, სიხშირეს და ინტენსივობას განაპირობებს ქვეყნის კულტურული და სოციალური მახასიათებლები, რომელიც ასევე განსაზღვრავს ზოგადად ფენომენის არსებობას ქვეყანაში.

განათლების სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდება, განსხვავებულია ქვეყნის პოლიტიკა კერძო სწავლების მიმართაც, მაგალითად, ავსტრალიაში, ინგლისში, საფრანგეთში, სინგაპურსა და აშშ-ში ცდილობდნენ ეპოვათ, გზები, რომელიც კერძო სწავლებაზე მოთხოვნას გაზრდიდა. მეორე მხრივ, ბევრ

ქვეყანაში, კორეაში, მავრიკში, კამბოჯაში, ეგვიპტეში, კენიაში, თურქეთში და ა.შ. მთავარი მიზანს ამ ფენომენის შემცირება ან თუნდაც აკრძალვა წარმოადგენს. ხოლო ზოგიერთი ქვეყანა ფენომენის კონტროლისა და დარეგულირებისათვის, სისტემატურად ატარებს სხვადასხვა სახელმწიფო რეგულაციებს, მაგალითად ლიტვა, მათგან ყველაზე სტრუქტურირებული სისტემით გამოირჩევა, მსგავსს სისტემას იყენებენ ასევე: ყაზახეთი, მონღოლეთი, სლოვაკეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა და ა.შ. არსებობს ისეთი ქვეყნებიც, სადაც არ არსებობს რაიმე სპეციალური წესი, ან არის ორაზროვანი და გაურკვევლი რეგულაციები (Askec, 2012, p. 4).

ქვეყნები, სადაც კერძო რეპეტიტორების ინსტიტუტი რეგულირებადია, ამას შემდეგი გზებით ახორციელებენ: მასწავლებლებს აკრძალული აქვთ თავიანთი მოსწავლეების კერძოდ მომზადება; ასევე შექმნილია კერძო სწავლების მომსახურების მიმწოდებლების სარეგისტრაციო სისტემები, რათა გაკონტროლდეს რეპეტიტორების საქმიანობა და მათაც გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადები. კიდევ უფრო მეტი ეს ქვეყნები ხელს უწყობენ კერძო რეპეტიტორების ინსტიტუტის პოპულარიზაციას, ახორციელებენ სუბსიდირებას და რეპეტიტორებს სთავაზობენ სასწავლო კურსებს პროფესიული განვითარებისთვის. ასევე, მოსწავლეთა ნაწილს ხელს უწყობენ, რომ ისარგებლონ კერძო რეპეტიტორის მომსახურებით. აღსანიშნავია, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული პოლიტიკა „არც ერთი ბავშვი განათლების გარეშე“, რომლიც ითვალისწინებს კერძო რეპეტიტორის დახმარებას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც სტანდარტულ ტესტებში დაბალ ქულას იღებენ (რევაზ აფხაზავა, 2011, p. 5).

კიდევ, ერთი ქვეყანა, სადაც რეპეტიტორის ფენომენი რეგულირდება კანონის მიერ არის ლიტვა, სადაც განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს კერძო რეპეტიტორის ფენომენს და რეპეტიტორებს ავალდებულებს დარეგისტრირდნენ საერთო სისტემაში.

ლიტვაში რეპეტიტორებისთვის დადგენილია კონკრეტული მოთხოვნები, კერძოდ ისინი რეპეტიტორებს ავალდებულებდნენ: მასწავლებლის ეთიკის კოდექსის დაცვას, მოსწავლეების უსაფრთხოების დაცვას და სწავლებისთვის შესაფერისი ადგილის/გარემოს შერჩევას. ლიტვაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სკოლის მასწავლებელი შესაძლებელია პარალელურად იყოს რეპეტიტორი და ატარებდეს კერძო გაკვეთილებს, თუმცა ამ შემთხვევაში, მათ აკრძალული აქვთ საკუთარი მოსწავლეების დამატებით მეცადინეობა (ბრეი, 2009, p. 133). ამ უკანასკნელი რეგულაციის მიზანია, თავიდან აიცილოს მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესისადმი გულგრილი მიდგომა და ბავშვებისთვის მოწოდება, რომ დამატებითი გაკვეთილები ესაჭიროებათ.

საინტერესოა, რეპეტიტორის ინსტიტუტის ფორმა აღმოსავლეთ აზიაში, სადაც ამ უკანასკნელის მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა არსებობს. აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, როგორიცაა იაპონია, ჰონგ კონგი, კორეა და ტაივანი, რეპეტიტორობა მნიშვნელოვან საქმიანობად ითვლება და კულტურაში ღრმადაა გამჯდარი, რაც ნაწილობრივ კონფუციანური ტრადიციებით შეიძლება აიხსნას, რომლის მთავარი კრედო განათლება და შრომის მოყვარეობაა (ბრეი, 2009, p. 34). ეს ქვეყნები ერთი ძირითადი მახასიათებლით გამოირჩევიან, ამ ქვეყნებში, კერძო რეპეტიტორის მომსახურებით, როგორც წესი უფრო ხშირად სარგებლობენ მაღალი მოსწრების მქონდე მოსწავლეები, ვიდრე დაბალი მოსწრების მოსწავლეები. აქედან გამომდინარე, კერძო რეპეტიტორთან მომზადება პირადაპირ არ უკავშირდება და არ გულისხმობს მოსწავლეების სტიგმატიზაციას, რომ ისინი ვერ ახერხებენ საგაკვეთილო პროცესისას საგნების ათვისებას, როგორც სხვა ქვეყნებში ხშირად ხდება. (სპორტის სამინისტრო, 2008 მითითებულია Bray, 2009).

როგორც აღვნიშნეთ, კერძო რეპეტიტორის ფენომენის პრაქტიკის ფორმა ქვეყნებს შორის განსხვავებულია, აღმოსავლეთ აზიაში არსებული პრაქტიკა და სახე განვიხილოთ იაპონიის მაგალითზე, სადაც კერძო რეპეტიტორთან მომზადება სარეპეტიტორო სკოლებში, ე.წ. juku-ში ხდება, სადაც მეცადინეობები ტარდება ჯგუფებში და არა ინდივდუალურად. აღსანიშნავია ისიც, რომ სარეპიტიტორო სკოლებში პირველკლასელთა მხოლოდ 15.9% დადის, თუმცა საშუალო საფეხურის მოსწავლეებში ეს მაჩვენებელი 65.2%-მდე იზრდება. (იაპონიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2008 წ., მითითებულია Bray, 2009).

რაც შეეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპას, ამ ქვეყნებში 1990-იან წლებამდე რეპეტიტორთა ინსტიტუტი დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა, მაგრამ პერესტროიკის, ეკონომიკური გარდაქმნის შემდეგ, ფენომენმა ფართოდ დაიწყო გავრცელება საზოგადოებაში, რადგან შემცირდა მასწავლებლების ხელფასი და ისინი იძლებული გახდნენ, კერძო გაკვეთილების ჩატარებით დამატებითი შემოსავალი მიეღოთ. ეს იყო ერთადერთი გზა, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა არ აღმოჩენილიყვნენ. ამ ქვეყნებში, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებისგან განსხავავებით, ნებისმიერი აკადემიური მოსწრების მოსწავლე შეიძლება დადიოდეს რეპეტიტორთან (ბრეი, 2009, p. 34).

ყოფილი საბჭოთა კაშირის ქვეყნების უმრავლესობის მსგავსად, აფრიკაში კერძო რეპეტიტორის მომსახურების გაწევა ნაწილობრივ განპირობებულია პედაგოგების დაბალი ხელფასით და მათზე ზედამხედველობის დაბალი დონით. მასწავლებლებმა გააცნობიერეს, რომ კერძო გაკვეთილების ჩატარება იყო შემოსავლის პოვნის შესაძლებლობა ანგარიშვალდებულებების და ზედამხედველობის არ არსებობის პირობებში (რევაზ აფხაზავა, 2011, pp. 4-5). შესაბამისად, ბუნებრივია, რომ აფრიკის

ქვეყნებში კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის მასშტაბები მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

დასავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და ავსტრალიაში, რეპეტიტორთა ინსტიტუტის მასშტაბები, გაცილებით მცირეა, ვიდრე აღმოსავლეთ აზიასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. საერთოდ, ფენომენის არსებობას და მასზე მოთხოვნას განაპირობებს სკოლებს შორის კონკურენციის გაზრდა, მშობლებმა დაინახეს, რომ რეპეტიტორებში ფულის ინვესტირებით შეეძლოთ დადებითი შედეგის მიღება. მათგან ზოგიერთმა ქვეყანამ წაახალისა კიდეც რეპეტიტორობის ინსტიტუტი, რადგან თვლიდნენ, რომ კერძო სწავლება დაბალი მოსწავლეების დახმარების საშუალება იყო (ბრეი, 2009, p. 34).

საინტერესოა, საფრანგეთში არსებული პრაქტიკა, სადაც რეპეტიტორების ინდუსტრიის მართვას ახორციელებს არა მხოლოდ სოციო-ეკონომიკური ძალები, არამედ სამთავრობო ინიციატივები. ეს გულისხმობს შემდეგს, რომ ოჯახები, რომლებიც ფულად ინვესტიციას ჩადებენ რეპეტიტორებში, სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით. მთავრობის მსგავსი მცდელობები მიმართულია განათლების დონის ამაღლებისკენ, რისთვისაც მშობლებთან ერთად იზიარებენ ფინანსურ ტვირთს (ბრეი, 2009, pp. 55-56).

ჩრდილოეთ ამერიკაში, რეპეტიტორის ინსტიტუტზე ნაკლებ მოთხოვნილებას და პოპულარობას კარგად ასახავს კანადაში ჩატარებული კვლევა. კვლევის ფარგლებში 501 ოჯახთან ჩაატარეს სატელეფონო გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც კვლევის ჩატარების მომენტისთვის, მხოლოდ 9,4% იხდიდა კერძო რეპეტიტორის მომსახურებისთვის საფასურს, ხოლო 8,4%-ს წარსულში ჰქონდა გადახდილი ეს თანხა (რევაზ აფხაზავა, 2011, pp. 4-5).

რეპეტიტორულ საქმიანობას ხშირად განიხილავენ, როგორც კორუფციას, ამიტომ ბევრი ქვეყანა ცდილობდა რეპეტიტორობის ინსტიტუტის აკრძალვას. თუმცა, დღემდე განხორციელებული ყველა მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. წარუმატებლობის მიზეზები ქვეყნებში განსხვავებულია. მაგალითად, კამბოჯასა და მიანმარში, კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის აკრძალვა წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან მთავრობას არ ჰქონდა აკრძალვის აღსრულების შესაძლებლობა, ხოლო კორეასა და მარიკიაში, აკრძალვის პოლიტიკამ ვერ გაამართლა, რადგან მას მასწავლებლებმა, მშობლებმა და მოსწავლეებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ რეპეტიტორობის ფენომენი ევროპიდან აღმოსავლეთ აზიამდე ვრცელდება და მათ კულტურებში ფესვები ღრმად აქვთ გამდგარი. თუმცა მეოცე საუკუნის 90-იან წლებამდე ფენომენის გავრცელების მასშტაბები მცირე იყო, ხოლო დღესდღეობით მზარდი ტენდენციით ხასიათდება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რეპეტიტორების ინსტიტუტი რეგიონების და ქვეყნების დონეზე ერთმანეთისგან განსხვავებულია, ზოგიერთ ქვეყანაში სამთავრობო პოლიტიკა მაქსიმალურად არეგულირებს აღნიშნულს და ხშირად ხელსაც კი უწყობენ მის პოპულარიზაციას, მეორე მხრივ არის ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ არც კი შეიმჩნიონ რეპეტიტორების გავლენა განათლების სისტემაზე.

ასევე, განსხვავებულია ფაქტორები, რომლებიც ქვეყნებში ამ ტენდენციის ზრდას იწვევს, მაგალითად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ამას ძირითადად სკოლის მასწავლებლების არაადეკვატურად დაბალი ხელფასები განაპირობებს, რომლებსაც ოჯახების სარჩენად აუცილებლად ესაჭიროებათ დამატებითი შემოსავალის წყაროს პოვნა. ხოლო ამის საპირისპიროდ, აზიის ქვეყნებში რეპეტიტორების ინსტიტუტის მამაძრავებელი ძალა ქვეყნებში არსებული უაღრესად კონკურენტული

გარემოა. ხოლო აშშ-ში და დასავლეთ ევროპაში, რეპეტიტორების ინსტიტუტის არსებობა შეიძლება ითქვას სამთავრობო ინიციატივების შედეგია, ამ გზით ცდილობენ, რომ დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს შედეგების გაუჯობესებაში დაეხმარონ და სკოლებში გარემო უფრო კონკურენტული გახდეს.

თავი III. კერძო რეპეტიტორობის ფენომენი: საქართველოში არსებული სიტუაცია

საქართველოში კერძო რეპეტიტორობის ინსტიტუტი საბჭოთა პერიოდიდან იღებს სათავეს, იმ დროს კერძო რეპეტიტორობის მომსახურებით ყველაზე ხშირად სარგებლობდნენ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდებისათვის მოსამზადებლად (რევაზ აფხაზავა, 2011, გვ. 6). მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდისთვის კერძო რეპეტიტორების მომსახურებასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ რეპეტიტორობის პრაქტიკა არ იყო ფართოდ გავრცელებული ფენომენი, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა მისი გავრცელების ხელის შეშლას, რადგან რეპეტიტორის ინსტიტუტი, არათანასწორ პოზიციაში აყენებდა ადამიანებს და კლასობრივ განსხვავებას უსვამდა ხაზს. მიუხედავად, ამ რეგულაციისა დამატებითი სწავლებით მაინც შეეძლოთ ესარგებლათ ელიტის წარმომადგენლებს (რევაზ აფხაზავა, 2011, p. 6).

როგორც სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, საქართველოშიც კერძო რეპეტიტორობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, რაც განპირობებული იყო, ერთის მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლით და შეზღუდვის მოხსნით და მეორეს მხრივ, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, რაც ყველა ადამიანის მატერიალურ მდგომარეობაზე საგრძნობლად აისახა.

ქართული საზოგადოება, ისტორიულად, მისი სიმცირიდან და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის ორიენტირებული იყო განათლების ხარისხზე. საზოგადოება ხედავდა სკოლის ნაკლოვანებებს და მიუხედავად, ეკონომიკური სიდუხჭირისა, მაინც მიმართავდნენ რეპეტიტორებს დამატებითი გაკვეთილებისათვის, რაც მოსწავლეთა მიღწევებს მცირედით მაინც ზრდიდა (ქეთევან ჭკუასელი, 2014, გვ. 270).

საქართველოში კერძო რეპეტიტორის მომსახურება ფართო არის გავრცელებული, არსებობს ფაქტები, რომ აღნიშნულ ფენომენს პოტენციურად სერიოზული უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია განათლების სისტემაზე. თუმცა, მიუხედავად ამ გამოწვევებისა, სახელმწიფოს არ გააჩნია თანმიმდევრული პოლიტიკა აღნიშნულთან დაკავშირებით და განათლების სისტემა არასათანადო რეაგირების წინაშე დგას.

თუმცა აღსანიშნავია, რომ 2010 წელს დაიწყო მასწავლებლის ეთიკის კოდექსში ცვლილებების შეტანა, რომელმაც გარკვეული შეზღუდვები დაუწესა სკოლის მასწავლებლებს, რეგულაცია მდგომარეობს შემდგომში, რომ სკოლის მასწავლებელს არ აქვს უფლება დამატებით ამეცადინოს თავისივე მოსწავლე ანაზღაურების სანაცვლოდ, ასევე აკრძალულია სკოლის ტერიტორიაზე დამატებითი გაკვეთილების ჩატარება, თუ ამისთვის გარკვეული საფასურია დაწესებული (მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, 2010).

თუმცა, ცალკე საკითხია არსებული რეგულაციის აღსრულების მექანიზმი, მართალია მასწავლებლები ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას ხელს აწერენ შეთანხმებას აღნიშნულთან დაკავშირებით, მაგრამ პრაქტიკაში მაინც არის შემთხევევები, როცა მასწავლებელი თავისივე მოსწავლეს ამეცადინებს. გარდა ამისა, ეთიკის კოდექსი არ ითვალისწინებს რაიმე სახის სადამსჯელებლო მექანიზმს დარღვევის შემთხვევაში. ეს არის ბოლო და ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც რაიმე სახით არეგულირებს აღნიშნულ ფენომენს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ მთავრობას კერძო რეპეტიტორობის ინსტიტუტის არსებობა აქამდე არ დაუფიქსირებია რომელიმე ოფიციალურ ჩარჩოში ან დოკუმენტში. აღნიშნულ ფენომენზე საერთოდ არ არის საუბარი 2007-2011 წლების და 2010-2015 წლების ზოგადი განათლების სტრატეგიებში. (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2007 წ.; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010 წ.) აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა შემდეგი წლების ოფციალურ დოკუმენტებში, ბოლო, 2017 – 2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიაშიც არ არის საუბარი რეპეტიტორის ინსტიტუტთან დაკავშირებით (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, 2017-2021).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მთავრობის რეაგირება კერძო რეპეტიტორობის ინსტიტუტის საკითხზე ზოგადად არაქმედითია (რევაზ აფხაზავა, 2011, გვ. 10), უფრო მეტიც, სახელმწიფოში არ არსებობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე ოფიციალური დოკუმენტი ან მიდგომა, რაც რეპეტიტორობის ინსტუტიტის დარეგულირებას შესაძლებელს გახდიდა და რეპეტიტორებს დაუწესებდა რაიმე სახის ბარიერს, უარყოფითი გავლენის შესამცირებლად.

თავი IV. ლიტერატურის მიმოხილვა

კერძო რეპეტიტორობის საკითხი მართალია ძალიან აქტუალურია, თუმცა, მიუხედავად საკითხისადმი დიდი ინტერესისა, კერძო რეპეტიტორობის ფენომენის შესახებ არსებული მასალა მაინც მწირია, შესაძლოა ამას განაპირობებს ის, ფაქტი, რომ აღნიშნული სერვისი არაფორმალურად ფუნქციონირებს.

მართალია, კერძო რეპეტიტორობის ფენომენთან დაკავშირებით რამდენიმე კვლევაა ჩატარებული, თუმცა, ეს საკითხი დღემდე არ არის სიღრსმისეულად შესწავლილი, რადგან არსებული კვლევები ძირითადად ჩატარებულია კვლევის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით.

თავდაპირველად, კერძო რეპეტიტორთა ფენომენის კვლევა საქართველოში სამ ეტაპად განხორციელდა: პირველად 2004 წელს სოროსის ფონდის მიერ, შემდეგ 2009-10 წლებში განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისი ინსტიტუტმა (EPPM) ჩაატარა კვლევა, ხოლო 2011 წელს ამავე ინსტიტუტმა ჩაატარა კიდევ ერთი კვლევა, რაოდენორივი მეთოდების გამოყენებით - „კერძო რეპეტიტორობის ფენომენის კვლევა საქართველოში“ (რევაზ აფხაზავა, 2011). აღნიშნული კვლევების მიზანს საქართველოში კერძო რეპეტიტორობის ინსტიტუტის პრაქტიკის აღწერა და ზოგადი განათლების სისტემაზე მისი ზეგავლენის ანალიზი წარმოადგენდა.

კვლევის შედეგების საგანგაშო სიტუაციას მიანიშნებდა, როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა კერძო რეპეტიტორობაზე მოთხოვნა გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ამ სერვისის გამოყენების რეალური მაჩვენებლები და არსებული მოლოდინები. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დღეისათვის საქართველოში, საშუალოდ, ყოველი მეოთხე მოსწავლე ემზადება რეპეტიტორთან, აღნიშნული მაჩვენებლები კიდევ უფრო იზრდება საფეხურების ზრდასთან ერთად და კრიტიკულ მაჩვენებელს დამამთავრებელ კლასში, აბიტურიენტობის დროს აღწევს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით წარმოადგინა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა თამარ ბრეგვაძემ 2012 წელს სადირსეტაციო ნაშრომის სახით თემაზე - „ფორმალური ზოგადი განათლება და კერძო რეპეტიტორობა, როგორც პარალელური სისტემები“ (ბრეგვაძე, 2012). აღნიშნული ნაშრომი ეფუძნება ავტორის მიერ ჩატარებულ კვლევას, რომელიც მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივი კვლევის ელემენტებს. აუცილებელია ცალ-ცალკე განვიხილოთ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები. რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში, კვლევაში

გამოიკვეთა ფაქტი, რომ კერძო რეპეტიტორობა ზოგადი განათლების სისტემაში ფორმალური ზოგადი განათლების ეფექტიანობის ხარვეზების მაკომპენსირებელი სისტემის ფუნქციას ასრულებს, რეპეტიტორის ინსტიტუტი მოსწავლეებს ეხმარება იმ ცოდნის მიღებაში რასაც არსებული სისტემის პირობებში ფორმალური განათლება ვერ აძლევს. თვისებრივი მაჩვენებლის მიხედვით კი, აღმოჩნდა, რომ ფორმალური ზოგადი განათლების ეფექტიანობა არ არის მაღალი, რასაც რამდენიმე სტრუქტურული მიზეზი განაპირობებს, მათ შორის კლასის დიდი ზომა, ისევე როგორც სასწავლო გეგმისა და შეფასების სისტემის ხარვეზები, საგამოცდო ფორმატი და ა.შ. სწორედ ამ ფაქტორების გამო ამჯობინებენ მოსწავლეები კერძო დამატებით გაკვეთილებზე სიარულს, სადაც ინდივიდუალურად ხდება ამა თუ იმ საკითხის განხილვა.

კვლევაში ასევე საუბარია, ფენომენის უარყოფით მხარეებზე. კვლევის მიგნებების მიხედვით კერძო რეპეტიტორობის ფენომენის ზეგავლენა ფორმალურ განათლებაზე ძალიან დიდია. პირველ რიგში, კერძო რეპეტიტორობის მნიშვნელოვან ნეგატიურ ეფექტს წარმოადგენს საზოგადოებაში სოციალური უთანასწორობის გაღრმავება, ასევე ის იწვევს სასწავლო პროცესის დეფორმირებას, რაც ასევე ნეგატიურ გავლენას ახდენს განათლების სისტემაზე.

კერძო რეპეტიტორის ფენომენის შესახებ ჩატარებულ კვლევებს შორის აუცილებლად აღსანიშნავია ლელა ჩახაიას კვლევა, რომელიც მან 2019 წელს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის მოამზადა - „სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ერონული გამოცდები საქართველოში“ (ჩახაია, 2019). აღნიშნულ კვლევაში განათლების სისტემის სხვადასხვა საკითხია განხილული და გამოკვლეული, ძირითადი აქცენტი კი გაკეთებულია გამოცდებსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მათ შორის, ის საუბრობს რეპეტიტორობაზე და მის როლზე ერთიან ეროვნულ

გამოცდებზე. ავტორს ნაშრომის მომზადებისას კვლევის სხვადასხვა მეთოდი აქვს გამოყენებული, მათ შორის: მეორადი დოკუმენტების შესწავლა, რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი და თვისებრივი კვლევა. კვლევის ფარგლებში, თვისებრივი მონაცემების ანალიზმა აჩვენა, თუ რამდენად გავრცელებულია რეპეტიტორობის პრაქტიკა საქართველოში, რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ერთიანი ეროვნული გამოცდები რეპეტიტორობის პრაქტიკაში და მეორეს მხრივ, რამდენად განაპირობებს რეპეტიტორებთან მომზადება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებას.

აღნიშნული კვლევის შედეგების მიხედვით, თითქმის ყველა რესპოდენტი ფიქრობს, რომ კერძო რეპეტიტორთან მომზადება გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდას უნივერსიტეტში უნდა სწავლის გაგრძელება. ისინი კერძო რეპეტიტორთან სიარულს გარდაუვალ საჭიროებად აღიქვამენ, რომ შეძლონ გამოცდების წარმატებით ჩაბარება. აღსანიშნავია, რომ ისინი ემზადებიან როგორც სასკოლო საგნებში, ასევე ზოგად უნარებში, ხოლო ოჯახები მთელი საქართველოს მასშტაბით მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავენ ამ სერვისში. სასკოლო საგნებში დამატებითი მომზადების აუცილებლობა, როგორც მიაჩნიათ აბიტურიენტებს და მათ მშობლებს, კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ქართული განათლების სისტემის ნაკლოვანებებზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევა ეკუთვნის ასევე მაგდა ნუცა კობახიძეს, რომელმაც ჰონგ კონგის უნივერსიტეტის შედარებითი განათლების კვლევების ცენტრის მიერ ორგანიზებული ჩრდილოვანი განათლების კვლევების ფარგლებში, ჩაატარა კვლევა - „მასწავლებლები, როგორც რეპეტიტორები: ჩრდილოვანი განათლების ბაზრის დინამიკა საქართველოში“ (Kobakhidze, 2018). ნაშრომში განხილულია, ერთის მხრივ, მასწავლებლების შერეული როლი და იდენტურობა ორ განათლების სისტემას შორის (ძირითადი და რეპეტიტორობის ინსტიტუტი). ამ ასპექტში

კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლებს უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ, როცა მათი იდენტიფიკაცია დაკავშირებული იყო რეპეტიტორის როლთან, მაშინ როცა უფრო პოზიტიური განწყობა აქვთ როცა მათი იდენტობა უკავშირდება მასწავლებლობას. თუმცა, ჩვენთვის, ჩვენი კვლევის ფარგლებში უფრო საყურადღებოა კვლევის მეორე მხარე, სადაც საუბარია იმ მოტივებზე, რაც განაპირობებს მასწავლებლების ჩართვას რეპეტიტორობის ბაზარზე. ძირითადად ხაზგასმულია ეკონომიკური მოტივები, რაც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან. ეკონომიკური წნეხის პირობებში მასწავლებლებს უწევთ შეითავსონ რეპეტიტორის როლი.

ასევე, მასწავლებელთა ნაწილი კერძო სწავლებას პროფესიულ განვითარებასთან აკავშირებს და რეპეტიტორებას მიიჩნევს ერთგვარ შესაძლებლობად რომ პროფესიულად განვითარდეს. თუმცა, მეორეს მხრივ, ამის საპირისპიროდ, მასწავლებელთა ნაწილი რეპეტიტორობას მიიჩნევს მასწავლებლის პროფესიული განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად. (Kobakhidze, 2018)

თავი V. კვლევის მიზანი და ამოცანები

აღნიშნული **კვლევის მიზანია:** საქართველოში რეპეტიტორთა ინსტიტუტის განმაპირობებელი ფაქტორები.

საკვლევი კითხვა: რა ფაქტორები და მოტივები განსაზღვრავს საქართველოში რეპეტიტორთა ინსტიტუტის არსებობას?

მიზნის რეალიზაციისათვის დასახული იქნა შემდეგი **ამოცანები:**

- ✓ შეგვესწავლა რეპეტიტორის ფენომენის მახასიათებლები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- ✓ გაგვეანალიზებინა საერთაშორისო პრაქტიკა კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტთან დაკავშირებით;
- ✓ შეგვესწავლა, რა მდგომარეობაა საქართველოში კერძო დამატებითი სწავლების, რეპეტიტორის ინსტიტუტთან მიმართებაში;
- ✓ მოსწავლეებში, მშობლებში და რეპეტიტორებში რეპეტიტორის ფენომენის არსებობის გამაპირობებელი ფაქტორების კვლევა;
- ✓ საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

აქედან გამომდინარე კერძო რეპეტიტორობის ფენომენის გამომწვევი ფაქტორების შეფასებისთვის **კვლევის კითხვები** შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- ✓ რა მოტივები აქვთ მშობლებს, შვილების რეპეტიტორთან მიყვანისთვის?
- ✓ რა განაპირობებს მოსწავლეებისთვის რეპეტიტორის საჭიროებას?
- ✓ ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?
- ✓ რა მიზეზები განაპირობებს რეპეტიტორის საქმიანობის არჩევას?

კვლევის კითხვებიდან გამომდინარე, **კვლევის ჰიპოთეზები** ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

- ✓ მშობლების მოტივს განაპირობებს სურვილი, რომ მათმა შვილებმა წარმატებით ჩააბარონ გამოცდები.

- ✓ მოსწავლეებისთვის რეპეტიტორის საჭიროებას განაპირობებს კლასში მოსწავლეთა დიდი რაოდენობა.
- ✓ სკოლებში განათლების დაბალი ხარისხი განსაზღვრავს რეპეტიტორის ინსტიტუტის ასეთ პოპულარობას.
- ✓ რეპეტიტორის საქმიანობის არჩევანას ძირითადად განაპირობებს ეკონომიკური ფაქტორები - დამატებითი შემოსავლის მიღების სურვილი.

თავი VI. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, ინფორმაცია შევაგროვეთ პირისპირი ინტერვიუს საშუალებით, ხოლო ინტერვიუ ჩატარდა ღია კითხვების გამოყენებით.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ: მშობლები, მოსწავლეები და მასწავლებლები, რომლებიც აქტიურად იყენებენ რეპეტიტორთა ინსტიტუტს. კვლევის ფარგლებში გამოვიკითხეთ ქალაქში მცხოვრები ინდივიდები, რადგან რეპეტიტორთა ინსტიტუტი დამახასიათებელია სწორედ ამ კონტიგენტისთვის. თითოეული საკვლევი ჯგუფიდან შევარჩიეთ 10 რესპოდენტი. რამაც საშუალება მოგვცა შეგვექმნა ზოგადი წარმოდგენა, თუ რა განაპირობებს საქართველოში რეპეტიტორთა ინსტიტუტის არსებობას.

კვლევის ობიექტებში გამოვყავით, შემდეგი ქვეჯგუფები: მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან კერძო თუ საჯარო დაწესებულებებში და ამავდროულად არიან რეპეტიტორები და მასწავლებლები, რომლებიც, არ ასწავლიან სკოლებში, მაგრამ დაკავებულნი არიან რეპეტიტორული საქმიანობით. მეორე ქვეჯგუფს განეკუთვნებიან მოსწავლეები, რომლებიც დადიან სკოლაში და ამავდროულად ემზადებიან რეპეტიტორებთან. მესამე ქვეჯგუფს წარმოადგენდნენ მშობლები, რომლებიც ბავშვებს ამზადებენ კერძო რეპეტიტორთან.

კვლევის შედეგების ანალიზი

კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდების მიხედვით, გამოყენებული იყო სიღმისეული ინტერიუ, რამაც საშუალება მოგვცა სრულად გამოგვეკვლია და შეგვესწავლა თუ რა ფაქტორები განაპირობებს საქართველოში კერძო რეპეტიტორის ფენომენის არსებობას.

მოცემული კვლევის ფარგლებში, რესპოდენტები იყვნენ დაინტერესებული მხარეები, ერთის მხრივ მოსწავლეები და მშობლები, მეორეს მხრივ მასწავლებლები, რადგან მათი მოტივები განსხვავებულია აღნიშნულთან დაკავშირებით. რესპოდენტების შერჩევა თოვლის გუნდის პრინციპით მოხდა, ნათესავის დახმარებით დავუკავშირდი ერთ-ერთ პირს შერჩევიდან, რომელმაც სხვებთან დამაკავშირა. ამ მეთოდის გამოყენება უფრო მოსახერხებელი იყო რადგან, რეპეტიტორების საქმიანობა ხშირად მიიჩნევა კორუფციად, რის გამოც მათთან დაკავშირება გართულდებოდა. ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ მოსწავლეებს, რომლებიც დადიან რეპეტიტორთან დაბალი გონებრივი შესაძლებლობები აქვთ, აქედან გამომდინარე ხშირად მოსწავლეები და მათი მშობლები არ საუბრობენ აღნიშნულთან დაკავშირებით.

მონაცემთა ანალიზის პროცესი დავიწყე კოდირების ეტაპით და რესპონდენტების პასუხები დავუკავშირე ზოგად კოდებსა და კატეგორიებს, რომლებიც შემდგომში ანალიზის წერისას გამოვიყენე. მიღებული კოდები დავახარისხე კატეგორიებად, რის საფუძველზეც შევაჯამე ინტერვიუები.

მოსწავლეებიდან კვლევა ჩატარდა ძირითადად აბიტურიენტებთან, 16-18 წლამდე გოგონებთან და ბიჭებთან, რადგან სწორედ ისინი არიან დამატებითი სწავლების სერვისის ძირითადი მომხმარებლები.

რესპოდენტები ცხოვრობდნენ თბილისის გეოგრაფიულ არეალში, შესაბამისად კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები ძირითადად ასახავს აქ არსებულ მდგომარეობას.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რაც რეპეტიტორის ინსტიტუტის არსებობას განსაზღვრავდა საქართველოში. აღნიშნულზე პასუხის გასაცემად ინტერვიუ ჩავატარეთ, მოსწავლეებთან, მშობლებთან და რეპეტიტორებთან, რათა განგვესაზღვრა მათი მოტივები თუ რატომ ირჩევდნენ რეპეტიტორთან დამატებით მეცადინეობას ან თვითონ რეპეტიტორი რატომ ირჩედა ამ საქმიანობას. განვიხილოთ თითოეული:

რეპეტიტორები

რეპეტიტორებთან ინტერვიუების დროს შევეცადეთ გაგვერკვია რა მიზეზები განაპირობებდა რეპეტიტორის საქმიანობის არჩევას, რესპოდენტების პასუხები ძირითადად ერთმანეთის მსგავსი იყო და ადასტურებდა კვლევის ჰიპოთეზას, რომ რეპეტიტორის საქმიანობის არჩევის მთავარი მიზანი შემოსავლის მიღებაა, თუმცა რეპეტიტორები გაიყო 2 ჯგუფად, ერთი რომლისთვისაც ეს დამატებით შემოსავალი იყო და პარალელურად ასწავლიდნენ სკოლებში და მეორე რომლისთვისაც რეპეტიტორების საქმიანობა მათი შემოსავლის ერთადერთი წყაროა, თუმცა ორივე შემთხვევაში მამოძრავებელი მოტივი ფინანსური მდგომარეობაა. რეპეტიტორები აღნიშნავდნენ, რომ ასე საათობრივ ანაზღაურებას იღებდნენ, რაც მასწავლებლის ხელფასზე გაცილებით მეტია. ზოგიერთი მათგანი იმასაც კი თვლის, რომ რეპეტიტორის საქმიანობა უფრო მეტად არის დაფასებული, ვიდრე მასწავლებლის, თუმცა ამ შემთხვევაშიც ანაზღაურების მხარეს გულისხმობდნენ.

მატერიალური ფაქტორების გარდა, რეპეტიტორები სხვა ფაქტორებსაც ასახელებენ რეპეტიტორის საქმიანობის არჩევის მოტივად, ეს არის

პროფესიის სიყვარული, პროფესიული განვითარების შესაძლებლობა, ერთ-ერთი რესპოდენტი აღნიშნავდა, რომ *„რეპეტიტორის ინსტიტუტი ჩემთვის გაცილებით ფართო ასპარეზის მომცემია. უფრო მეტ მოზარდთან მიწევს ურთიერთობა რაც მეტ გამოცდილებას მძენს“,* გამომდინარე იქედან, რომ თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მიდგომა გააჩნიათ, რეპეტიტორობის საქმიანობა მეტ შესაძლებლობას აძლევს მათ, რომ საკუთარი თავი გამოსცადონ, თუ რამდენად შეძლებენ მოსწავლეების შესაძლებლობების და მოთხოვნების შესაბამისად მუშაობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ რესპოდენტთა შორის იყო რამდენიმე რეპეტიტორი, რომელიც თავის დროზე სკოლაშიც მუშაობდა, მაგრამ საბოლოოდ რეპეტიტორება აირჩია თავის საქმიანობად, რეპეტიტორთა ამ ჯგუფის მოტივს მატერიალურთან ერთად, განსაზღვრავდა უფრო მოქნილი გრაფიკი, რაც რეპეტიტორად მუშაობის დროს აქვთ, როგორც აღნიშნავდნენ ასე: *„მეტი დრო გვაქვს საკუთარი თავისთვის და ოჯახისთვის“.*

რესპოდენტ, რეპეტიტორებთან საუბრისას, ასევე, ვეცადეთ გაგვერკვია რა დადებით და უარყოფითს ხედავდნენ რეპეტიტორის ინსტიტუტის არსებობაში, ერთ-ერთმა მათგანმა დადებით მხარეებზე საუბრისას, აღნიშნა, რომ *„რეპეტიტორს, სკოლის მასწავლებელთან შედარებით, აქვს გაცილებით დიდი მოტივაცია, რომ კარგად ასწავლოს მოსწავლეს და ბოლომდე დაიხარჯოს, რადგან მისი შემოსავალი უშუალოდ დამოკიდებულია მის მიერ გაცემული სერვისის ხარისხზე, განსხვავებით სკოლის პედაგოგისგან, რომელიც უფრო მეტად ხელმძღვანელობს ვალდებულების პრინციპით. აქედან გამომდინარე, მოსწავლეც უფრო მოტივირებულია რეპეტიტორთან მომზადებით“,* დადებით მხარეებში ასევე დაასახელეს ინდივიდუალური მიდგომა თითოეულ მოსწავლესთან, მოქნილი და მომხმარებელზე მორგებული გრაფიკი, უფრო მეტი დრო ამა თუ საკითხის ასახსნელად და გასააზრებლად, მაღალი აკადემიური მოსწრების

თუ უნივერსიტეტში მოხვედრის ერთგვარი გარანტია. ასევე, რეპეტიტორები ფიქრობენ, რომ კერძო დამატებით გაკვეთილებზე მოსწავლეებს თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბება ხდება.

რაც შეეხება უარყოფით მხარეს, ისინი მიიჩნევენ მშობლის მხრიდან დიდი დამატებითი დანახარჯები შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე დიდ მინუსად. ასვე აღნიშნავენ, რომ რეპეტიტორის ინსტიტუტის არსებობით და მისი ასეთი პოპულარობით სკოლის როლი მცირდება, რადგან გაკვეთილებზე დასწრება თითქოს აზრს კარგავს, რადგან საკითხის ახსნა კერძო გაკვეთილებზეც არის შესაძლებელი;

მეორე მხრივ, მოსწავლეები მთლიანად დამოკიდებულები ხდებიან რეპეტიტორებსა და დამატებით გაკვეთილებზე და თვითონ დამოუკიდებლად აღარ მუშაობენ. გარდა ამისა, რეპეტიტორის ინსტიტუტი იწვევს ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას, ერთ-ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ *„ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი პედაგოგები, რომლებიც მოსწავლეებს ათვასებენ დაბალი ქულებით, რათა შემდგომში სწორედ მასთან მივიდნენ მოსამზადებლად“.* აქედან გამოდინარე, ნათელია, რომ მსგავსი ექსესების თავიდან ასაცილებლად აუცილებლად უნდა ხდებოდეს ფენომენის რეგულირება.

მოსწავლეები:

მოსწავლეებთან ინტერვიუმ გამოკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რაც განაპირობებს მათ სურვილს, რომ მოემზადონ დამატებით რეპეტიორებთან. მოსწავლეები თვლიან, რომ გამოცდის ჩაბარებისათვის რეპეტიტორთან სიარული აუცილებელია, ერთ-ერთმა მათგანმა პირდაპირ აღნიშნა, რომ *„ვიცოდი, რომ რეპეტიტორის გარეშე ვერ შევძლებდი გამოცდების ჩაბარებას“.*

რეპეტიტორთან სიარული ზრდის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას, რადგან თითეულ საკითხს უფრო მეტი დრო ეთმობა და უფრო სრულყოფილად ხდება საგნების შესწავლა. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ კერძო დამატებით გაკვეთილებზე თავს უფრო კომფორტულად გრძნობენ - „რეპეტიტორთან თავს ისე გრძნობ როგორც სახლში და არა სკოლაში, უფრო თავისუფლად ხარ.“ ასევე აღნიშნეს მათ მოტივაციაზე გავლენას ახდენს თვითონ რეპეტიტორთან ურთიერთობა, რომ *„რეპეტიტორი უფრო მეგობრულად გექცევა, რაც ურთიერთობას უფრო ამარტივებს, და მოტივაციას გაძლევს, რომ კარგად ისწავლო“.*

მოსწავლეებთან ინტერვიუების დროსაც გაიუღერა აზრმა, რომ რეპეტიტორი უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, ვიდრე მასწავლებელი და არ აძლევს მოსწავლეებს მოდუნების საშუალებას. მოსწავლეებს რეპეტიტორთან მომზადების კიდევ ერთ დადებით მხარედ მიაჩნიათ უფრო მრავალფეროვანი მეთოდები, რასაც რეპეტიტორი იყენებს ახსნის პროცესში - *„არ ხარ მოქცეული რაღაც ჩარჩოებში, როგორც ეს გაკვეთილზე ხდება. გახსნილად და თამამად ითვისებ ახალ ინფორმაციას, რაც ხელს უწობს აგრეთვე სწრაფად და სწორად აზროვნებას“.*

მიუხედავად იმისა, რომ რეპეტიტორთან მომზადების არა ერთი დადებითი მხარე წამოიწია წინ ინტერვიუების დროს, მეორე მხრივ მოსწავლეებმა აღნიშნეს იმ საფრთხის შესახებ, რაც რეპეტიტორთან მომზადებისას შეიძლება შეიქმნას - *„რეპეტიტორი უბრალოდ აზეპირებინებს აბიტურიენტებს კონკრეტულ დავალებებს, რაც ცოდნის მიღება ნამდვილად არაა“,* პარალელურად რეპეტიტორთან მომზადებისას მოსწავლეები სკოლას ნაკლებ დროს უთმობენ და თუ რეპეტიტორიც ვერ მისცემს შესაფერის განათლებას, მოსწავლის მომავალზე ცუდად აისახება.

მშობლები:

რესპოდენტთა მესამე ჯგუფი დაკომპლექტებული იყო იმ მოსწავლეების მშობლებისგან, რომელიც ბავშვს რეპეტიტორთან ამზადებდა ან ამზადებს. როგორც მათ აღნიშნეს, მათი გადაწყვეტილება, რომ შვილი დამატებით მეცადინეობებზე ეტარებინა განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა: სკოლა ვერ ახერხებს მოსწავლეებისთვის საკმარისი განათლების მიცემას, რომ მოსწავლემ წარმატებით ჩააბაროს გამოცდები, კლასები დაყოფილია დიდ ჯგუფებად, ერთ ჯგუფში ბევრი მოსწავლეა, რის გამოც ვერ ხერხდება ყველა ბავშვის, ყოველდღიური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. რის გამოც, შესაძლებელია, მოსწავლემ სრულად ვერ აითვისოს ახსნილი საკითხი.

გარდა ამისა ისინი აღნიშნავდნენ, რომ სკოლებში არიან არაკვალიფიციური და ხანშიშესული მასწავლებლები, როლებიც ვერ იყენებენ თანამედროვე მეთოდებს საგაკვეთილო პროცესში. ყოველივე ეს, კი ნიშნავს, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მეცადინეობა, რათა უფრო კონცენტრირდნენ ამა თუ იმ საგნის სწავლებაზე.

რესპოდენტთა სამივე ჯგუფმა, განათლების მახასიათებლებზე, რომელიც განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას ერთმანეთის იდენტური პასუხები გასცეს. რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ თვითონ ფენომენის ასეთ პოპულარობას პირველ რიგში რეპეტიტორების წარმატებული შედეგები განაპირობებს და გავრცელებული სტერეოტიპი, რომ გამოცდის ჩაბარება დამოკიდებულია რეპეტიტორთან მომზადებაზე, როგორც აღნიშნეს - *„ხალხში გამჯდარია იდეა, რომ მოსწავლე ვერ ჩააბარებს კერძო რეპეტიტორთან მომზადების გარეშე“.*

რესპოდენტების აზრით, ამ ინსტიტუტის აუცილებლობას გაპირობებს სკოლისა და განათლების სისტემის მიმართ მაღალი უნდობლობა, მშობლებს ხშირად ეჭვი ეპარებათ მასწავლებლების პროფესიონალიზმში. ასევე, საგაკვეთილო პროცესზე, მოსწავლეების დიდი რაოდენობა ხშირად

ხელისშემშლელი ფაქტორია მოსწავლისთვის სრულად გაერკვევს ახსნილ საკითხში, და მშობელიც იძულებულია ბავშვი მიიყვანოს რეპეტიტორთან.

კიდევ ერთი ფაქტორი არის ის, რომ მოსწავლეებს სწავლისადმი დაბალი ინტერესი აქვთ, რის გამოც საჭიროებენ დახმარებას, და რადგანაც მშობლებს გადატვირთული გრაფიკის ან შესაბამისი ცოდნის არ ქონის გამო არ შეუძლიათ თავად დაეხმარონ შვილებს აჰყავთ რეპეტიტორები.

აღსანიშნავია, რომ ჩატარებულ კვლევაში არც ერთ რესპოდენტს უარყოფით მხარედ არ უხსენებია, სოციალური უთანასწორობა ან კლასობრივი განსხვავება, რაც ასე მწვავედ დგას საერთაშორისო მასშტაბით და ფენომენის ძირითად კრიტიკად ითვლება.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ჰიპოთეზები დადასტურდა. თუმცა კვლევის შედეგებმა, საქართველოში რეპეტიტორის ინსტიტუსის არსებობის განმაპირობებელი უფრო მეტი ფაქტორი გამოკვეთა, ვიდრე ეს ჰიპოთეზების დონეზე იყო განსაზღვრული.

დასკვნა

ნაშრომში განვიხილეთ რეპეტიტორის ფენომენი, რომელიც მზარდი ტენდენციით ხასიათდება და ბოლო პერიოდში აქტუალურ საკითხს წარმოადგენს მთელ მსოფლიოში. ნაშრომში განხილულია, რეპეტიტორის ინსტიტუტის მახასიათებლები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

ასევე, განვიხილეთ საერთაშორისო პრაქტიკა აღნიშნულთან დაკავშირებით, რომ გვენახა თუ რა ფორმით არსებობს რეპეტიტორის ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყანაში; რა ადგილი აქვთ ფორმალური განათლების სისტემაში და როგორ ხდება აღნიშნულის რეგულირება სახელმწიფოს მიერ? მოკლედ შედეგები ასეთი იყო, რეპეტიტორის ინსტიტუტს აქვს, როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები, დადებით მხარედ ძირითადად განიხილება მოსწავლეების მიმართ ინდივიდუალური

მიდგომა, ხოლო უარყოფით მხარეს წარმოადგენს სოციალურ ფენებს შორის უთანასწორობის გაღრმავება. როგორც მოსალოდნელი იყო საერთაშორისო პრაქტიკა ქვეყნების და რეგიონების მიხედვით განსხვავდებოდა, გამოიყო რამდენიმე ჯგუფი, ერთის მხრივ ქვეყნები, სადაც რეპეტიტორობის ფენომენი ტრადიციულად არსებობს საუკუნეების განმავლობაში და ფორმალური განათლების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. მეორე მხრივ, ქვეყნები, სადაც ფიქრობენ, რომ რეპეტიტორებს შეუძლიათ გაზარდონ მოსწავლეთა აკადემიური შედეგები და ხელს უწყობენ ფენომენის გავრცელებას, არის ქვეყნები სადაც არსებობს სპეციალური მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელიც გარკვეულ ჩარჩოებს უწესებს რეპეტიტორებს. ამის საპირისპიროდ არის ქვეყნების ჯგუფი, ძირითადად პოსტ საბჭოთა ქვეყნები, სადაც არ არსებობს აღნიშნულთან დაკავშირებული სახელწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკა.

ნაშრომში ასევე განხილულია, საქართველოში არსებული ვითარება, რადგან რეპეტიტორის ფენომენი საქართველოშიც მზარდი ტენდენციით ხასიათდება, ბავშვები ადრეული ასაკიდან იწყებენ რეპეტიტორთან სიარულს, ხოლო აბიტურიენტობის პერიოდში თითქმის ყველა მოსწავლე აუცილებლად დადის რეპეტიტორთან. მიუხედავდ ამისა, სახელმწიფოს განათლების სტრატეგიულ დოკუმენტებში საერთოდ არ არის რეპეტიტორის ფენომენზე საუბარი, არ არის განსაზღვრული მისი როლი და ფორმა, სახელმწიფოში არ არსებობს რაიმე სახის რეგულაცია ან კრიტერიუმი რეპეტიტორებისათვის.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა, გვეკვლია ის ფაქტორები, რომელიც საქართველოში რეპეტიტორის ფენომენის არსებობას განაპირობებდა, კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, ინტერვიუები ავიღეთ 3 სამიზნე ჯგუფიდან: მოსწავლეები, მშობლები და რეპეტიორები, რათა

განგვესაზღვრა ერთი მხრივ მოსწავლეების და მშობლების მოტივები, როცა რეპეტიტორი მომსახურებით სარგებლობენ და რეპეტიტორის მოტივები ამ საქმიანობის არჩევისას.

კვლევამ ცხადყო რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, ერთის მხრივ, რეპეტიტორებისთვის ამ საქმიანობის არჩევას განაპირობებს: შემოსავლის მიღების სურვილი, საქმიანობის სიყვარული, მოქნილი გრაფიკი, პროფესიული განვითარების სურვილი და მსგავსნი. ხოლო მშობლებისა და მოსწავლეებისთვის ამ არჩევანს შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავს: გავრცელებული აზრი, რომ სხვანაირად ვერ ჩააბარებენ გამოცდას, სკოლისა და მასწავლებლების პროფესიონალიზმის მიმართ უნდობლობა, საგაკვეთილო პროცესზე ვერ ხერხდება საკითხის სრულად ახსნა დროის დეფიციტის გამო, ბავშვების ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში ხშირად დაბალია, რადგან კლასში ბევრი მოსწავლეა, მოსწავლეებს აქვთ სწავლის დაბალი მოტივაცია და საჭიროებენ დახმარებას.

საბოლოოდ, საერთაშორისო პრაქტიკის და კვლევის შედეგების საფუძველზე შევიმუშავე რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინება მნიშვნელოვანია აღნიშნული სფეროს დარეგულირებისათვის და მისი უარყოფითი მხარეების მაქსმიმალურად შემცირებისთვის.

რეკომენდაციები

საერთაშორისო პრაქტიკის და მოცემული კვლევის ანალიზის შედეგად, შევიმუშავე, რამდენიმე რეკომენდაცია, რაც ხელს შეუწყობს კერძო რეპეტიტორის ფენომენის მზარდი ტენდენციის ჩარჩოებში მოქცევას:

- ✓ გამომდინარე იქედან, რომ რეპეტიტორობა ერთგვარად კორუფციული საქმიანობაა, რომლის კონტროლიც არ ხდება, პირველ რიგში აუცილებელია შეიქმნას რაიმე სისტემა (ლიტვის მაგალითი), სადაც რეპეტიტორები დარეგისტრირდებიან, ყოველივე ეს დაგვეხმარება ფენომენის სისტემატიზაციასა და მართვაში, თან აღარ მოხდება რეპეტიტორების მხრიდან შემოსავლების დაფარვა;
- ✓ უნდა ხდებოდეს რეპეტიტორების პროფესიონალიზმის გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში მათი გადამზადება;
- ✓ რეპეტიტორებისთვის შემუშავდეს უნდა პროფესიული საქმიანობის ეთიკის კოდექსი;
- ✓ უნდა გაუმჯობესდეს სკოლაში სწავლების ხარისხი, რისთვისაც აუცილრბელია პროფესიონალი კადრების აყვანა, კლასებში მოსწავლეების რაოდენობის შემცირება, საჭიროების შემთვევაში ინდივიდუალური, დამატებითი გაკვეთილების ჩატარება საფასურის გარეშე (სკანდინავიის ქვეყნების მოდელი), რათა სკოლის როლი თავის სიმაღლეზე დარჩეს.
- ✓ საგაკვეთილო პროცესი უნდა გახდეს ინოვაციური, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი და გზა, მოსწავლეების ინტერესის გასაზრდელად.

გამოყენებული ლიტერატურა

Askec, K. P. (2012). Confronting the shadow education system: what government policies for what private tutoring? *CEPS*.

Halsey Rogers, Hai-Anh Dang. (2008). *How to interpret the Growing Phenomenon of Private Tutoring: Human Capital Deepening, Inequality Increasing, or Waste of Resources?* The World Bank.

Kobakhidze, M. N. (2018). *Teachers as Tutors: Shadow Education Market Dynamics in Georgia.* Switzerland: Springer Nature.

Napier, D. B. (2014). *Qualities of Education in a Globalized World.* The Netherlands: Sense Publishers.

Silova, I. (2006). *Education in a Hidden Marketplace: Monitoring of Private Tutoring .* USA: Open Society Institute.

ბრეგვაძე, თ. (2012). *ფორმალური ზოგადი განათლება და კერძო რეპეტიტორობა როგორც პარალელური სისტემები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი.

ბრეი, მ. (2009). *ჩრდილოვანი განათლების სისტემასთან დაპირისპირება, როგორი სამთავრობო პოლიტიკა ესადაგება კერძო რეპეტიტორობის სხვადასხვა ფორმას?* პარიზი, საფრანგეთი : განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი.

მათეშაშვილი, თ. (22 თებერვალი 2016 г.). *რეპეტიტორების ბუმი, ანუ "ფარული განათლება" გამოცდებიდან გამოცდებამდე.* Получено из https://edu.aris.ge: https://edu.aris.ge/news/repetitorebis-bumi-anu-faruli-ganatleba-gamocdebidan-gamocdebamde.html

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, 2. (14 04 2010 г.). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N57/ნ. თბილისი.

რევაზ აფხაზავა, გ. მ. (2011). *კერძო რეპეტიტორობის ფენომენის კვლევა საქართველოში.* თბილისი: განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო. (2017-2021). *განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია.*

ქეთევან ჭკუასელი, რ. ს. (2014). ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში - ისტორიული რაკურსი /1991 წლიდან დღემდე/. *მასწავლებელთა მე-2 კონფერენცია „უნივერსიტეტი და სკოლა“*, 270.

ჩახაია, ლ. (2019). *სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში.* თბილისი: მომზადებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის.

დანართები:

<u>დანართი #1</u>

<u>კითხვარი რეპეტიტორებისთვის:</u>

სახელი:

ასაკი:

პროფესია:

კერძო სკოლა თუ საჯარო:

1. რა ფაქტორებმა განსაზღვრა თქვენი რეპეტიტორად გახდომა?

2. რამდენია თქვენი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი?

3. კერძო რეპეტიტორად მუშაობის გარდა ასწავლით თუ არა სკოლაში?

4. რა ასაკის კატეგორიის ბავშვებს ამზადებთ ძირითადად?

5. დაასახელეთ რამდენიმე მიზეზი/ფაქტორი რის გამოც ბავშვები ემზადებიან თქვენთან?

6. ამზადებთ თუ არა კერძოდ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც სკოლაშიც ასწავლით?

7. რით განსხვავდება თქვენი, როგორც რეპეტიტორის, სწავლების მეთოდები, სკოლაში არსებული სწავლების მეთოდებისგან?

8. თქვენს სკოლაში კონტროლდება თუ არა სკოლის ადმინისტრაციის მიერ რეპეტიტორთა ისტიტუტი? თუ კი, რა სახით კონტროლდება?

9. რამდენად აქტიურად არიან მშობლები ჩართულნი შვილის მომზადების პროცესში?

10. როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს ბავშვების კერძოდ მზადების მოტივაციას?

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა ბავშვების მოტივაციაზე?

12. შემცირდა თუ არა ნაკადი მას შემდეგ, რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

14. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად?

<u>ინტერვიუ #1</u>

სახელი: ქეთევან / ასაკი: 31 / პროფესია: გერმანისტი / კერძო სკოლა თუ საჯარო: კერძო

1. რა ფაქტორებმა განსაზღვრა თქვენი რეპეტიტორად გახდომა?

რეპეტიტორებზე საკმაოდ მაღალია მოთხოვნაა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში სკოლაც აძლევს საკმარის ცოდნას მოსწავლეებს. რეპეტიტორების ინსტიტუტი, ასე ვთქვათ, ბაზარზე მოთხოვნის ფონზე შეიქმნა, ანუ არ არსებობს თთქმის არც ერთი (კარგი) მასწავლებელი, რომელიც არ ცდილობს დამატებით მოსწავლეების კერძო გაკვეთილების ფარგლებში მომზადებას. ამას გარდა, მძიმე სოციალური და მატერიალური სიტუაციის ფონზე, დამატებითი შემოსავლის წყაროზე უარის თქმა არალოგიკური გადაწყვეტილება იქნებოდა. თუმცა, განათლების სისტემისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში, რა თქმა უნდა, აჯობებს სასკოლო განათლების რეფორმის ეფექტიანი განხორციელების შედეგად, არ იდგეს რეპეტიტორების საჭიროება.

2. რამდენია თქვენი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი?

ხელფასი + კერძო შემოსავლები = 1500 - 1800

3. კერძო რეპეტიტორად მუშაობის გარდა ასწავლით თუ არა სკოლაში?

დიახ, კერძო სკოლაში.

4. რა ასაკის კატეგორიის ბავშვებს ამზადებთ ძირითადად?

აბიტურიენტებსა და მაღალი კლასის მოსწავლეებს.

5. დაასახელეთ რამდენიმე მიზეზი/ფაქტორი რის გამოც ბავშვები ემზადებიან თქვენთან?

გერმანიაში მიღებული განათლება, სწავლების თანამედროვე მეთოდები, ხელმისაწვდომი ფასი, შესაძლებლობა ჯგუფში ან ინდივიდუალურად მომზადებისა.

6. ამზადებთ თუ არა კერძოდ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც სკოლაშიც ასწავლით?

არა.

7. რით განსხვავდება თქვენი, როგორც რეპეტიტორის, სწავლების მეთოდები, სკოლაში არსებული სწავლების მეთოდებისგან?

გარდა გავრცელებული მედია საშუალებებისა (მოსმენა, ვიდეოების ჩვენება) ძალიან ხშირად ვიყენებ სხვადასხვა თამაშებს, გეოგრაფიის, ლექსიკის, თანამედროვე გერმანული გამოთქმების (ენაში დამკვიდრებული ახალი სიტყვების, ფრაზების) სასწავლებლად.

8. თქვენს სკოლაში კონტროლდება თუ არა სკოლის ადმინისტრაციის მიერ რეპეტიტორთა ისტიტუტი? თუ კი, რა სახით კონტროლდება?

მასწავლებლები არ ამზადებენ საკუთარ მოსწავლეებს. თუმცა ეს უფრო შეთანხმება დირექციასა და მასწავლებლებს შორის, კონტროლის მექანიზმების გარეშე.

9. რამდენად აქტიურად არიან მშობლები ჩართულნი შვილის მომზადების პროცესში?

რამდენიმე წლის გამოცდილებამ სხვადასხვა შედეგი აჩვენა. არის შემთხვევები, რომ მშობლები აქტიურად ეხმარებიან შვილებს გაკვეთილების, პროექტების მომზადებაში, არსებობს შემთხვევები, როდესაც მშობლები ფიქრობენ, რომ ბავშვმა დამოუკიდებლად უნდა შეძლოს გაკვეთილების მომზადება და არსებობს მესამე კატეგორია მშობლებისა, რომელთა აზრითაც, რეპეტიტორის პასუხისმგებლობაა ბავშვი ისე მოამზადოს, რომ მას აღარ დასჭირდეს დამატებით სახლში მეცადინეობა.

10. როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს ბავშვების კერძოდ მზადების მოტივაციას?

ეს კითხვა გაუგებრად არის ფორმულირებული, აქ ორი რამე შეიძლება იგულისხმებოდეს: მშობლების მოტივაცია, მოამზადონ ბავშვები კერძოდ, ან ბავშვების მოტივაცია, სკოლის გარეთ ისწავლოს კერძო გაკვეთილებით სხვადასხვა საგანი. პირველ შემთხვევაში, მშობლები დაინტერესებულები არიან იმით, რომ ბავშვს მისცენ ხარისხიანი განათლება და ირჩევენ რეპეტიტორის ინსტიტუტს, იმიტომ რომ სკოლა ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს მოსალოდნელი სწავლების ხარისხს. ბავშვების შემთხვევაში, მათი მოტივაცია შეიძლება გამოწვეული იყოს კონკრეტული საგნის ინტერესით, ან სურვილით, უცხო ენის შემთხვევაში, შეძლონ სწრაფად ისწავლონ კომუნიკაცია ამ ენაზე.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა ბავშვების მოტივაციაზე?

კონკრეტული რეფორმის შედეგების დასანახად რამდენიმე თვე არ კმარა. მოკლეხნიან პერიოდში შეიძლება გამოცდების გაუქმებად დადებითად იმოქმედოს ბავშვების მოტივაციაზე, თუმცა გრძელვადიან პერიოდში, არსებული სასკოლო განათლების სისტემის ფარგლებში, ბევრ მოსწავლეში წარმოშობს ეს ფაქტი ფრუსტრაციას და ხელს შეუწყობს სკოლაში შავი ბაზრის/ნეპოტიზმით კარგი ნიშნების დაწერის წახალისებას.

12. შემცირდა თუ არა ნაკადი მას შემდეგ, რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

ამ წელს არ შემცირებულა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეფექტი ალბათ მომავალ წელს გამოჩნდება.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

ჩემი აზრით, არა. ანუ აქ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი უნდა დავინახოთ. რეპეტიტორების ინსტიტუტი არ იწვევს კორუმპირებულ განათლების სისტემას, კორუმპირებული განათლების სისტემას კი შეუძლია წარმოშვას რეპეტიტორების ინსტიტუტის არსებობის საჭიროება.

14. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

მასწავლებლების არაპროფესიონალიზმი, სწავლების ხარისხის სტანდარტების არარსებობა, ზოგჯერ ჩვეულებრივი ტენდენცია (გასაგებ ენაზე მოდას აყოლილი მშობლები), რომლებიც ფიქრობენ, რომ ბავშვი რეპეტიტორის გარეშე ვერ ისწავლის კონკრეტულ საგანს.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

ჯერჯერობით საკმაოდ მოთხოვნადია და დიდხანს ასე იქნება, სანამ სკოლა არ მისცემს მოსწავლეებს ხარისხიან განათლებას.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითი: პატარა ჯგუფებში ან ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობა მოსწავლეებთან, სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება, მშობლების ინფორმირებულობა ბავშვის სწავლის შედეგებზე.

უარყოფითი: საკმაოდ ძვირი, რისკი იმისა, რომ ბავშვი სკოლაში საგნის სწავლას საჭიროდ აღარ ჩათვლის; უსამართლო იმ ბავშვების მიმართ, რომელთა მშობლებსაც არ აქვთ მატერიალური სიდუხჭირის გამო რეპეტიტორების აყვანის საშუალება.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

ჩემი აზრით, კარგი სასკოლო სისტემის პირობებში, საერთოდ უნდა გაუქმდეს მოთხოვნა რეპეტიტორებზე. სკოლას უნდა შეეძლოს, იმ განათლების მიცემა ბავშვისთვის, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით არის დადგენილი.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

სახელმწიფოს მიერ არის საჭირო, გრძელვადიანი, ძირიანი მდგრადი რეფორმების გატარება. სახელმწიფომ პირველ რიგში ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შეძლოს ინფრასტრუქტურის აღდგენა სკოლებში, პარალელურად მოხდეს მასწავლებლების გადამზადება (რაც ნაწილობრივ ახლაც ხდება). საჭიროა მასწავლებლების მოსამზადებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა, სხვადასხვა ფინანსური ან სხვა სახის სამოტივაციო ღონისძიებების დაგეგმვა მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებთან აუცილებლად ინდივიდუალური მუშაობა საჭიროების შემთხვევაში. ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა რთულია, თუმცა ზოგადად ჩამოთვლილი რეფორმები უნდა

გატარდეს გრძელვადიან პერიოდში, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობითა და საკმაოდ დიდი ფინანსების მობილიზების გზით.

<u>ინტერვიუ #2</u>

სახელი: მარი / ასაკი: 37 / პროფესია: დაწყებითი კლასების პედაგოგი / კერძო სკოლა თუ საჯარო: საჯარო

1. რა ფაქტორებმა განსაზღვრა თქვენი რეპეტიტორად გახდომა?

მხოლოდ ფინანსურმა დაინტერესებამ.

2. რამდენია თქვენი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი?

800 ლარი

3. კერძო რეპეტიტორად მუშაობის გარდა ასწავლით თუ არა სკოლაში?

დიახ

4. რა ასაკის კატეგორიის ბავშვებს ამზადებთ ძირითადად?

დაწყებითი კლასების

5. დაასახელეთ რამდენიმე მიზეზი/ფაქტორი რის გამოც ბავშვები ემზადებიან თქვენთან?

მშობლების მოუცლელობა, მშობლების არასათანადო ცოდნის დონე, მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრება, ჩემი მუშაობის ეფექტიანობა.

6. ამზადებთ თუ არა კერძოდ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც სკოლაშიც ასწავლით?

არა.

7. რით განსხვავდება თქვენი, როგორც რეპეტიტორის, სწავლების მეთოდები, სკოლაში არსებული სწავლების მეთოდებისგან?

მეთოდები არაფრით განსხვავდება, მხოლოდ დროის ფაქტორია და ინდივიდუალური მუშაობის.

8. თქვენს სკოლაში კონტროლდება თუ არა სკოლის ადმინისტრაციის მიერ რეპეტიტორთა ისტიტუტი? თუ კი, რა სახით კონტროლდება?

დიახ, კონტროლდება დირექციის მიერ. ყოველი სემესტრის დასაწყისში, პედაგოგებს გვაფრთხილებენ, რომ უფლება არ გვაქვს მოვამზადოთ ჩვენი მოსწავლე და უფლება არ გვაქვს მოვამზადოთ მოსწავლე სკოლის ტერიტორიაზე. ხელს ვაწერთ დოკუმენტს, რომლის დარღვევის შემთხვევაში, მასწავლებელი მიიღებს კანონით გათვალისწინებულ სასჯელს.

9. რამდენად აქტიურად არიან მშობლები ჩართულნი შვილის მომზადების პროცესში?

მშობელთა უმრავლესობა ჩართულია პროცესში, არჩევს და ეძებს კვალიფიციურ რეპეტიტორს და სწავლების პროცესში აქტიურად თანამშრომლობს მასთან.

10. როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს ბავშვების კერძოდ მზადების მოტივაციას?

დაბალი ფინანსური შემოსავალი.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამუამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა ბავშვების მოტივაციაზე?

მოსწავლეების მოტივაციის დონე არ დაცემულა, რადგან წინ აქვთ ეროვნული გამოცდები.

12. შემცირდა თუ არა ნაკადი მას შემდეგ, რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

რა თქმა უნდა, შემცირდა.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

იწვევს, რადგან სამწუხაროდ ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი პედაგოგები, რომლებიც მოსწავლეებს აფასებენ დაბალი ქულებით, რათა შემდგომში სწორედ მასთან მივიდნენ მოსამზადებლად.

14. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში, მოსწავლეთა სწავლისადმი დაბალი ინტერესი, ზოგიერთი პედაგოგის არაპროფესიონალიზმი და ა.შ

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

ძალიან მოთხოვნადია.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითი: ინდივიდუალური მუშაობა, დროის ფაქტორი.

უარყოფითი: დამოკიდებულები ხდებიან მოსწავლეები რეპეტიტორზე და უჭირთ დამოუკიდებლად მუშაობა.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

უნდა შემცირდეს.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად?

შეამციროს კლასში მოსწავლეთა რაოდენობა და მასწავლებლის ანაზღაურება იყოს სათანადო.

<u>ინტერვიუ #3</u>

სახელი: მირანდა / ასაკი: 29 / პროფესია: იურისტი / კერძო სკოლა თუ საჯარო: კერძო

1. რა ფაქტორებმა განსაზღვრა თქვენი რეპეტიტორად გახდომა?

მას შემდეგ როცა მიხვდი რომ იურისტობა არ იყო ჩემი სფერო, გადავწყვიტე სხვა სფეროში მეცადა დასაქმება, თან გავლილი მქონდა კურსები, რომლებიც დამეხმარებოდა ამ პროფესიით გამეგრძელებინა მოღვაწეობა.

2. რამდენია თქვენი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი?

2000-2500 ლარი.

3. კერძო რეპეტიტორად მუშაობის გარდა ასწავლით თუ არა სკოლაში?

დიახ. ორ კერძო სკოლაში.

4. რა ასაკის კატეგორიის ბავშვებს ამზადებთ ძირითადად?

დამამთავრებელ კლასის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს.

5. დაასახელეთ რამდენიმე მიზეზი/ფაქტორი რის გამოც ბავშვები ემზადებიან თქვენთან?

ამ შემთხვევაში ალბათ ერთ-ერთი მიზეზი იქნებოდა ის, რომ სკოლებში ზოგადი უნარები არ ისწავლება, თუმცა, მეორე მხრივ სხვა საგნების შემთხვევებიც რომ განვიხილოთ საკმარის ცოდნას ვერ ღებულობენ სკოლებში. ამის მიზეზი ბევრი ფაქტორი შეიძლება იყოს, მაგალითად პედაგოგის არაპროფესიონალიზმი, დროის უკმარისობა, მოსწავლეთა რაოდენობა და ა. შ.

6. ამზადებთ თუ არა კერძოდ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც სკოლაშიც ასწავლით?

არა, ჩემ შემთხვევაში ამის საჭიროებას ვერ ვხედავ. იგივე ენერგიას და ყურადღებას გავცემ სკოლაში, როგორც კერძოდ მომზადების დროს.

7. რით განსხვავდება თქვენი, როგორც რეპეტიტორის, სწავლების მეთოდები, სკოლაში არსებული სწავლების მეთოდებისგან?

ვფიქრობ, რომ არ უნდა განსხვადებოდეს. ჩემ შემთხეევევაში არ განსხვადება, გარდა გარემოსი და მოსწავლეების რაოდენობისა.

8. თქვენს სკოლაში კონტროლდება თუ არა სკოლის ადმინისტრაციის მიერ რეპეტიტორთა ისტიტუტი? თუ კი, რა სახით კონტროლდება?

კონტროლდება მხოლოდ იმ დონით რაც მოიცავს სწრებადობას. ასევე მოსწავლეების დამოკიდებულებას რეპეტიტორის პროფესიონალიზმის მიმართ.

9. რამდენად აქტიურად არიან მშობლები ჩართულნი შვილის მომზადების პროცესში?

ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე ნაკლებად. მქონია შემთხევევები, როდესაც მშობელთან შეხებაც კი არ მქონია. რაც ვფიქრობ ძალიან ცუდია.

10. როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს ბავშვების კერძოდ მზადების მოტივაციას?

უფრო მეტ მუშაობაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. სკოლიდანაც მიიღებ საჭირო განთლებას, თუმცა თუ რომელიმე მშობელს უნდა მისი შვილს უფრო მეტი ცოდნა შესძინოს ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა ბავშვების მოტივაციაზე?

მოტივაციაზე რამდენად იმოქმედა ვერ ვიტყვი, თუმცა ძალიან ცუდად აისახა კონკრეტული საგნების მიმართ მათ დამოკიდებულებაზე.

12. შემცირდა თუ არა ნაკადი მას შემდეგ, რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

კონკრეტულ საგნებზე რა თქმა უნდა. კერძოდ რომელი საგნებიც არ სჭირდება აბიტურიენტს მისაღებ გამოცდაზე.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას, რადგან პირველ რიგში იმიტომ, რომ ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად რეპეტიტორის საჭიროება კვლავ დადგება; მეორე გარემოება ისაა, რომ ვერავინ აუკრძალავს მშობელს შვილს დამატებითი განათლება მისცეს; მესამე - რეპეტიტორობა განათლების ყველაზე ძველი ფორმაა და ის ჯერ კიდევ ჩვენი ცივილიზაციის გარიჟრაჟზე - ანტიკურ საბერძნეთში იღებს სათავეს და დღემდე უალტერნატივოა; მეოთხე, ევროპისა და ამერიკის თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემებში პირიქით, წახალისებულია რეპეტიტორობის ინსტიტუტი, რაც არაფორმალური განათლების სახით და თავისუფალი კრედიტების აღიარების ფორმით არის დანერგილი; და მეხუთე რეპეტიტორობა იძულებითი აქცია არაა, ის ნებაყოფლობითია, ეს არ არის წყალში გადაყრილი თანხა, რადგან მას ცოდნის მიღებაში იხდიან და მშობელს სწორედ გაუმართავი სასკოლო სისტემა აიძულებს თვითგანათლების ამ ფორმას მიმართოს. ხოლო სასკოლო განათლების არც არსებული და არც მოსალოდნელი მდგომარეობა ამ ვითარების გამოსწორების წინაპირობას ნამდვილად არ ქმნის.

14. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

საკმაოდ მოთხოვნადია.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

უარყოფითი მხარე დაკავშირებულია მხოლოდ ხარჯებთან.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

მასზე მოთხოვნის შემცირება გარკვეულწილად ნიშნავს სკოლაში განათლების მიღების დონის გაზრდას. რა თქმა უნდა კარგი იქნება რომ შემცირდეს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სკოლა ყველანაირ პირობას შექმნის იმისთვის, რომ საჭიროება არ იყოს კერძო რეპეტიტორის.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

სასკოლოს რეფორმა უნდა იყოს გამართული.

<u>ინტერვიუ #4</u>

სახელი: ლელა / ასაკი: 30 / პროფესია: ქართული ენა და ლიტერატურა / კერძო სკოლა თუ საჯარო: აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრები

1. **რა ფაქტორებმა განსაზღვრა თქვენი რეპეტიტორად გახდომა?**

პირველ რიგში, მასწავლებლობის სიყვარულმა, შემდეგ კი მატერიალურმა ფაქტორებმა და პროფესიული განვითარების სურვილმა. სკოლიდან წამოსვლის შემდეგ, დავიწყე კერძო მასწავლებლად მუშაობა აბიტურიენთთა მოსამზადებელ ცენტრში. სკოლისაგან განსხვავებით აქ გაცილებით მოქნილი სამუშაო გრაფიკია და საათობრივი ანაზრაურებაც შედარებით მაღალია ვიდრე სკოლაში. ვფიქრობ, ჩემი, როგორც მასწავლებლის, პროფესია აქ უფრო მეტად დაფასებულია. ასევე, თავისუფალი ვარ გამუდმებით პორტფოლიოების შედგენისა და კრედიტების დაგროვებაზე ფიქრისგან.

2. **რამდენია თქვენი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი?**

ჩემი ყოველთვიური შემოსავალი დამოკიდებულია ინდივიდუალური და ჯგუფური გაკვეთილების რაოდენობაზე. თვეში საშუალოდ 600-700 ლარი გამოდის. რადგან, ჩემი საქმიანობის ძირითადი სფერო რეპეტიტორობა არაა, ვფიქრობ, საკმაოდ კარგი დამატებითი შემოსავალია.

3. **კერძო რეპეტიტორად მუშაობის გარდა ასწავლით თუ არა სკოლაში?**

არა. როგორც ინტერვიუს დასაწყისში ავღნიშნე, სკოლიდან წამოსვლის შემდეგ დავიწყე რეპეტიტორად მუშაობა.

4. **რა ასაკის კატეგორიის ბავშვებს ამზადებთ ძირითადად?**

ჩემი მოსწავლეების ძირითადი ნაწილი აბიტურიენტები არიან. თუმცა მყავს მეცხრე, მეათე კლასის მოსწავლეებიც, რომლებიც მხოლოდ სკოლის პროგრამის წარმატებით დაძლევაზე არიან ორიენტირებული.

5. **დაასახელეთ რამდენიმე მიზეზი/ფაქტორი რის გამოც ბავშვები ემზადებიან თქვენთან?**

აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი, სადაც მე ვასწავლი ძალიან პოპულარულია. ვფიქრობ, ამას განაპირობებს ჩვენს მიერ შეთავაზებული მოქნილი გრაფიკი და უშუალოდ მათზე მორგებული სწავლების სისტემა. თითოეულ ბავშვს ვთავაზობთ მხოლოდ იმ კონკრეტულ ამოცანებს, რაც მათთვისააა საჭირო. გვაქვს მეგობრული და თანამშრომლური ურთიერთობა. ჩვენი აბიტურიენტები ყოველთვის მაღალ ქულებს იღებენ გამოცდებზე, რაც ვფიქრობ, პირდაპირი მიზეზია ჩვენთან მომზადების.

6. **ამზადებთ თუ არა კერძოდ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც სკოლაშიც ასწავლით?**

არა. თუმცა, სკოლაში სწავლების პერიოდში, შინაგანაწესის თანახმად, ყოველგვარი ფინანსური საზღაურის გარეშე, ვამეცადინებდი დაბალი აკადემიური მოსწრების ბავშვებს სკოლაში, გაკვეთილების შემდეგ.

7. რით განსხვავდება თქვენი, როგორც რეპეტიტორის, სწავლების მეთოდები, სკოლაში არსებული სწავლების მეთოდებისგან?

პირველ რიგში, მეტი თავისუფლება მაქვს პროგრამის და სწავლების მეთოდის არჩევისას. ხშირად მივმართავთ არაფორმალური სწავლების მეთოდებს.

8. თქვენს სკოლაში კონტროლდება თუ არა სკოლის ადმინისტრაციის მიერ რეპეტიტორთა ისტიტუტი? თუ კი, რა სახით კონტროლდება?

ამ ეტაპზე ვფიქრობ, ეს კითხვა მე არ მეხება, თუმცა როდესაც ვასწავლიდი, სკოლის შიდაგანაწესი მკაცრად არეგულირებდა. დაუშვებელი იყო სკოლის ტერიტორიაზე მატერიალური საზღაურის სანაცვლოდ ბავშვის მომზადება.

9. რამდენად აქტიურად არიან მშობლები ჩართულნი შვილის მომზადების პროცესში?

ჩვენი ცენტრი მუდმივად უზრუნველყოფს უწყვეტ კავშირს მშობლებთან. თუ რაიმე დარღვევაა ვატყობინებ დირექციას, ისინი კი უკავშირდებიან მშობლებს. ხშირად მშობლებიც გამოხატავენ სურვილს დაესწრონ თავიანთი შვილების გაკვეთილებს. სწავლების დასაწყისშივე ერთობლივად განვიხილავთ რა იქნება მათი შვილისათვის უმჯობესი და შემდეგ მივყვებით დასახულ მიზანს.

10. როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს ბავშვების კერძოდ მზადების მოტივაციას?

ვფიქრობ ამის ერთ ერთი ფაქტორი მენტალიტეტია. მოსწავლეებიც და მშობლებიც მიიჩნევენ, რომ სკოლა ვერ იძლევა სათანადო განათლებას გამოცდების მაღალ ქულებზე ჩასაბარებლად და ამიტომ, იწყებენ კერძო მასწავლებლებთან სიარულს. ხშირ შემთხვევაში კი მას ირჩევენ ვინც მათთვის ნაცნობია და უკვე იციან მისი შესაძლებლობები.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამუამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა ბავშვების მოტივაციაზე?

ვფიქრობ, დადებითი შედეგი არ მოუტანია გამოცდების გაუქმებას. რამდენიმე მოსწავლემ, მას შემდეგ რაც გაიგო, რომ კატის გამოცდები გაუქმდა გაკვეთილებზე სიარულს თავი დაანება. იგივე შემიძლია ვთქვა ჩემი კოლეგების პრაქტიკიდან გამომდინარე. ვფიქრობ, გამოცდები კარგი სტიმულატორი იყო იმ ბავშვებისთვის, ვისაც სწავლის შინაგანი მოტივაცია არ გააჩნიათ, და მხოლოდ გარეგან მოტივაციას ეყრდნობიან.

12. შემცირდა თუ არა ნაკადი მას შემდეგ, რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

როგორც წინა კითხვაში ავღნიშნე, მოსწავლეების ნაკადზე ნამდვილად იმოქმედა სკოლის სავალდებულო გამოცდების გაუქმებამ.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

გარკვეულწილად შეიძლება ასეც მივიჩნიოთ, რადგან არსებობენ პედაგოგები, რომლებიც გამიზნულად ცუდად ასწავლიან მოსწავლეებს კლასში და შემდეგ დამატებით ამეცადინებენ. თუმცა ასეთი პედაგოგები საკმაოდ ცოტანი არიან.

14. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

ვფიქრობ, უმთავრესი ფაქტორი თავად მოსწავლეების დამოკიდებულებაა სკოლის მიმართ. ხშირი გაცდენები. გარკვეულწილად ის მასწავლებლებიც რომლებიც ვერ უწყობენ ფეხს თანამედროვე განათლების პრინციპებს და ისევ საბჭოთა კავშირის მეთოდებით ატარებენ გაკვეთილს.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

ჩემი აზრითაც და საერთო მაჩვენებლითაც ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროფესიაა.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

უარყოფითი უფრო ცოტა შემიძლია დავასახელო, ვიდრე დადებითი. უარყოფითია ალბათ მშობლების მიერ ზედმეტად გადახდილი ფული და ბავშვების მიერ სკოლის გაცდენა, იმ მოტივით, რომ მასწავლებლებთან იარონ.

დადებითი ფაქტორია გარანტირებული მაღალი აკადემიური მოსწრება სკოლაში. თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბება. მასწავლებლებისთვის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა. მასწავლებლის შრომის მაღალი ანაზღაურება. როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისთვის მორგებული სასწავლო გრაფიკი. სწავლების მაღალი სტანდარტები და თითქმის გარანტირებული გამოცდების ჩაბარება.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

ცალსახად არ შემიძლია განვსაზღვრო. თუ განათლების სისტემის რეფორმა მოხდება, ამ შემთხვევაში შემცირდება აუცილებლად. ამ ეტაპზე კი საჭიროდ მიმაჩნია რეპეტიტორთა ინსტიტუტის არსებობა, რადგან თანამედროვე სასწავლო პროგრამების ცენტრში დგას და სკოლის სისტემის ნაკლოვანების ტვირთს ატარებს.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

ამ ეტაპზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ცვლილებებს სავსებით ვეთანხმები. რეპეტიტორების დიდი ნაწილი შედგება იმ მასწავლებლებისაგან, რომლებიც სკოლაში არ ასწავლიან. ეს გამოწვეულია არასაკმარისი სამუშაო ადგილებით. თუ ძველი კადრების ჩანაცვლება მოხდება ახალი სიცოცხლით, რომლებიც ფლობენ თანამედროვე განათლების მეთოდებს და სტანდარტებს, ვფიქრობ, გამოაცოცხლებს სკოლებს და შესაბამისად,

საინტერესო გახდება ბავშვებისთვისაც. მასწავლებლობა არ მთავრდება გაკვეთილების დამთავრებასთან ერთად. უამრავი დაუსრულებელი საქმე მიჰყვება შინ მასწავლებელს. ამიტომ ანაზღაურებაც შესაბამისი უნდა იყოს. ხელფასების ზრდა და დამატებითი 90 მილიონის ჩადება განათლების სფეროში, ვფიქრობ რეპეტიტორების საკითხსაც მოაგვარებს და ფორმალური განათლების დონესაც მაღლა აწევს. ამ ეტაპზე სავსებით ვეთანხმები სახელმწიფო პილიტიკას განათლების სფეროში, თუმცა ერთი გამონაკლისიც არსებობს, სავალდებულო სასკოლო გამოცდები. ერთ -ერთი გარეგანი მოტივატორი, რომელიც ნამდვილად ესაჭიროება დღევანდელ მოზარდ თაობას.

<u>ინტერვიუ #5</u>

სახელი: თამარ / ასაკი:24 / პროფესია: ქართულის მასწავლებელი / კერძო სკოლა თუ საჯარო: კერძო

1. რა ფაქტორებმა განსაზღვრა თქვენი რეპეტიტორად გახდომა?

ფინანსურმა ფაქტორმა.

2. რამდენია თქვენი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი?

700 ლარი.

3. კერძო რეპეტიტორად მუშაობის გარდა ასწავლით თუ არა სკოლაში?

დიახ.

4. რა ასაკის კატეგორიის ბავშვებს ამზადებთ ძირითადად?

12-13 წლის მოსწავლეებს.

5. დაასახელეთ რამდენიმე მიზეზი/ფაქტორი რის გამოც ბავშვები ემზადებიან თქვენთან?

ძირითადად ემზადებიან იმიტონ რომ დაძლიონ სასკოლო პროგრამა.

6. ამზადებთ თუ არა კერძოდ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც სკოლაშიც ასწავლით?

არა.

7. რით განსხვავდება თქვენი, როგორც რეპეტიტორის, სწავლების მეთოდები, სკოლაში არსებული სწავლების მეთოდებისგან?

ე.ს.გ -ით გათვალისწინებული საპროგრამო მასალის გარდა დამატებით გრამატიკის შესწავლა და დამატებითი სავარჯიშოების შესრულება. რაც მთავარია ინდივიდუალური მუშაობა, რაც აისახება მასალის სწრაფ ათვისებაში.

8. თქვენს სკოლაში კონტროლდება თუ არა სკოლის ადმინისტრაციის მიერ რეპეტიტორთა ისტიტუტი? თუ კი, რა სახით კონტროლდება?

კი. გვეკრძალება ჩვენი მოსწავლეების დამატებით მომზადება ანაზღაურებით.

9. რამდენად აქტიურად არიან მშობლები ჩართულნი შვილის მომზადების პროცესში?

ნაკლებად. მათ ჰგონიათ, რადგან ფულს იხდიან უკვე ყველაფერი იციან თავიანთმა შვილებმა.

10. როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს ბავშვების კერძოდ მზადების მოტივაციას?

მშობლების მხრიდან სურვილი თავიანთი შვილები იყვნენ წარმატებული მოსწავლეები და მიაღწიონ წარმატებებს სკოლასა და შემდგომ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა ბავშვების მოტივაციაზე?

მეცადინეობის სურვილი გაუქრათ.

12. შემცირდა თუ არა ნაკადი მას შემდეგ, რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

ჩემთან არა.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

შესაძლოა გამოიწვიოს.

14. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

პოპულარულია რამდენადაც დიდია მოთხოვნა და მისი საჭიროება.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

ძალიან მოთხოვნადია, უკვე მშობლები ბავშვებს პირველი კლასიდან ამზადებენ, მგონი დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების უმეტესობა ემზადება რეპეტიტორთან.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითია, ამ დროს მოსწავლე უფრო მეტს სწავლობს, ვიდრე ჩვეულებრივ.

უარყოფითია, იმის გამო, რომ მას მშობელი მოამზადებს დამამთავრებელ კლასებში, მოსწავლეები ხელს იღებენ სწავლაზე. ეს უარყოფითად მოქმედებს საბოლოო შედეგებზე.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

კი. რადგან სკოლაში მოსწავლემ სკოლაში უნდა მიიღოს განათლება საშუალო დონეზე მაინც.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

პროფესიონალი მასწავლებლებით უნდა ჩანაცვლოს მასწავლებლები, უნდა შეცვალოს სახელმძღვანელოები და სკოები უნდა აღჭურვოს თანამდროვე ტექნიკით.

<u>ინტერვიუ #6</u>

სახელი: ნანა / ასაკი: 51 / პროფესია: პედაგოგი / კერძო სკოლა თუ საჯარო: საჯარო

1. რა ფაქტორებმა განსაზღვრა თქვენი რეპეტიტორად გახდომა?

პროფესიით ვარ პედაგოგი და რეპეტიტორის ინსტიტუტი ჩემთვის გაცილებით ფართო ასპარეზის მომცემია. უფრო მეტ მოზარდთან მიწევს ურთიერთობა რაც მეტ გამოცდილებას მძენს. ამასთან, მნიშვნელოვანია ინდივიდუალური მიდგომაც, რაც მხოლოდ ჯგუფთან მუშაობით არ გამოიხატება. თანაც უფრო დაფასებითია, ვიდრე სკოლაში მასწავლების ანაზღაურება.

2. რამდენია თქვენი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი?

1500-2000 ლარი.

3. კერძო რეპეტიტორად მუშაობის გარდა ასწავლით თუ არა სკოლაში?

დიახ. საჯარო სკოლაში

4. რა ასაკის კატეგორიის ბავშვებს ამზადებთ ძირითადად?

დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან.

5. დაასახელეთ რამდენიმე მიზეზი/ფაქტორი რის გამოც ბავშვები ემზადებიან თქვენთან?

ალბათ უფრო კლასში მოსწავლეთა რაოდენობის გამო და არასაკმარისი დროის გამო. ინდივიდუალური მიდგომა და მეტი ყურადღება, უკეთესად გაიგო მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და ინდივიდუალურად შეიმუშავო სასწავლო გეგმა, დაუთმო იმდენი დრო რამდენიც საჭიროა. დამატებით ხდება სხვა რესურსების შერჩევა. რაც საშუალებას მაძლევს უკეთესი ხარისხის ცოდნა მივცე ბავშვებს.

6. ამზადებთ თუ არა კერძოდ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც სკოლაშიც ასწავლით?

დიახ, არის ასეთი შემთხვევებიც იგივე მიზეზების გამო.

7. რით განსხვავდება თქვენი, როგორც რეპეტიტორის, სწავლების მეთოდები, სკოლაში არსებული სწავლების მეთოდებისგან?

სკოლაში მორგებული ხარ თვითონ სასწავლო გეგმას და პროცესს. ინდივიდუალურად კი უნდა მოერგო მოსწავლეს და შეიმუშავო ინდივიდუალური გრაფიკი და სასწავლო გეგმა. რა დრო ან რა მასალა სჭირდება მას ცოდნის ხარისხის მისაღებად.

8. თქვენს სკოლაში კონტროლდება თუ არა სკოლის ადმინისტრაციის მიერ რეპეტიტორთა ისტიტუტი? თუ კი, რა სახით კონტროლდება?

მეტ-ნაკლებად კონტროლდება სწრებადობის კუთხით.

9. რამდენად აქტიურად არიან მშობლები ჩართულნი შვილის მომზადების პროცესში?

ცალსახა პასუხი არ მაქვს ამ კითხვაზე.

10. როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს ბავშვების კერძოდ მზადების მოტივაციას?

რეპეტიტორს, სკოლის მასწავლებელთან შედარებით, აქვს გაცილებით დიდი მოტივაცია, რომ კარგად ასწავლოს მოსწავლეს და ბოლომდე დაიხარჯოს, რადგან მისი შემოსავლი უშუალოდ დამოკიდებულია მის მიერ გაცემული სერვისის ხარისხზე. ანუ, პასუხისმგებლობა არის ის, რითაც ხელმძვანელობს რეპეტიტორი, ის რომ მისი

შემოსავალი დამოკიდებულია მის გარჯაზე, ეს მას უბიძგებს მოეკიდოს საქმეს უფრო მეტი პასუხისმგებლობით, განსხვავებით სკოლის პედაგოგისგან, რომელიც უფრო მეტად ხელმძღვანელობს ვალდებულების პრინციპით. აქედან გამომდინარე, მოსწავლეც უფრო მოტივირებულია რეპეტიტორათან მომზადებით.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამუამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა ბავშვების მოტივაციაზე? მოტივაციაზე რამდენად იმოქმედა ვერ ვიტყვი, თუმცა ძალიან ცუდად აისახა კონკრეტული საგნების მიმართ მათ დამოკიდებულებაზე.

12. შემცირდა თუ არა ნაკადი მას შემდეგ, რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

კონკრეტულ საგნებზე რა თქმა უნდა. კერძოდ, რომელი საგნებიც არ სჭირდება აბიტურიენტს მისაღებ გამოცდაზე. მაგალითად ძალიან ბევრი მოწავლე გავიდა საბუნებისმეტყველო საგნებიდან რაც გაუქმდა გამოცდები.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

ეს საქმიანობა ჩრდილავს სკოლებს.

14. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

ფიქრობ, პირველ რიგში პოპულარულია, იმიტომ რომ კლასში რამდენიმე მოსწავლე თუ ემზადება რეპეტიტორთან, მშობელი თვლის, რომ თუ თავის შვილს არ მოამზადებს, ჩამორჩება სწავლაში თავის თანატოლებს. პოპულარულია მოთხონისდა შესაბამისად.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

ძალიან მოთხოვნადია.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითია ინდივიდუალური მიდგომა, ხოლო უარყოფითი ის რომ, სკოლამ დაკარგა თავისი ადგილი და ფასი, რაც ძალიან არ მომწონს. რეპეტიტორი ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ჩემი ეს საქმიანობაც კარგ შემოსავალს უკავშირდება, სკოლა არ მიტოვებს სხვა შანსს.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

უნდა შემცირდეს, რადგან გარკვეულწილად ეს გამოწვეულია სასაკოლო განათლების დაბალი ხარისხით და სკოლაში მიღებული ცოდნა არ არის გამოცდებთან შესაბამისი.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

სასკოლოს რეფორმა უნდა იყოს გამართული.

ინტერვიუ #7

სახელი: მარიამ / ასაკი: 25 / პროფესია: მაგისტრანტი, მასწავლებელი კერძო სკოლაში / კერძო სკოლა თუ საჯარო: კერძო

1. რა ფაქტორებმა განსაზღვრა თქვენი რეპეტიტორად გახდომა?

ბაკალავრიატზე დავამთავრე ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი, შემდგომ დავიწყე სკოლაში მუშაობა ქართულის მასწავლებელმა და სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ჩემი რეპეტიტორობა.

2. რამდენია თქვენი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი?

700 ლარი.

3. კერძო რეპეტიტორად მუშაობის გარდა ასწავლით თუ არა სკოლაში?

დიახ, როგორც უკვე ავღნიშნე ვასწავლი სკოლაში.

4. რა ასაკის კატეგორიის ბავშვებს ამზადებთ ძირითადად?

დაწყებითი კლასის მოსწალეებს ვამზადებ.

5. დაასახელეთ რამდენიმე მიზეზი/ფაქტორი რის გამოც ბავშვები ემზადებიან თქვენთან?

პირველ რიგში ალბათ იმიტომ, რომ სკოლაშიც ვასწავლი, რადგან თუ სკოლაში არ ასწავლი, ალბათ იშვიათია შენთან მოიყვანონ ბავშვი მოსამზადებლად.

6. ამზადებთ თუ არა კერძოდ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც სკოლაშიც ასწავლით?

არა იმ მოსწავლეებს, ვისაც სკოლაში ვასწავლი კერძოდ არ ვამზადებ.

7. რით განსხვავდება თქვენი, როგორც რეპეტიტორის, სწავლების მეთოდები, სკოლაში არსებული სწავლების მეთოდებისგან?

ვფიქრობ, რომ სკოლისგან განსხვავებით ინდივიდუალური მუშაობისას ბავშვთან განსახილველ თემას უფრო კონკრეტულად განიხილავ და უფრო მეტ დროს უთმობ, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესს.

8. თქვენს სკოლაში კონტროლდება თუ არა სკოლის ადმინისტრაციის მიერ რეპეტიტორთა ინსტიტუტი? თუ კი, რა სახით კონტროლდება?

არ კონტროლდება.

9. რამდენად აქტიურად არიან მშობლები ჩართულნი შვილის მომზადების პროცესში?

მშობლები ძალიან აქტიურად არიან ჩართულები ბავშვების სასწავლო პროცესში.

10. როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს ბავშვების კერძოდ მზადების მოტივაციას?

ვფიქრობ, მშობლები ასე უფრო იმედიანად გრძნობენ თავს, რომ მათი შვილები უფრო წარმატებული მოსწავლეები იქნებიან და უფრო მეტ ცოდნას შეიძენენ თუ ისინი კერძოდ მოემზადებიან.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა ბავშვების მოტივაციაზე?

ვფიქრობ, რომ ამ კონკრეტული შემთხვევით ბავშვების მოტივაციის დონემ დაბლა დაიწყო სვლა.

12. შემცირდა თუ არა ნაკადი მას შემდეგ, რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

ვერ გეტყვით რადგან მე მხოლოდ დაწყებითი კლასების ბავშვებს ვამზადებ. თუმცა ალბათ ნაკადი შემცირდებოდა.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

ვფიქრობ, რომ კი იწვევს.

14. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

სკოლებში არსებული ცუდი სიტუაცია, დიდი რაოდენობის ჯგუფები.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

დღესდღეობით საატესტატო გამოცდების გაუქმების შემდეგ ალბათ ისეთი პოპულარული აღარ არის როგორიც იყო.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითს რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ კარგია რეპეტიტორთან ბავშვის მომზადება, რადგან მასწავლებელი ბავშვს ეხმარება და უადვილდება სწავლება ბავშვს. თუმცა, ალბათ, უარყოფითია ის, რომ ამით ბავშვი დამოუკიდებელად სწავლებას გადაჩვეულია.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

ვფიქრობ, რომ კი უნდა შემცირდეს.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

ალბათ სკოლაში უფრო აქტიური სწავლება უნდა იყოს და აუცილებლად მოწმდებოდეს გაკვეთილები რა ხარისხით და როგორ ტარდება.

<u>ინტერვიუ #8</u>

სახელი: თეონა / ასაკი: 24 წლის / პროფესია: ინგლისური ფილოლოგი / კერძო სკოლა თუ საჯარო: საჯარო

1. რა ფაქტორებმა განსაზღვრა თქვენი რეპეტიტორად გახდომა?

ფინანსურმა მხარემ.

2. რამდენია თქვენი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი?

800 ლარი.

3. კერძო რეპეტიტორად მუშაობის გარდა ასწავლით თუ არა სკოლაში?

კი, საჯარო სკოლაში.

4. რა ასაკის კატეგორიის ბავშვებს ამზადებთ ძირითადად?

ძირითადად 11-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებს.

5. დაასახელეთ რამდენიმე მიზეზი/ფაქტორი რის გამოც ბავშვები ემზადებიან თქვენთან?

ძირითადად სამი მიზეზით: პირველი, მათ ვისაც სურთ ყველაფერი თავიდან დაიწყონ, მეორე, ვისაც სურს გაიღრმავოს ცოდნა და მესამე გამოცდებზე მიიღოს უკეთესი შედეგი.

6. ამზადებთ თუ არა კერძოდ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც სკოლაშიც ასწავლით?

არა, რადგან ისევე, როგორც რეპეტიტორობის დროს, სკოლაშიც, მაქსიმალურად ვცდილობ დავიხარჯო მოსწავლეებთან და გავუზიარო ჩემი ცოდნა.

7. რით განსხვავდება თქვენი, როგორც რეპეტიტორის, სწავლების მეთოდები, სკოლაში არსებული სწავლების მეთოდებისგან?

თითქმის არაფრით, თუ არ ჩავთვლით გარემოს. რეპეტიტორობის დროს ხან სად ვატარებ გაკვეთილს და ხან სად, განსხვავებით სკოლისგან.

8. თქვენს სკოლაში კონტროლდება თუ არა სკოლის ადმინისტრაციის მიერ რეპეტიტორთა ისტიტუტი? თუ კი, რა სახით კონტროლდება?

არა, არ კონტროლდება.

9. რამდენად აქტიურად არიან მშობლები ჩართულნი შვილის მომზადების პროცესში?

სამწუხაროდ, არც თუ ისე აქტიურად, რადგან მშობლებს სამსახურის გამო, თითქმის არ რჩებათ დრო ბავშვის მომზადებისთვის, ამიტომაც ურჩევნიათ შვილები რეპეტიტორთან ატარონ.

10. როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს ბავშვების კერძოდ მზადების მოტივაციას?

დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის გამოცდების უკეთ მომზადება, ხოლო პატარებისთვის სწავლის გაღრმავება.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა ბავშვების მოტივაციაზე?

ვფიქრობ, ერთის მხრივ, კარგია, რადგან გამოსაშვები გამოცდები ერთგვარ ტვირთად იყო ქცეული ბავშვებისთვის.

12. შემცირდა თუ არა ნაკადი მას შემდეგ, რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

გარკვეულ წილად კი.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

კი, იწვევს.

14. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

ჩემი აზრით რამოდენიმე ფაქტორია. პირველი დრო, რეპეტიტორს საშუალება, აქვს დახარჯოს იმდენი დრო, რამდენიც საჭირო იქნება მოსწავლესთვის. მეორე, თუნდაც სახელი, რომ რეპეტიტორთან მომზადებით ბევრმა მოსწავლემ ჩააბარა ეროვნული გამოცდები. მესამე, თითქოს „ მოდაში“ შემოვიდა რეპეტიტორობა.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

რეპეტიტორობა დღეს საქართველოში, ძალიან მოთხოვნადი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ გაუქმდა „კატის“ გამოცდები, დღეს თითქოს მოდაში შემოვიდა რეპეტიტორთან მომზადება. მშობლებს სამსახურის გამო აღარ რჩებათ დრო, რომ ამეცადინონ ბავშვები. ამიტომ, მიჰყავთ რეპეტიტორთან, რადგან შეუქმნან უკეთესი მომავალი.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

კერძო რეპეტიტორის დადებითი, რათქმაუნდა უფრო მეტი მუშაობაა. უარყოფითი ის, რომ ბავშვები დამოუკიდებლად აღარ მუშაობენ და ბოლომდე მინდობილები არიან რეპეტიტორებზე, ასევე უარყოფითში შეიძლება მივიჩნიოთ ფინანსური მხარე, რომელიც „ტვირთად“ აწევს ოჯახს.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

კი უნდა შემცირდეს. სახელმწიფომ უნდა აიყვანოს მაღალკვალიფიცირებული პედაგოგები, რადგან სწავლის დონე გაუმჯობესდეს. ნათქვამია: „ექიმის შეცდომა სასაფლაოზე წევს, ხოლო მასწავლებლის შეცდომა პარლამენტში ზის“. ამიტომ პროფესიონალი უნდა იყო.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

გაიზარდოს ხელფასები, რადგან ხელფასმა უნდა უზრუნველყოს პედაგოგის გათავისუფლება დამატებითი სამუშაოსაგან (რეპეტიტორობისაგან). ბოლო კლასებში სწავლა გაძლიერდეს, და შემცირდეს მოსწავლეების რაოდენობა კლასში, რომ პედაგოგმა ნაკლებ მოსწავლესთან შეძლოს ხარისხიანად მიაწოდოს ინფორმაცია.

<u>ინტერვიუ #9</u>

სახელი: თამარი / ასაკი: 38 / პროფესია: პედაგოგი / კერძო სკოლა თუ საჯარო: საჯარო

1. რა ფაქტორებმა განსაზღვრა თქვენი რეპეტიტორად გახდომა?

პირველ რიგში, მოსწავლეების მზაობამ, შეიძინონ უფრო მეტი ცოდნა, რასაც ვერ ასწრებენ საგაკვეთილო პროცესში. მეორე, რათა მქონდეს დამატებითი შემოსავლის წყარო.

2. რამდენია თქვენი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი?

500 ლარი.

3. კერძო რეპეტიტორად მუშაობის გარდა ასწავლით თუ არა სკოლაში?

დიახ.

4. რა ასაკის კატეგორიის ბავშვებს ამზადებთ ძირითადად?

დაწყებითი საფეხურის.

5. დაასახელეთ რამდენიმე მიზეზი/ფაქტორი რის გამოც ბავშვები ემზადებიან თქვენთან?

ძირითადად ემზადებიან ის მოსწავლეები, რომელთაც დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ, რადგანაც, უნდათ ცოდნის გაუმჯობესება.

6. ამზადებთ თუ არა კერძოდ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც სკოლაშიც ასწავლით?

დიახ.

7. რით განსხვავდება თქვენი, როგორც რეპეტიტორის, სწავლების მეთოდები, სკოლაში არსებული სწავლების მეთოდებისგან?

აბსოლიტურად ერთნაირად ვიხარჯები.

8. თქვენს სკოლაში კონტროლდება თუ არა სკოლის ადმინისტრაციის მიერ რეპეტიტორთა ისტიტუტი? თუ კი, რა სახით კონტროლდება?

არა.

9. რამდენად აქტიურად არიან მშობლები ჩართულნი შვილის მომზადების პროცესში?

მშობლებს აქვთ სურვილი, რომ მათმა შვილებმა იარონ რეპეტიტორთან, მაგრამ ამის საშუალებას მწირი ბიუჯეტი უშლის ხელს.

10. როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს ბავშვების კერძოდ მზადების მოტივაციას?

ბავშვი უფრო გახსნილია მასწავლებელთან, როცა მარტოა მასთან და უხარია, როცა აქვს უკეთესი შედეგი ვიდრე მანამდე ჰქონდა.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა ბავშვების მოტივაციაზე?

ჩვენს შემთხვევაში არ იგრძნობა, რადგანაც დაწყებითებს არ ჰქონდათ გამოცდა.

12. შემცირდა თუ არა ნაკადი მას შემდეგ, რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

ზოგადად კი.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

არა.

14. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

სკოლები ვერ აძლევენ სათანადო განათლებას მოსწავლეებს.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

დიდია მოთხოვნა რეპეტიტორებზე.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

ძალიან კარგია რეპეტიტორთან მომზადება ყველასთვის. უარყოფითი ეგაა, რომ ყველას არა აქვს კერძოდ მომზადების ფინანსები.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

არა.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

მასწავლებელი რეპეტიტორობას იწყებს დამატებითი შემოსავლის წყაროს მიზნით. არცერთ მასწავლებელს არ უხარია, სახლში დაბრუნებულს, დაღლილს, მშიერს კიდევ დამატებითი ენერგია დახარჯოს. სახელნწიფომ უნდა იზრუნოს პედაგოგებზე და მათი შრომა უკეთ დააფასოს.

<u>ინტერვიუ #10</u>

სახელი: ნათია / ასაკი: 32 / პროფესია: ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი / კერძო სკოლა თუ საჯარო: საჯარო

1. რა ფაქტორებმა განსაზღვრა თქვენი რეპეტიტორად გახდომა?

იმან განაპირობა, რომ მჭირდებოდა შემოსავალი.

2. რამდენია თქვენი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი?

გააჩნია თვეს. არდადეგებზე - არაფერი. სწავლის პერიოდში იმის მიხედვით, რამდენი მოსწავლე მყავს. ბოლო თვეებში - 400 ლარამდე.

3. კერძო რეპეტიტორად მუშაობის გარდა ასწავლით თუ არა სკოლაში?

ადრე ვასწავლიდი, ბოლო წელს - აღარ.

4. რა ასაკის კატეგორიის ბავშვებს ამზადებთ ძირითადად?

ამჯერად - უფროსკლასელებს, მეცხრე კლასიდან ზემოთ.

5. დაასახელეთ რამდენიმე მიზეზი/ფაქტორი რის გამოც ბავშვები ემზადებიან თქვენთან?

სკოლაში ვერ იღებენ საკმარის ინფორმაციას, ზოგჯერ მასწავლებელი ვერ/არ ხსნის კარგად, ზოგჯერ თვითონ მოსწავლეა უყურადღებოდ და ცალკე ჯდომა სჭირდება, რომ გული დაუდოს მასალას.

6. ამზადებთ თუ არა კერძოდ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც სკოლაშიც ასწავლით?

არა. როცა მთხოვდნენ, უარს ვამბობდი, არაეთიკური მგონია ასეთი რამე.

7. რით განსხვავდება თქვენი, როგორც რეპეტიტორის, სწავლების მეთოდები, სკოლაში არსებული სწავლების მეთოდებისგან?

რეპეტიტორობისას არ მაქვს ერთზე მეტი ბავშვისთვის განსაზღვრული აქტივობები (ჯგუფური სამუშაოები და ა.შ.). სხვა მხრივ, განსხვავება დიდად არაა, ვცდილობ, ერთნაირად

ამომწურავად მივაწოდო მასალა კლასსაც (როცა ვასწავლიდი) და ერთ ბავშვსაც, ამას უმეტესად ინტერაქციის სახე აქვს, ზოგჯერ - მონოლოგის, ვმეცადინეობთ ყველა დეტალზე, რაც სჭირდებათ - წერა, მეტყველება, თემის აგება, მსჯელობა, განხილვა.

8. თქვენს სკოლაში კონტროლდება თუ არა სკოლის ადმინისტრაციის მიერ რეპეტიტორთა ინსტიტუტი? თუ კი, რა სახით კონტროლდება?

როცა სკოლაში ვმუშაობდი, არავის უკონტროლებია რეპეტიტორობის ინტიტუტი.

9. რამდენად აქტიურად არიან მშობლები ჩართულნი შვილის მომზადების პროცესში?

გააჩნია მშობელს. უმეტესად, დასაწყისში უფრო აქტიურობენ, ადევნებენ თვალს ბავშვის წინსვლას, მერე და მერე - შედარებით, იშვიათად.

10. როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს ბავშვების კერძოდ მზადების მოტივაციას?

მოტივაცია, ალბათ, ისაა, რომ ბავშვს ან სკოლის მასწავლებელს არ ენდობიან და უნდათ, პირადად უხელმძღვანელოს ვინმემ მოსწავლის წინსვლას. ზოგ ბავშვს გულმოდგინების მიუხედავადაც სჭირდება დახმარება რაღაც საკითხებზე, რაშიც მშობელი ვერ ეხმარება და საჭირო ხდება რეპეტიტორი. ასევე, პრობლემაა წიგნიერების დაბალი დონე, რის შედეგადაც ბავშვებს უჭირთ აზრის ფორმირება, თემების წერა. ჩემთვის ხშირად მოუმართავთ ამ კონკრეტული პრობლემით.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამუამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა ბავშვების მოტივაციაზე?

იმოქმედა არამარტო ბავშვებზე, არამედ - მასწავლებლებზეც, ზოგიერთმა შეწყვიტა საპროგრამო მასალის სწავლ(ებ)ა და ამუშავებენ უცხო ტექსტებს (ეროვნულისთვის).

12. შემცირდა თუ არა ნაკადი მას შემდეგ, რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

სკოლიდან წამოსვლის მერე ისედაც ბევრ მოსწავლეზე ვთქვი უარი, მათ შორის, აბიტურიენტებზეც, შესაბამისად, არ შემხებია კატის მერე მათი რაოდენობის ცვლილება.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

მგონია, რომ იწვევს ნაწილობრივ მაინც. ძირითადად, მასწავლებლების არაპროფესიონალიზმის გამო აჰყავთ რეპეტიტორები, მაგრამ ისიც გამიგია, რომ მასწავლებელი პირდაპირ მიანიშნებს მოსწავლე-მშობლებს მასთან მომზადების თაობაზე.

14. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

ფორმალური განათლების მახასიათებლად თუ ჩაითვლება - მასწავლებელთა არაპროფესიონალიზმი ან/და არაკეთილსინდისიერება, პლუს დაბალი შემოსავალი, რაც მოტივაციას ზრდის, სკოლაში ძალები დაზოგონ და კერძო მოსწავლეებს დაახარჯონ.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

საკმაოდ მოთხოვნადია. ბევრი შემოთავაზება იყო წელს(აც) სხვადასხვა ასაკის მოსწავლეების მშობლებისგან.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითი - ზოგჯერ ბავშვს კარგი პედაგოგიც ჰყავს და არც თავადაა ზარმაცი, მაგრამ მაინც სჭირდება კონკრეტულ საკითხებზე ხელის წაშველება. ამაში რეპეტიტორი დაეხმარება. უარყოფითი - სკოლაში ყურადღების დაძაბვით ბევრი თავს აღარ იწუხებს ("მაინც ამიხსნის/აუხსნის მასწავლებელი"); ეცემა სკოლის ავტორიტეტი; კონცენტრირება კერძო გაკვეთილებზე და სკოლაში ბოლო წელს სიტემატური გაცდენები. შედეგი - კიდევ ნაკლები ნდობა და ყურადღება სკოლას და ნაკლები შესაძლებლობა, რომ ბავშვს რამე მისცეს.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

უნდა შემცირდეს. სკოლის გაკვეთილებზე უნდა იყოს აქცენტი მასწავლებლისგანაც, მოსწავლისგანაც, მშობლისგანაც.

რეპეტიტორობის ინსტიტუტმა ლამის ფუნქცია დააკარგინოს სკოლას (განსაკუთრებით - ბოლო კლასებში).

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

მგონია, რომ რაც გაკეთდა - გამოცდების და თავისუფალი გაცდენების გაუქმება - არის კარგი. თუკი ახლა კონკრეტულ ტექსტებს აღარ ამუშავებენ, ადრე ამას მხოლოდ გამოცდისთვის აკეთებდნენ და შეშინებულები აუცილებლად ემზადებოდნენ რეპეტიტორთან, მერე კი, როცა ჩაბარებდნენ, ერთიანად ავიწყდებოდათ ნასწავლი.

ჩემი აზრით, გაცდენებზე კიდევ მეტი შეზღუდვა უნდა იყოს. იქნებ, ასე ნელ-ნელა მეტი დრო გაატარონ ბავშვებმა სკოლაში ბოლო კლასებში და მეტადაც გამოიყენონ ეს დრო. მე ვიცნობ მასწავლებლებს და ბავშვებს, ვინც სრულად გადიოდა პროგრამას სკოლაში, და რეპეტოტრებთან მისულები ხვდებოდნენ, რამდენი რამე იცოდნენ. რაც მეტს ექნება ასეთი გამოცდილება, მით მალე მივხვდებით, რა არის სკოლის დანიშნულება სინამდვილეში და დავუბრუნებთ მას თავის ფუნქციას.

ასევე - პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ მაქსიმალური ხელშეწყობა და უფრო მაღალი ხელფასი. როცა საარსებო სახსრების მოძიება გიწევს, ძნელია, არ იფიქრო კერძო მოსწავლეებზე, მათზე დახარჯული ენერგია კი შეიძლება, მოაკლდეს სკოლას.

<u>დანართი #2.</u>

<u>კითხვარი მოსწავლეებისთვის:</u>

სახელი:

ასაკი:

კლასი:

კერძო თუ საჯარო სკოლა:

1. რამდენი ხანია ემზადებით კერძო რეპეტიტორთან? რამდენ საგანში?

2. რა მიზეზების გამო გადაწყვიტეთ რეპეტიტორთან სიარული?

3. მასწავლებელი თქვენ შეარჩიეთ თუ მშობელმა?

4. რა კრიტერიუმებით აარჩიეთ პედაგოგი?

5. როგორ მასწავლებელს ანიჭებთ უპირატესობას?

6. თქვენი რეპეტიტორი იგივე მასწავლებელია რომელიც იმავე საგანს გასწავლით სკოლაში?

7. განსხვავდება თუ არა რეპეტიტორის დამოკიდებულება სკოლის მასწავლებლის დამოკიდებულებისაგან სწავლების პროცესში?

8. საშუალოდ რამდენ დროს ატარებთ კერძო რეპეტიტორთან?

9. გიწევთ თუ არა გაკვეთილების გაცდენის ხარჯზე კერძო რეპეტიტორთან სიარული?

10. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი აკადემიური მოსწრება?

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენს მოტივაციაზე?

12. შემცირდა თუ არა თქვენი მოტიაცია მას შემდეგ რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

13. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ დამატებით მათთან მეცადინეობა?

14. როგორ ფიქრობთ რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

<u>ინტერვიუ #1</u>

სახელი: ქეთი / ასაკი: 18 / კლასი: მე-12 / კერძო თუ საჯარო სკოლა: საჯარო

1. რამდენი ხანია ემზადებით კერძო რეპეტიტორთან? რამდენ საგანში?

6 თვეა, 1 საგანში.

2. რა მიზეზების გამო გადაწყვიტეთ რეპეტიტორთან სიარული?

იმის გამო, რომ სკოლამ შესაბამისი ცოდნა ვერ მომცა ამ კონკრეტულ საგანში.

3. მასწავლებელი თქვენ შეარჩიეთ თუ მშობელმა?

ჩემით.

4. რა კრიტერიუმებით აარჩიეთ პედაგოგი?

ის უნდა ყოფილიყო მცოდნე ამ საგანში, უნდა ჰქონოდა გადმოცემის ძალიან კარგი უნარი და მორგებული უნდა ყოფილიყო ჩემს ხასიათზე.

5. როგორ მასწავლებელს ანიჭებთ უპირატესობას?

აქტიურსა და მცოდნეს.

6. თქვენი რეპეტიტორი იგივე მასწავლებელია რომელიც იმავე საგანს გასწავლით სკოლაში?

არა.

7. განსხვავდება თუ არა რეპეტიტორის დამოკიდებულება სკოლის მასწავლებლის დამოკიდებულებისაგან სწავლების პროცესში?

რა თქმა უნდა, რეპეტიტორთან თავს ისე გრძნობ როგორც სახლში და არა სკოლაში, უფრო თავისუფლად ხარ.

8. საშუალოდ რამდენ დროს ატარებთ კერძო რეპეტიტორთან?

1 სთ და 30 წთ.

9. გიწევთ თუ არა გაკვეთილების გაცდენის ხარჯზე კერძო რეპეტიტორთან სიარული?

დიახ, სამწუხაროდ.

10. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი აკადემიური მოსწრება?

ასე ვერ შევადრი იმიტომ, რომ ბევრს არ სჭირდება საერთოდ რეპეტიტორი ან ეს უკანასკნელიც კი ვერ შველის. ყველას განსხვავებული შესაძლებლობები აქვს.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენს მოტივაციაზე?

გამოცდების გაუქმებამ ჩემს მოტივაციაზე დიდად ვერ მოახდინა გავლენა იმიტომ, რომ ჩემთვის მთავარი მოტივატორი ერთიანი ეროვნული გამოცდები იყო და არა კატის, თუმცა ვფიქრობ, რომ რაღაც დონეზე მაინც უარყოთად იმოქმედა ამ გამოცდების გაუქმებამ ჩემზე.

12. შემცირდა თუ არა თქვენი მოტიაცია მას შემდეგ რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

არა.

13. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ დამატებით მათთან მეცადინეობა?

არა, არ ვფიქრობ ასე.

14. როგორ ფიქრობთ რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

პირველ რიგში ის, რომ ყველა სკოლა ვერ აძლევს მოსწავლეს იმ ცოდნას რაც მას გამოცდებზე სჭირდება და შესაბამისად მოსწავლე იძულებულია იაროს რეპეტიტორთან. სხვა მხრივ, მოსწავლეები იმიტომ დადიან რეპეტიტორებთან, რომ ისინი გამოცდებისთვის ამზადებენ მათ, რაც უფრო მეტ შანსს იძლევა გამოცდების წამატებით ჩაბარების.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

იმდენად მოთხოვნადია, რომ დღეს იშვიათია აბიტურიენტი საქართველოში, რომელიც რეპეტიტორთან არ დადის.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

ვფიქრობ დადებითი მხარე ისაა, რომ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აინაზღაუროს ის დანაკლისი რასაც სკოლაში განიცდის, ასევე ის, რომ გამოცდის კარგად ჩაბარების შანსი გაიზრდება. უარყოფითი მხარე ისაა, რომ ბევრი მოსწავლე რეპეტიტორთან მომზადების იმედით სკოლაში კარგად აღარ სწავლობს. ასევე აღსანიშნავია, რომ ბევრი რეპეტიტორი უბრალოდ აზეპირებინებს აბიტურიენტებს კონკრეტულ დავალებებს, რაც ცოდნის მიღება ნამდვილად არაა.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

უნდა შემცირდეს.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

სკოლებში უნდა განხორციელდეს განათლების ძირეული რეფორმები, რადგან მოსწავლემ შეძლოს სათანადო ცოდნის მიღება და არ დასჭირდეს დამატებით მომზადება. ყველას არ გააჩნია ამის შესაძლებლობა.

<u>ინტერვიუ #2</u>

სახელი: ნიკა / ასაკი:18 / კლასი:12 / კერძო თუ საჯარო სკოლა: საჯარო

1. რამდენი ხანია ემზადებით კერძო რეპეტიტორთან? რამდენ საგანში?

1 წელია დაახლოებით.

2. რა მიზეზების გამო გადაწყვიტეთ რეპეტიტორთან სიარული?

სკოლაში არასაკამარისი განათლების მიღების გამო.

3. მასწავლებელი თქვენ შეარჩიეთ თუ მშობელმა?

მე თვითონ ავარჩიე.

4. რა კრიტერიუმებით აარჩიეთ პედაგოგი?

მეგობრების რჩევით.

5. როგორ მასწავლებელს ანიჭებთ უპირატესობას?

გამოცდილს და საინტერესო პიროვნებას, რაც მხოლოდ კონკრეტული საგნის ცოდნით არ გამოიხატება.

6. თქვენი რეპეტიტორი იგივე მასწავლებელია რომელიც იმავე საგანს გასწავლით სკოლაში?

არა.

7. განსხვავდება თუ არა რეპეტიტორის დამოკიდებულება სკოლის მასწავლებლის დამოკიდებულებისაგან სწავლების პროცესში?

კი, რეპეტიტორი უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს და არ მაძლევს მოდუნების საშუალებას.

8. საშუალოდ რამდენ დროს ატარებთ კერძო რეპეტიტორთან?

კვირაში 2-ჯერ, თითო შეხვედრა საათ-ნახევარი.

9. გიწევთ თუ არა გაკვეთილების გაცდენის ხარჯზე კერძო რეპეტიტორთან სიარული?

არა, რადგან გაცდენებზე პრობლემებია, ამასთან სკოლაშიც ფუჭად მიწევს დროის გატარება, რაც ორმაგად მღლის.

10. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი აკადემიური მოსწრება?

როგორც უკვე ავღნიშნე, რომ არა გაცდენების პრობლემა ალბათ დაბალი იქნებოდა ჩემი აკადემიური მოსწრება.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენს მოტივაციაზე?

მოტივაციაზე იმოქმედა თქო ვერ ვიტყვით, თუმცა აქამდე თუ მიწევდა გარკვეული საგნებთან შეხება, დღეს კონკრეტულ საგნებს აღარ ვუთმობ დროს.

12. შემცირდა თუ არა თქვენი მოტიაცია მას შემდეგ რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

ვფიქრობ, არა.

13. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ დამატებით მათთან მეცადინეობა?

ეს მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია. ამას შეიძლება დაემატოს პროფესიონალიზმიც, ვფიქრობ, სკოლა ის ადგილია, სადაც ძალიან ყურადღებით უნდა შეირჩეს კადრი. მხოლოდ ანაზღაურება არ განაპირობებს.

14. როგორ ფიქრობთ რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

პირველ რიგში, სკოლაში არსებული სიტუაცია. მეორე რიგში, კონკრეტული რეპეტიტორის პროფესიონალიზმი და დამოკიდებულება მოსწავლეებთან. უფრო ფართოდ და საინტერესოდ შემოთავაზებული გაკვეთილები.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

საკმაოდ, ჩემს ირგვლის თითქმის ყველა ემზადება, რომელიმე ერთ საგანში მაინც.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითი უფრო პასუხისმგებლობას და ყუარდღებას ვგრძნობ, სიღმისეულად გავდივარ პროგრამას. არ მეძლევა საშუალება, რომ არ შევასრულო ჩემი მოვალეობა.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

შემცირება იმ შემთხვევაში თუ საჭიროება აღარ იქნება და სკოლა მოგვცემს საჭირო განათლებას.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

განათლების სისტემას სჭირდება სრული ამოყირავება.

<u>ინტერვიუ #3</u>

სახელი: ანასტასია / ასაკი:16 / კლასი:11 / კერძო თუ საჯარო სკოლა: კერძო

1. რამდენი ხანია ემზადებით კერძო რეპეტიტორთან? რამდენ საგანში?

წელს დაიწყე ინგლისურში, უკვე რამდენიმე თქვეა, და სამომალოდ ზოგადებშიც ვაპირებ მომზადებას.

2. რა მიზეზების გამო გადაწყვიტეთ რეპეტიტორთან სიარული?

ვფიქრობ, იმისთვის რომ ეროვნული გამოცდები ჩავაბარო, მჭირდება მომზადება. მაგალითად ინგლისურში მეტი კვალიფიციური მასწავლებელი რომ იყოს უკეთესი იქნება, ან მეტი პრაქტიკა უცხო ენაში.

3. მასწავლებელი თქვენ შეარჩიეთ თუ მშობელმა?

ჩემი ახლობლები ვისთანაც დადიან, იმ რეპეტიტორთან დავდივარ, ორივემ ერთად შევარჩიეთ.

4. რა კრიტერიუმებით აარჩიეთ პედაგოგი?

ჩემი რეპეტიტორი ახალგაზრდა და ენერგიულია, რაც ვფიქრობ მნიშვნელოვანია.

5. როგორ მასწავლებელს ანიჭებთ უპირატესობას?

გამოცდილ, ენერგიულ და კომუნიკაბელურს.

6. თქვენი რეპეტიტორი იგივე მასწავლებელია რომელიც იმავე საგანს გასწავლით სკოლაში?

არა, სხვასთან დავდივარ.

7. განსხვავდება თუ არა რეპეტიტორის დამოკიდებულება სკოლის მასწავლებლის დამოკიდებულებისაგან სწავლების პროცესში?

ვფიქრობ, რომ განსხვავდება თუნდაც იმ კუთხით, რომ ინდივიდუალურად გვიწევს მუშაობა მასთან.

8. საშუალოდ რამდენ დროს ატარებთ კერძო რეპეტიტორთან?

ინგლისურში კვირაში სამჯერ დავდივარ, თითო საათით.

9. გიწევთ თუ არა გაკვეთილების გაცდენის ხარჯზე კერძო რეპეტიტორთან სიარული?

გაკვეთილების ხარჯზე არა, რადგან, ვფიქრობ, რომ გაკვეთილზეც მივიღებ გარკვეულ ცოდნას.

10. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი აკადემიური მოსწრება?

ვინც რეპეტიტორთან დადის, ფაქტიურად ორმაგ ცოდნას იღებს, ჩემი აკადემიური მოსწრებაც გაიზარდა ინგლისურში, რაც რეპეტიტორთან დავდივარ.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამუამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენს მოტივაციაზე?

სიმართლე გითხრათ გამიმარტივდა, რადან საგნებს, რომლებიც არ მაინტერესებდა და გამოცდის გამო ვაქცევდი ყურადღებას ამიერიდან, უფრო ნაკლებ ყურაღებას დავუთმობ. ამ დროს კი ჩემთვის საინტერესო საგანს მოვახმარ.

12. შემცირდა თუ არა თქვენი მოტიაცია მას შემდეგ რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

რომელი საგანიც არ მაქვს ეროვნულებზე ჩასაბარებელი და არ მაინტერესებს, რა თქმა უნდა იმ საგნების მიმართ სწავლის მოტივაცია შემიმცირდა.

13. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ დამატებით მათთან მეცადინეობა?

ეს მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია.

14. როგორ ფიქრობთ რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

პირველ რიგში, სკოლაში არსებული სიტუაცია. განათლების რეფორმის გაუმართაობა.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

მახსოვს, რამდენიმე წლის წინ თითქმის არავინ ემზადებოდა ჩემს კლასში, დღეს კი ყველა მეორე ემზადება, ამიტომ ძალიან მოთხოვნადია და უფრო იზრდება ეს მოთხოვნა.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

უარყოფითი ალბათ დამატებითი ხარჯებია, დადებითია, ის რომ მეტ ცოდნას იღებს, რაც არ მგონია რომ ცუდი იყოს.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

ვფიქრობ, რეპეტიტორის ინსტიტუტი ყოველთვის იქნება, რადგან ეს ნებაყოფლობითია. თუმცა უკეთესია თუ შემცირდება.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

რეფორმის ცვლილებაა საჭირო.

<u>ინტერვიუ #4</u>

სახელი: ლილი / ასაკი: 18 / კლასი: მე-12 / კერძო თუ საჯარო სკოლა: საჯარო

1. რამდენი ხანია ემზადებით კერძო რეპეტიტორთან? რამდენ საგანში?

ერთი წელი, 5 საგანში.

2. რა მიზეზების გამო გადაწყვიტეთ რეპეტიტორთან სიარული?

საგამოცდოდ მჭირდებოდა რეპეტიტორთან სიარული.

3. მასწავლებელი თქვენ შეარჩიეთ თუ მშობელმა?

მე შევარჩიე.

4. რა კრიტერიუმებით აარჩიეთ პედაგოგი?

დავეკითხე მეგობრებს ვინც დადიოდა მასწავლებლებთან.

5. როგორ მასწავლებელს ანიჭებთ უპირატესობას?

პროფესიონალებს და აგრეთვე დიდ ყურადღებას ვაქცევ პიროვნულობას.

6. თქვენი რეპეტიტორი იგივე მასწავლებელია რომელიც იმავე საგანს გასწავლით სკოლაში?

არა.

7. განსხვავდება თუ არა რეპეტიტორის დამოკიდებულება სკოლის მასწავლებლის დამოკიდებულებისაგან სწავლების პროცესში?

დიახ, რა თქმა უნდა, მიდგომა განსხავდება მოსწავლეებისადმი.

8. საშუალოდ რამდენ დროს ატარებთ კერძო რეპეტიტორთან?

1:30 ან 2 საათი, კვირაში 3-ჯერ.

9. გიწევთ თუ არა გაკვეთილების გაცდენის ხარჯზე კერძო რეპეტიტორთან სიარული?

კი.

10. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი აკადემიური მოსწრება?

დრო აქ მაქვს იმისთვის, რომ დავაკვირდე ამ ყოველივეს, მაგრამ ვთვლი, რომ მაღალია.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენს მოტივაციაზე?

არ იმოქმედა.

12. შემცირდა თუ არა თქვენი მოტიაცია მას შემდეგ რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

არა.

13. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ დამატებით მათთან მეცადინეობა?

კი, მქონდა მსგავსი გამოცდილება.

14. როგორ თვიქრობთ რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

არასათანადო განათლების მიცემა სკოლაში, მასწავლებლების დამოკიდებულება და ზოგადად საზოგადოების დამოკიდებულება სკოლის რეპეტიტორებთან და სკოლის გარეთ რეპეტიტორებთან.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

საკმაოდ მოთხოვნადია.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

უარყოფითი- საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, დადებითი- თუ ეს უბრალოდ შემეცნებითი და გარე აქტივობაა, მაშინ სრულიად მისაღები და სასიხარულოა.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

დიახ, სკოლებში სათანადო განათლებას უნდა იძლეოდნენ, რომ გაქრეს სკოლის გარეთ რეპეტიტორთა ინსტიტუტი.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

კადრები უნდა გადაამუშაონ და უფრო მკაცრად უნდა კონტროლდებოდნენ მასწავლებლები, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე პროფესიულ დონეზე.

<u>ინტერვიუ #5</u>

სახელი: ანრი / ასაკი: 17 / კლასი: მე-12 / კერძო თუ საჯარო სკოლა: საჯარო

1. რამდენი ხანია ემზადებით კერძო რეპეტიტორთან? რამდენ საგანში?

უკვე 9 თვეა. ემზადები 5 საგანში.

2. რა მიზეზების გამო გადაწყვიტეთ რეპეტიტორთან მომზადება?

ვიცოდი, რომ რეპეტიტორის გარეშე ვერ შევძლებდი გამოცდების ჩაბარებას.

3. მასწავლებელი თქვენ შეარჩიეთ თუ მშობელმა?

მე.

4. რა კრიტერიუმით შეარჩიეთ რეპეტიტორი?

ზოგი რჩევით, ზოგიც ახლობელია.

5. როგორ მასწავლებელს ანიჭებთ უპირატესობას?

მეგობრულს.

6. თქვენი რეპეტიტორი იგივე მასწავლებელია რომელიც იმავე საგანს გასწავლით სკოლაში?

კი.

7. განსხვავდება თუ არა რეპეტიტორის დამოკიდებულება სკოლის მასწავლებლის დამოკიდებულებისაგან სწავლების პროცესში?

კი, რეპეტიტორთან ინდივიდუალურად ხდება მეცადინეობა, და მისი ყურადღება ერთ მოსწავლეზეა გადატანილი, რაც სკოლაში ვერ ხერხდება.

8. საშუალოდ რამდენ დროს ატარებთ კერძო რეპეტიტორთან?

კვირაში 30 საათი.

9. გიწევთ თუ არა გაკვეთილების გაცდენის ხარჯზე კერძო რეპეტიტორთან სიარული?

არა.

10. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი აკადემიური მოსწრება?

არ ვიცი, არ ვაკვირდები ხოლმე სხვის ნიშნებს.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამუამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენს მოტივაციაზე?

მოტივაციაზე არ უმოქმედია, მაგრამ რაცოდნა მაქვს ამა თუ იმ საგანში ვეღარ მივხვდები.

12. შემცირდა თუ არა თქვენი მოტიაცია მას შემდეგ რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

არა.

13. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ დამატებით მათთან მეცადინეობა?

რავი, არიან ყველანაირი კატეგორიის მასწავლებლები, ამიტომ შეიძლება ეგეც იყოს.

14. როგორ ფიქრობთ რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

მეტი ცოდნის მიღება რა თქმა უნდა.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

იმაზე მეტად მოთხოვნადია, ვიდრე წარმოგიდგენია.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითია ის, რომ დამატებით ცოდნას იღებ, უფრო მეტი პასუხისმგებლობა გაქვს სწავლის მიმართ, რადგან იცი რომ ფულს იხდი და ტყუილად დროს ვერ დაკარგავ. უარყოფითია, ალბათ ეს ხარჯები და ის რომ უკვე სკოლამ დაკარგა თავისი ძალა.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

დიახ, უნდა შემცირდეს.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

ხელფასები უნდა გაზარდონ სკოლებში და მეტი სიმკაცრე უნდა იყოს.

<u>ინტერვიუ #6</u>

სახელი: მარიამი / ასაკი: 18 / კლასი: მე-12 / კერძო თუ საჯარო სკოლა: საჯარო

1. რამდენი ხანია ემზადებით კერძო რეპეტიტორთან? რამდენ საგანში?

6 თვე, სამ საგანში, რომლებიც ეროვნული გამოცდებისთვის მჭირდება.

2. რა მიზეზების გამო გადაწყვიტეთ რეპეტიტორთან სიარული?

რა თქმა უნდა, გამოცდების ჩასაბარებლად.

3. მასწავლებელი თქვენ შეარჩიეთ თუ მშობელმა?

მე თვითონ ავარჩიე, ჩემმა კლასელმა მირჩია და კმაყოფილი ვარ მისი პროფესიონალიზმით და მეგობრული დამოკიდებულებით მოსწავლეების მიმართ.

4. რა კრიტერიუმებით აარჩიეთ პედაგოგი?

ვიცოდი, რომ ძალიან ძლიერი მასწავლებლები იყვნენ და კარგად მოვემზადებოდი.

5. როგორ მასწავლებელს ანიჭებთ უპირატესობას?

თანამედროვე აზროვნების უნდა იყოს.

6. თქვენი რეპეტიტორი იგივე მასწავლებელია რომელიც იმავე საგანს გასწავლით სკოლაში?

არა.

7. განსხვავდება თუ არა რეპეტიტორის დამოკიდებულება სკოლის მასწავლებლის დამოკიდებულებისაგან სწავლების პროცესში?

რა თქმა უნდა, რეპეტიტორი უფრო მეგობრულად გექცევა, რაც ურთიერთობას უფრო ამარტივებს, და მოტივაციას გაძლევს, რომ კარგად ისწავლო.

8. საშუალოდ რამდენ დროს ატარებთ კერძო რეპეტიტორთან?

დაახლოებით 1 საათს, ან საათ-ნახევარს.

9. გიწევთ თუ არა გაკვეთილების გაცდენის ხარჯზე კერძო რეპეტიტორთან სიარული?

არა, გაკვეთილების შემდეგ დავდივარ და შაბათ დღეს.

10. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი აკადემიური მოსწრება?

იგივეა.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენს მოტივაციაზე?

ვფიქრობ, ერთ-ერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღეს გამოცდების მოხსნით.

12. შემცირდა თუ არა თქვენი მოტიაცია მას შემდეგ რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

არა, პირიქით, გაიზარდა. ახლა მხოლოდ ნამდვილად რაც მჭირდება იმ საგნებს ვმეცადინეობ, და მთლიანი მოტივაცია მათზე მაქვს გადატანილი.

13. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ დამატებით მათთან მეცადინეობა?

მასწავლებლების უმეტესობა კლასში ბავშვების რაოდენობის გამო ვერ ასწავლის კარგად.

14. როგორ ფიქრობთ რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

ისევ და ისევ გამოცდებისთის მომზადება, ძირითადად მაგის გამო ემზადებიან ხოლმე.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

უფრო მოთხოვნადია, ვიდრე წინა წლებში, და ფიქრობ, მომავალში უფრო მოთხოვნადი გახდება, ვიდრე ახლაა.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დიდ ენერგიას და ცოდნას გაძლევს, მაგრამ თანხების ხარჯვის გამო უარყოფითად შევაფასებ.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

უნდა შემცირდებს და სკოლებში მეტად დაკმაყოფილებული უნდა იყოს მოსწავლეების და მშობლების მოთხოვნები.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

სკოლის მასწავლებლებს ხელფასები მოუმატონ, სკოლა უნდა იყოს დიდი კონტროლის ქვეშ და მასწავლებლების გარდა ბავშებთან ფსიქოლოგებმაც უნდა იმუშავონ, რაც ევროპის ქვეყნებში ჩვეულებრივი ამბავია.

<u>ინტერვიუ #7</u>

სახელი: ბუბა / ასაკი: 18 / კლასი: 12 / კერძო თუ საჯარო სკოლა: საჯარო

1. რამდენი ხანია ემზადებით კერძო რეპეტიტორთან? რამდენ საგანში?

10 თვეა, ოთხ საგანში.

2. რა მიზეზების გამო გადაწყვიტეთ რეპეტიტორთან სიარული?

მიმეღო უფრო მეტი განათლება კონკრეტულ საგანში.

3. მასწავლებელი თქვენ შეარჩიეთ თუ მშობელმა?

ნაწილი პირადად, ნაწილი მშობელმა.

4. რა კრიტერიუმებით აარჩიეთ პედაგოგი?

გამოცდილების და მოსწავლესთან კომუნიკაციის, დამოკიდებულების მიხედვით.

5. როგორ მასწავლებელს ანიჭებთ უპირატესობას?

რომელსაც აქვს საკუთარი მიდგომა მოსწავლესთან და გააჩნია გამოცდილება მოცემულ საგანში.

6. თქვენი რეპეტიტორი იგივე მასწავლებელია რომელიც იმავე საგანს გასწავლით სკოლაში?

არა.

7. განსხვავდება თუ არა რეპეტიტორის დამოკიდებულება სკოლის მასწავლებლის დამოკიდებულებისაგან სწავლების პროცესში?

დიახ, განსხვავდება. რეპეტიტორი უფრო მეტ ყურადღებას მითმობს.

8. საშუალოდ რამდენ დროს ატარებთ კერძო რეპეტიტორთან?

საათ-ნახევარს.

9. გიწევთ თუ არა გაკვეთილების გაცდენის ხარჯზე კერძო რეპეტიტორთან სიარული?

არა, სკოლის შემდეგ დავდიარ რეპეტიტორთან, ზოგჯერ შაბათ-კვირას.

10. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი აკადემიური მოსწრება?

საკმაოდ მაღალია, თავიდანაც არ მქონდა ცუდი აკადემიუეი მოსწრება, მაგრამ რეპეტიტორთან სიარულის შემდეგ უფრო გაიზარდა.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენს მოტივაციაზე?

არ უმოქმედია.

12. შემცირდა თუ არა თქვენი მოტიაცია მას შემდეგ რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

არა.

13. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ დამატებით მათთან მეცადინეობა?

არა.

14. როგორ ფიქრობთ რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

ვფიქრობ, უკვე აუცილებლობას წარმოადგენს მომზადება, ბევრს უჭირს მომზადების გარეშე გამოცდების ჩაბარება.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

ვფიქრობ, მოსწავლეთა 95% ემზადება.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

ვფიქრობ, დადებითია ის, რომ პირადად გიწევს რეპეტიტორთან კომუნიკაცია ამ დროს კი უფრო მობილიზებული ხარ. უარყოფითი - არ ვიცი.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

არა, ვინაიდან ეს მოსწავლის პირადი აზრია მოემზადება დამატებით თუ არა, დამატებითი მეცადინეობები უფრო გაამყარებს მოსწავლის ცოდნას.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

<u>ინტერვიუ #8</u>

სახელი: ხატია / ასაკი: 18 / კლასი: 12 / კერძო თუ საჯარო სკოლა: საჯარო

1. რამდენი ხანია ემზადებით კერძო რეპეტიტორთან? რამდენ საგანში?

მეორე სემესტრის განმავლობაში, სამ მასწავლებელთან.

2. რა მიზეზების გამო გადაწყვიტეთ რეპეტიტორთან სიარული?

არასაკმარისი ცოდნის გამო.

3. მასწავლებელი თქვენ შეარჩიეთ თუ მშობელმა?

მე შეარჩიე, კლასელმა მირჩია.

4. რა კრიტერიუმებით აარჩიეთ პედაგოგი?

ცოდნის დონით და ამ ცოდნის მოსწავლამდე მიტანის შესაძლებლობით.

5. როგორ მასწავლებელს ანიჭებთ უპირატესობას?

უნდა იყოს აქტიური, მომთხოვნი, მიზანმიმართული.

6. თქვენი რეპეტიტორი იგივე მასწავლებელია რომელიც იმავე საგანს გასწავლით სკოლაში?

არა.

7. განსხვავდება თუ არა რეპეტიტორის დამოკიდებულება სკოლის მასწავლებლის დამოკიდებულებისაგან სწავლების პროცესში?

ჩემს შემთხვევაში ძირითადად არა.

8. საშუალოდ რამდენ დროს ატარებთ კერძო რეპეტიტორთან?

დღეში საშუალოდ ორი საათი.

9. გიწევთ თუ არა გაკვეთილების გაცდენის ხარჯზე კერძო რეპეტიტორთან სიარული?

არა, რეპეტიტორთან გაკვეთილების შემდეგ დავდივარ.

10. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი აკადემიური მოსწრება?

აკადემიური მოსწრება ძირითადად მოსწავლის შრომისუნარიანობაზე და აზროვნების უნარზეა დამოკიდებული.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამუამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენს მოტივაციაზე?

ვალდებულების გრძნობა მომეხსნა, შესაბამისად მოვდუნდი.

12. შემცირდა თუ არა თქვენი მოტიაცია მას შემდეგ რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

კი, შემცირდა.

13. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ დამატებით მათთან მეცადინეობა?

მგონია, რომ ძირითადად მოსწავლის ბრალია.

14. როგორ თვიქრობთ რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

სკოლაში არასაკმარისი კვალიფიკაცია, დროის სიმცირე, მოსწავლეთა რაოდენობა, ზოგადი მენტალიტეტი.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

ძალიან მოთხოვნადია, ანაზღაურების გამო.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითი: მოსწავლე და მასწავლებელი უფრო მეტადაა კონცენტრირებული ცოდნის გაცემა-მიღებაზე, პასუხისმგებლობაც მეტად გააჩნიათ. უარყოფითი: მოსწავლე არ არის მოტივირებული საკმარისი ცოდნა მიიღოს სკოლაში ან თუნდაც თავისით, მასწავლებლებიც ნაკლებად არიან დაინტერესებული ამით.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

თუ არსებობს საჭიროება, რომ აუცილებელია რეპეტიტორთან მომზადება და შესაბამისად მოთხოვნაც არ უნდა შემცირდეს, მაგრამ მანამდე მოსწავლეებმა უნდა ეცადონ, რომ დამოუკიდებლად მიიღონ ცოდნა. ამასთანავე, ეს ყველაფერი დაკავშირებულია გარკვეულ თანხებთან, ამიტომ ამ გზას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მივმართოთ.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

სახელმწიფო ვალდებულია მოსწავლეს მისცეს შესაბამისი განათლება, ამისთვის საჭიროა სათანადო სიტუაცია სკოლაში. მოსწავლეც და მასწავლებელიც უნდა იაზრებდეს და ასრულებდეს მათ მოვალეობას, არა მოვალეობის მოხდის მიზნით, არამედ თავიანთი ინტერესების შესაბამისად. სკოლამ უნდა დაასაქმოს მხოლოდ კვალიფიცირებული

მასწავლებლები და მოსწავლეებსაც. სწავლის უფლება უნდა მისცენ მათი ინტერესებიდან გამომდინარე.

<u>ინტერვიუ #9</u>

სახელი: ბექა / ასაკი:18 / კლასი:12 / კერძო თუ საჯარო სკოლა: საჯარო

1. რამდენი ხანია ემზადებით კერძო რეპეტიტორთან? რამდენ საგანში?

6 თვე, ერონულების გამო ვემზადები, ამიტომ სამ საგანში.

2. რა მიზეზების გამო გადაწყვიტეთ რეპეტიტორთან სიარული?

გამოცდების ჩაბარების გამო.

3. მასწავლებელი თქვენ შეარჩიეთ თუ მშობელმა?

მშობელმა.

4. რა კრიტერიუმებით აარჩიეთ პედაგოგი?

ცოდნის და გამოცდილების მოხედვით.

5. როგორ მასწავლებელს ანიჭებთ უპირატესობას?

ენერგიულს, მცოდნეს და მომთხოვნს.

6. თქვენი რეპეტიტორი იგივე მასწავლებელია რომელიც იმავე საგანს გასწავლით სკოლაში?

არა.

7. განსხვავდება თუ არა რეპეტიტორის დამოკიდებულება სკოლის მასწავლებლის დამოკიდებულებისაგან სწავლების პროცესში?

კი რეპეტიტორი უფრო მომთხოვნია და ყურადღებიანი.

8. საშუალოდ რამდენ დროს ატარებთ კერძო რეპეტიტორთან?

დღის განმავლობაში 4 საათს დაახლოებით.

9. გიწევთ თუ არა გაკვეთილების გაცდენის ხარჯზე კერძო რეპეტიტორთან სიარული?

ზოგჯერ.

10. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი აკადემიური მოსწრება?

ეს დამოკიდებულია მათ შესაძლებლობებზე. არიან აბიტურიენტები, რომლებიც ვერ ახერხებენ რეპეტიტორთან სიარულს, თუმცა არ ჩამორჩებიან ცოდნით იმ კატეგორიას, რომლებიც ემზადებიან კერძო რეპეტიტორთან.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენს მოტივაციაზე?

დადებითად, ვინაიდან მთელი კონცენტრაცია გადავიტანე ეროვნულ გამოცდებზე. და იმ საგნებზე ფიქრი არ მიწევს, რომლებიც არ მჭირდება სამომავლოდ და რომელების მიმართაც არ მაქვს ინტერესი.

12. შემცირდა თუ არა თქვენი მოტიაცია მას შემდეგ რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

არა არ მოუხდენია ამას გავლენა. უბრალოდ ვალდებულებებისგან შედარებით გავთავისუფლდი.

13. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ დამატებით მათთან მეცადინეობა?

ალბათ ერთ ერთი მოტივატორი ანაზღაურებაა. თუმცა არის კატეგორიაც, რომლებსაც თავიანთი საქმე უყვართ და ეს ზეგავლენას არ ახდენს. მაგრამ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა ხშირად ხელს უშლის სასწავლო პროცესის სწორად განვითარებას.

14. როგორ ფიქრობთ რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

მეტი ცოდნის მიღება, ინდივიდუალური შრომა, უფრო ახლო კავშირი ვიდრე სკოლაში მასწავლებელთან ურთიერთობა.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

საკმაოდ, ვინაიდან ძალიან მცირე რაოდენობაა აბიტურიენტების, რომლებიც არ დადიან მოსამზადებლთან ერთ საგანში მაინც.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითი უფრო სრულყოფილად შეისწავლის საგანს, სხვადასხვა ფორმატით და კუთხით. არ ხარ მოქცეული რაღაც ჩარჩოებში, როგორც ეს გაკვეთილზე ხდება. გახსნილად და თამამად ითვისებ ახალ ინფორმაციას, რაც ხელს უწობს აგრეთვე სწრაფად და სწორად აზროვნებას.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

ვფიქრობ, რაც არ უნდა შეიცვალოს რეფორმა, რეპეტიტორის ინსტიტუტი მაინც იქნება და მას ყოველთვის ეყოლება მსურველი.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

ვერ გიპასუხებთ.

<u>ინტერვიუ #10</u>

სახელი: ლევანი / ასაკი: 17 / კლასი: 12 / კერძო თუ საჯარო სკოლა: საჯარო

1. რამდენი ხანია ემზადებით კერძო რეპეტიტორთან? რამდენ საგანში?

რეპეტიტორთან დაახლოებით 3 წელია ვემზადები მეათე კლასიდან. თავიდან 5 საგანში ვემზადებოდი, ახლა სამში.

2. რა მიზეზების გამო გადაწყვიტეთ რეპეტიტორთან სიარული?

უფრო მეტი, რომ მესწავლა. სკოლაში ვერ ვიღებდი კარგ ცოდნას, ახლა კიდევ გამოცდებისთვის ვემზადები, ეროვნულების ჩასაბარებლად.

3. მასწავლებელი თქვენ შეარჩიეთ თუ მშობელმა?

თავიდან მშობელმა შემირჩია, ახლა ერთი მასწავლებელი შევიცვალე, ის მეგობრების რჩევით შევარჩიე.

4. რა კრიტერიუმებით აარჩიეთ პედაგოგი?

საკუთარი საქმის კარგი მცოდნე უნდა ყოფილიყო და მოსწავლეებთან მეგობრული დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა.

5. როგორ მასწავლებელს ანიჭებთ უპირატესობას?

როგორც უკვე გითხარით, მეგობრული, პროფესიონალი, ენერგიული.

6. თქვენი რეპეტიტორი იგივე მასწავლებელია რომელიც იმავე საგანს გასწავლით სკოლაში?

არა, არცერთ ჩემს სკოლის მასწავლებელთან არ ვემზადები.

7. განსხვავდება თუ არა რეპეტიტორის დამოკიდებულება სკოლის მასწავლებლის დამოკიდებულებისაგან სწავლების პროცესში?

რა თქმა უნდა განსხვავდება, მასწავლებელი მაინც მასწავლებელია და მეტ სიმკაცრეს იჩენს, რაც ვფიქრობ ცუდია, მე ვფიქრობ, მასწავლებელი რაც უფრო მეგობრული და გახსნილი იქნება მოსწავლეც უფრო მოტივირებული იქნება, რომ კარგად ისწავლოს.

8. საშუალოდ რამდენ დროს ატარებთ კერძო რეპეტიტორთან?

კვირაში სამი დღე დავდივარ, საათ-ნახევარი.

9. გიწევთ თუ არა გაკვეთილების გაცდენის ხარჯზე კერძო რეპეტიტორთან სიარული?

არა, გაკვეთილების შემდეგ დავდივარ რეპეტიტორებთან. ერთი შემთხვევა იყო, როგა ავანაზღაურე რეპეტიტორთან გაცდენილი საათი, და სკოლის ერთი გაკვეთილი გავაცდინე მაგის გამო.

10. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი აკადემიური მოსწრება?

ნიშნებზე ნაკლებად ვფიქრობ, მთავარია ცოდნა. ამიტომ არ ვაკვირდები ხოლმე მაგას. ისე ცოდნის მხრივ კი გავიზარდე.

11. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენს მოტივაციაზე?

გამიხარდა, შესაბამისად ყურადღება და მოტივაცია გადავიტანე იმ საგნებზე, რომელიც ეროვნულებზე ჩასაბარებლად მჭირდება.

12. შემცირდა თუ არა თქვენი მოტიაცია მას შემდეგ რაც ე.წ კატის გამოცდები გაუქმდა?

როგორც ავღნიშნე, არა.

13. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ დამატებით მათთან მეცადინეობა?

შეიძლება ზოგიერთი მასწავლებელი ეგრეც იქცევა, სიმართლე გითხრათ არ ვიცი.

14. როგორ ფიქრობთ რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

პოპულარულია იმიტომ, რომ ჩვენგან მოდის მოთხოვნა. გვესაჭიროება მომზადება, იმისთვის, რომ გამოცდები ჩავაბაროთ. არ გვყოფნის სკოლაში მიღებული ცოდნა.

15. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

ძალიან მოთხოვნადია, მაგალითად ჩემი კლასიდან ვისაც არ უჭირს ყველა ემზადება, თან რამდენიმე საგანში.

16. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითად ვთვლი იმას, რომ რეპეტიტორთან უფრო თავისუფლად ხარ და სწავლაც უფრო მეტად გეხალისება, მეტი პასუხისმგებლობა გაქვს, კარგი დამოკიდებულება. უარყოფითია, ჩემი აზრით, რომ სკოლამ დაკარგა თავისი ფასი, და მშობლებს უწევთ ამდენი თანხების გადახდა.

17. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

კი, უნდა შემცირდეს. როცა სკოლა არის ცოდნის მიღების საშუალება, დამატებით რატომ უნდა გჭირდებოდეს მეცადინეობა და ფულის ხარჯვა.

18. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

სკოლებში მდგომარეობა უნდა შეიცვალოს, ახალგაზრდა და ენერგიული მასწავლებლები უნდა მოიყვანოს, გაკვეთილებიც უფრო სახალისო და საინტერესო იქნება და გაიზრდება ჩვენი მოტივაციაც.

<u>**დანართი #3**</u>

<u>**კითხვარი მშობლებისთვის:**</u>

სახელი:

ასაკი:

1. რამდენი ხანია ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან? რომელი კლასიდან?

2. რამდენ საგანში?

3. რამდენს უხდით საშუალოდ მასწავლებლებს კერძო გაკვეთილებისათვის?

4. რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ მასწავლებელი?

5. რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან?

6. რაში ხედავთ რეპეტიტორის შრომის შედეგს?

7. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი შვილის აკადემიური მოსწრება?

8. უწევთ თუ არა ბავშვებს საგაკვეთილო საათების ხარჯზე სიარული კერძო რეპეტიტორებთან?

9. თუ შეგქმნიათ რაიმე სახის პრობლემა სკოლის ადმინისტრაციასთან ამ საკითხთან დაკავშირებით?

10. რამდენად ხართ ჩართული თქვენი შვილის კერძო მასწალებელთან მზადების პროცესში?

11. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოტივირებულია თქვენი შვილი კერძო მასწავლებელთან სიარულით?

12. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ შვილის დამატებით კერძო რეპეტიტორთან მიყვანა?

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

14. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამუამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენი შვილის მოტივაციაზე?

15. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

16. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

17. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

18. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

19. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

<u>ინტერვიუ #1</u>

სახელი: ხათუნა / ასაკი: 30

1. რამდენი ხანია ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან? რომელი კლასიდან?

მეორე კლასიდან, უკვე სამი წელია.

2. რამდენ საგანში?

მათემატიკაში და ინგლისურში.

3. რამდენს უხდით საშუალოდ მასწავლებლებს კერძო გაკვეთილებისათვის?

თვეში 30 ლარს თითოეულ საგანში.

4. რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ მასწავლებელი?

ნაცნობის რჩევით.

5. რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან?

მე არ მაქვს დრო იმის, რომ სახლში ვამეცადინო, ამიტომ რომ არ ჩამორჩეს სასკოლო პროგრამას ვამზადებ რეპეტიტორთან.

6. რაში ხედავთ რეპეტიტორის შრომის შედეგს?

ცოდნის გაღრმავებაში.

7. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი შვილის აკადემიური მოსწრება?

რა თქმა უნდა გაიზარდა აკადემიური მოსწრება.

8. უწევთ თუ არა ბავშვებს საგაკვეთილო საათების ხარჯზე სიარული კერძო რეპეტიტორებთან?

არა, მხოლოდ საგაკვეთილო საათების შემდეგ დამყავს რეპეტიტორთან.

9. თუ შეგქმნიათ რაიმე სახის პრობლემა სკოლის ადმინისტრაციასთან ამ საკითხთან დაკავშირებით?

არა, არასდროს.

10. რამდენად ხართ ჩართული თქვენი შვილის კერძო მასწალებელთან მზადების პროცესში?

ყოველი ვიზიტის შემდეგ განვიხილავთ.

11. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოტივირებულია თქვენი შვილი კერძო მასწავლებელთან სიარულით?

მოტივაცია ნაკლები აქვს, მაგრამ ვუხსნი რომ ეს მისი მომავლისთვის საჭიროა.

12. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ შვილის დამატებით კერძო რეპეტიტორთან მიყვანა?

არა.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

კი.

14. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენი შვილის მოტივაციაზე?

ჯერ არ უმოქმედია, რადგან ბავშვი მეხუთე კლასშია და ჯერ ჰქონდა გაანალიზებული სამომავლო გამოცდები.

15. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

სკოლებში გადატვირთულია ბავშვთა რაოდენობა, მაგალითად ჩემი შვილის კლასში 26 მოსწავლეა, შესაბამისად ვერ ხერხდება მისი ყოველდღიური გამოცდა და ჩართულობა სასწავლო პროცესში.

16. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

ძალიან მოთხოვნადია.

17. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითი მხარეა ის, რომ რეპეტიტორი ინდივიდუალურად ამზადებს ბავშვებს, ხოლო უარყოფითს რაც შეეხება ფინანსური მხარეა.

18. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

კი, უნდა შემცირდეს.

19. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

სკოლამ უნდა შეძლოს ადეკვატური ცოდნის მიცემა, რათა ბავშვმა მოახერხოს გამოცდების ჩაბარება, და არ დასჭირდეს რეპეტიტორთან მზადება. სასკოლო პროგრამა უნდა იყოს რელევანტური ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

<u>ინტერვიუ #2</u>

სახელი: ნინო / ასაკი: 45

1. რამდენი ხანია ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან? რომელი კლასიდან?

ბოლო 1 წელია

2. რამდენ საგანში?

4 საგანში

3. რამდენს უხდით საშუალოდ მასწავლებლებს კერძო გაკვეთილებისათვის?

100 ლარი.

4. რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ მასწავლებელი?

ახლობლების რჩევით და პირადი გასაუბრებითაც.

5. რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან?

სკოლაში არ ისწავლება სათანადოდ, რომ ბავშვი მზად იყოს საგამოცდოდ.

6. რაში ხედავთ რეპეტიტორის შრომის შედეგს?

ინდივიდუალურად მუშაობს ბავშვთან, იცის რა სჭირდება რას მიაქციოს ყურადღება და უფრო სიღმისეულად განიხილავს მასალას.

7. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი შვილის აკადემიური მოსწრება?

ნუ არის კატეგორია მაღალია, არის კატეგორია დაბალი. რა თქმა უნდა მხოლოდ რეპეტიტორთან სიარულიც არ არის განმსაზღვრელი ფაქტორი. ნიჭიც და შრომისმოყვარეობაც საჭიროა.

8. უწევთ თუ არა ბავშვებს საგაკვეთილო საათების ხარჯზე სიარული კერძო რეპეტიტორებთან?

ჩემ შემთხვევაში არა. რადგან სკოლაშიც არის გაცდენებზე პრობლემა და აქედან გამომდინარე, რეპეტიტორთან მეცადინეობა სკოლის საათების გარეთ უწევს.

9. თუ შეგქმნიათ რაიმე სახის პრობლემა სკოლის ადმინისტრაციასთან ამ საკითხთან დაკავშირებით?

არა

10. რამდენად ხართ ჩართული თქვენი შვილის კერძო მასწალებელთან მზადების პროცესში?

საკმაოდ ვარ. ვცდილობ მქონდეს ხშირი კონტაქტი რეპეტიტორებთან.

11. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოტივირებულია თქვენი შვილი კერძო მასწავლებელთან სიარულით?

საკმაოდ მოტივირებულია.

12. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ შვილის დამატებით კერძო რეპეტიტორთან მიყვანა?

ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის თუმცა სხვა ბევრი მიზეზი არსებობს.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

არა, რადგან ეს ნებაყოფლობითია და არა იძულებითი.

14. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენი შვილის მოტივაციაზე?

ნაკლებად აქცევს ყურადღებას საგნებს, რომელიც არ შედის საგამოცდოდ ჩამონათვალში.

15. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

ზოგადად სკოლებში ერთ კლასში ბერი მოსწავლეა ხოლმე, ამიტომ თითოეულ მოსწავლეს ნაკლები ყურადღება ეთმობა.

16. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

იმდენად, რომ დღეს თითქმის ყველა აბიტურიენტი ემზადება და ამას გარდა უკვე ბავშვებს პირველი კლასიდან ამზადებენ.

17. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

რა თქმა უნდა უკეთესია არ სჭირდებოდეს ბავშვს კერძო რეპეტიტორი, თუმცა ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, გარდა დამატებითი ხარჯისა.

18. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

შემცირდეს რა თქმა უნდა რაც განათლების სისტემის გამართულობას მიუთითებს.

19. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს განათლების სამინისტრომ საჯარო სკოლებს. პედაგოგების კვალიფიკაციას. მოსწავლეთა რაოდენობას კლასში.

<u>ინტერვიუ #3</u>

სახელი: ლია / ასაკი: 38

1. რამდენი ხანია ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან? რომელი კლასიდან?

2 წელია, მეცხრე კლასიდან.

2. რამდენ საგანში?

სამ საგანში, იმ საგნებში რომელსაც ერონულ გამოცდებში აბარებს.

3. რამდენს უხდით საშუალოდ მასწავლებლებს კერძო გაკვეთილებისათვის?

100 ლარი, თითო საგანი.

4. რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ მასწავლებელი?

ახლობლების რჩევით და პირადი გასაუბრებითაც.

5. რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან?

სკოლაში არსებული სიტუაციის გამო. არ არის სათანადო სწავლება რაც საკმარისი იქნება გამოცდების ჩასაბარებლად

6. რაში ხედავთ რეპეტიტორის შრომის შედეგს?

უფრო პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს და არ აძლევს მოსწავლეს სიზარმაცის საშუალებას.

7. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი შვილის აკადემიური მოსწრება?

ეს იმდენად ინდივიდუალურია რთულია ამაზე ცალხაზად პასუხის გაცემა.

8. უწევთ თუ არა ბავშვებს საგაკვეთილო საათების ხარჯზე სიარული კერძო რეპეტიტორებთან?

იშვიათად, სკოლაში ძირითადად კონტროლდება დასწრება.

9. თუ შეგქმნიათ რაიმე სახის პრობლემა სკოლის ადმინისტრაციასთან ამ საკითხთან დაკავშირებით?

არის შემთხვევები, როდესაც არ სიამოვნებთ მასწავლებლებსაც, როდესაც მათ საგანში მოსწავლე დამატებით კერძოდ ემზადება.

10. რამდენად ხართ ჩართული თქვენი შვილის კერძო მასწალებელთან მზადების პროცესში?

მაქსიმალურად ვცდილობ ჩავერთო ამ პროცესში.

11. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოტივირებულია თქვენი შვილი კერძო მასწავლებელთან სიარულით?

იმაზე მეტად ვიდრე ეს სკოლაში იქნებოდა შესაძლებელი.

12. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ შვილის დამატებით კერძო რეპეტიტორთან მიყვანა?

ძალიან რთული და დამღლელია ასეთი საპასუხისმგებლო საქმის კეთება. მითუმეტეს თუ კლასში 30-მდე მოსწავლე გიზის და ანაზღაურება კი შეუსაბამოა.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

არა, ეს მხოლოდ განათლების სისტების შედეგია.

14. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამუამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენი შვილის მოტივაციაზე?

ერთის მხრივ კარგია, რადგან ასე ერთბაშად ამდენი გამოცდის ჩაბარება სტრესს იწვევს. თუმცა, მეორე მხრივ, ცუდია ინტერესს უკარგავს კონკრეტული საგნების მიმართ. ცვლილება შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ არა გაეუქმებინათ.

15. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

არასათანადო განათლების რეფორმა.

16. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

ძალიან მოთხოვნადია, ვინაიდან ასეთი სისტემის გამო იძულებულია ფაქტიურად მოსწავლე გაიღრმავოს ცოდნა კერძო რეპეტიტორთან.

17. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

ერთადერთი უარყოფითი რაც არის, ძალიან დიდ ხარჯებთანა არის დაკავშირებული.

18. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

ალბათ კი

19. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

სკოლებში შესაბამისი კადრების აყვანა. ანაზღაურების გაზრდა. მოსწავლეების შემცირება და დისციპლინის ჩამოყალიბება.

<u>ინტერვიუ #4</u>

სახელი: დალი / ასაკი: 41

1. რამდენი ხანია ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან? რომელი კლასიდან?

3 წელია ვამზადებ, მეათე კლასიდან.

2. რამდენ საგანში?

ოთხ საგანში.

3. რამდენს უხდით საშუალოდ მასწავლებლებს კერძო გაკვეთილებისათვის?

თვეში 500 ლარამდე დაახლოებით.

4. რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ მასწავლებელი?

ახლობლის რჩევით.

5. რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან?

რეპეტიტორი უფრო მეტს დროს უთმობს ინდივიდუალურად ბავშვს.

6. რაში ხედავთ რეპეტიტორის შრომის შედეგს?

ბავშვი უფრო მეტად შრომისმოყვარე გახდა და რა თქმა უნდა უფრო მეტად კონცენტრირებული გახდა სწავლებაზე, ასევე გაუმარტივდა საგნების დაძლევა.

7. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი შვილის აკადემიური მოსწრება?

ჩემი შვილის აკადემიური მოსწრება, რეპეტიტორთან სიარულის შემდეგ გაიზარდა.

8. უწევთ თუ არა ბავშვებს საგაკვეთილო საათების ხარჯზე სიარული კერძო რეპეტიტორებთან?

მხოლოდ გამონაკლის შემთვევებში, როცა გაცდენილი გაკვეთილის სანაცვლოდ მოხდა ამ გაკვეთილის ანაზღაურება.

9. თუ შეგქმნიათ რაიმე სახის პრობლემა სკოლის ადმინისტრაციასთან ამ საკითხთან დაკავშირებით?

არანაირი პრობლემა არ შემქმნია.

10. რამდენად ხართ ჩართული თქვენი შვილის კერძო მასწავლებელთან მზადების პროცესში?

ხშირად ვეკონტაქტები რეპეტიტორს და ვკითხულობ თუ რამდენად გაუმჯობესდა საწყის ეტაპთან შედარებით არსებული მდგომარეობა.

11. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოტივირებულია თქვენი შვილი კერძო მასწავლებელთან სიარულით?

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად იყო სიზარმაცის ნიშნები, გარკვეული დროის შემდეგ მოტივაცია შესამჩნევად გაიზარდა, რაშიც მასწალებლის წვლილი დიდია.

12. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ შვილის დამატებით კერძო რეპეტიტორთან მიყვანა?

არ ვიცი, შესაძლოა იყოს მსგავსი შემთხვევებიც, თუ მასწავლებელი და რეპეტიტორი ერთი და იგივე პირონებაა.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

გარკვეულ წილად კი, გამომდინარე იქედან, რომ ბავშვსაც და მშობელსაც აქვთ იმის იმედი, რომ სკოლის გარეთაც შესაძლებელია მსგავსი განათლების მიღება, რაც აკნინებს სკოლის როლს.

14. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამუამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენი შვილის მოტივაციაზე?

ჩემი შვილის მოტივაცია გაიზარდა, რადგან აღარ უწევს დროის ხარჯვა ისეთი საგნების სწავლაში, რომელიც არ სჭირდებოდა და აინტერესებდა.

15. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

თუნდაც საჯარო სკოლებში არსებული სიტუაცია განათლების მხრივ, თუნდაც აუდიტორიული მდგომარეობა.

16. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

მოთხოვნადია, გამოდინარე იქედან, რომ ბავშბეის უმრავლესობა ირჩევს რეპეტიტორთან ცალკე მომზადებას. თითქმის ყველა ერთ საგანში მაინც ემზადება.

17. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითი მხარე ის არის რომ ბავშვი მეტად კონცენტრირდება გარკვეულ საგანზე და იჩენს სწავლის მხრივ უფრო მეტ პასუხისმგებლობას. უარყოფითს რაც შეეხება, რეპეტიტორთან მომზადებას სჭირდება დამატებითი დრო და ხარჯები.

18. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

მასზე მოთხოვნა უნდა შემცირდეს რა თქმა უნდა სკოლებში განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე.

19. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

უნდა შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამები და გაუჯობესდეს განათლების ხარისხი.

<u>ინტერვიუ #5</u>

სახელი: შორენა / ასაკი: 36

1. რამდენი ხანია ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან? რომელი კლასიდან?

უკვე 2 წელია ვამზადებ, მე-11 კლასიდან.

2. რამდენ საგანში?

ამჟამად 4 საგანში, თუმცა წინა წელს სამ საგანში ვამზადებდი.

3. რამდენს უხდით საშუალოდ მასწავლებლებს კერძო გაკვეთილებისათვის?

წელიწადში საშუალოდ 3500 ლარს.

4. რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ მასწავლებელი?

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩემს შვილს საუკეთესო კარიერა ჰქონდეს, ამიტომ ქალაქში საუკეთესო რეპეტიტორებთან მივიყვანე. კრიტერიუმებს რაც შეეხება, ჩემთვის მთავარია მაქსიმალურად კარგი ცოდნა მისცეს როგორც საგანში, ასევე ზოგად განათლებაშიც. არ მინდა, მხოლოდ სასწავლო წიგნის ირგვლივ ტრიალებდნენ და ბავშვს ლოგიკური აზროვნების უნარი არ გააჩნდეს. დაზეპირებული სწავლით ის გამოცდებს მაღალი ქულებით ვერ ჩაბარებს. ვფიქრობ, ინდივიდუალური თუ ჯგუფური მეცადინეობით ის ისწავლის, რაოდენ დიდი როლი აქვს სოციუმში მის არსებობას და საერთოდაც, საკუთარი აზრის დაფიქსირებას, თუნდაც ეს სოციუმი ამჟამად მცირე წრით, თავისივე ჯგუფით შემოიფარგლებოდეს. მასწავლებლები, რომლებიც ცდილობენ ბავშვს ლოგიკური აზროვნების უნარი, თავდაჯერებულობა და ამასთანავე, კონკრეტული ცოდნა განუვითარონ, ჩემთვის საუკეთესო რეპეტიტორები არიან.

5. რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან?

ალბათ ყველასთვის ცნობილია, რომ საჯარო სკოლებში ბავშვს ძალიან მარტივად შეუძლია, არ ჩააბაროს ყოველდღიურად გაკვეთილები და თავი დაიძვრინოს, რადგან ბავშვების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია ყოველდღიურად იმის გაგება, თუ რა ცოდნა აქვს თითოეულ ბავშვს და რას ვერ იგებს. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ რეპეტიტორებთან მეცადინეობა ამ განათლების სისტემის გაუმართაობის ბრალია.

6. რაში ხედავთ რეპეტიტორის შრომის შედეგს?

ვხედავ, რომ ჩემი შვილი ყოველდღიურად ცდილობს მოამზადოს გაკვეთილი და ჩაერთოს ჯგუფურ სამუშაოებში. მას რცხვენია, რომ თუნდაც რამდენიმე დღე ზედიზედ თქვას - მე არ ვიცი. ამიტომაც, მუდმივად მეცადინეობს. ამასთანავე, რეპეტიტორები მას ესაუბრებიან

იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია განათლება და უნივერსიტეტში სწავლა იმისთვის, რომ ძლიერი და წარმატებული პიროვნება გახდეს. იყოს დამოუკიდებელი და შეძლოს საკუთარი მიზნების მიღწევა. ეს ძალიან დიდი შედეგია. ის ორმაგ ძალისხმევას დებს იმაში, რომ საუკეთესო ქულებით ჩაირიცხოს უნივერსიტეტში.

7. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი შვილის აკადემიური მოსწრება?

სიმართლე გითხრათ, რეპეტიტორებთან მეცადინეობების შემდეგ, ჩემი შვილის აკადემიური მოსწრება საგრძნობლად გაიზარდა. სკოლის მასწავლებლებიც ძალიან კმაყოფილები არიან, რადგან ერთ-ერთ ძლიერ მოსწავლედ თვლიან.

8. უწევთ თუ არა ბავშვებს საგაკვეთილო საათების ხარჯზე სიარული კერძო რეპეტიტორებთან?

მაქსიმალურად ვეცადე, რომ მეცადინეობები საგაკვეთილო პროცესის დროს არ ყოფილიყო. მართალია, ჩემი შვილისთვის საკმაოდ რთულია, რადგან სკოლის შემდეგ მუდმივად რეპეტიტორებთან დადის და ფაქტობრივად, მთელი დღე დაკავებულია, მაგრამ არ მინდოდა, რომ სკოლის საგაკვეთილო პროცესს ჩამორჩენოდა.

9. თუ შეგქმნიათ რაიმე სახის პრობლემა სკოლის ადმინისტრაციასთან ამ საკითხთან დაკავშირებით?

არა, პრობლემა არ შეგვქმნია.

10. რამდენად ხართ ჩართული თქვენი შვილის კერძო მასწალებელთან მზადების პროცესში?

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ვერ ვახერხებ, რომ ყოველდღიურად ვაკონტროლო მისი მეცადინეობები. თუმცა, ასეც რომ არ იყოს, ვფიქრობ, ის დამოუკიდებელი ადამიანია და თვითონვე უნდა აგოს პასუხი საკუთარ ქმედებებზე. რეპეტიტორებთან, რა თქმა უნდა, მაქვს კავშირი და რაიმე პრობლემის შემთხვევაში ისინი აუცილებლად შემატყობინებენ ამის შესახებ.

11. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოტივირებულია თქვენი შვილი კერძო მასწავლებელთან სიარულით?

მართალია, უკვე ძალიან სტრესულია ეს პერიოდი, რადგან გამოცდები ახლოვდება, თუმცა მოტივირებულია და ეს რეპეტიტორების დამსახურებაც არის.

12. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ შვილის დამატებით კერძო რეპეტიტორთან მიყვანა?

შეიძლება იყვნენ ასეთი მასწავლებლებიც, მაგრამ ისინი ძალიან ცოტა არიან. ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ მათთან ვამეცადინებ, რადგან საკმარის შედეგს ვერ ვხედავ

სკოლაში. შესაბამისად, არამგონია რომ ამის გაკეთება სჭირდებოდეთ. განსაკუთრებით იმ კონკურენციის პირობებში, რომელიც ჩვენს ქალაქშია. თუმცა არ არის გამორიცხული სხვა ვითარება იყოს რაიონებში, რადგან იქ საგნის მასწავლებლები არც ისე ბევრნი არიან.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

ვფიქრობ, რომ მოსწავლეს არ უნდა სჭირდებოდეს რეპეტიტორები და ამას სკოლა უნდა უზრუნველყოფდეს. თუმცა იმ პირობებში, რასაც განათლების სისტემა ჰქმნის თავისი ხარვეზებით, ფაქტობრივად შეუძლებელია რეპეტიტორების გარეშე შვილის მომზადება. რეპეტიტორთა ინსტიტუტი ნაწილობრივ იწვევს ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას, თუმცა ეს თვითონ განათლების სისტემის გაუმართაობის ბრალია ისევ და ისევ.

14. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამუამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენი შვილის მოტივაციაზე?

რეალურად, ჩვენი მთავარი მიზანი ეროვნულ გამოცდებში მაღალი ქულების აღებაა, ასე რომ სკოლის გამოცდების გაუქმებას მაინცდამაინც დიდი გავლენა არ მოუხდენია. უბრალოდ ცოტათი შეუმსუბუქა ბავშვებს ყოველდღიური დატვირთვა, მოტივაცია კი ისევ და ისევ იგივე დარჩა.

15. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

ის, რომ სკოლები ვერ უზრონველყოფენ შესაბამის განათლებას.

16. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

ამ პროფესია მოთხოვნა დიდია, თითეული ოჯახიდან ერთი ბავშვი მაინც ემზადება ერთ საგანში.

17. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითი მხარეა, რომ რეპეტიტორები მოსწავლეებს ინდივიდუალურად ამეცადინებენ და მუდმივად აკონტროლებენ, რომ რამე გაუგებარი არ დარჩეს. მათ მოტივაციაზეც განსაკუთრებით ზრუნავენ. უარყოფით მხარედ კი შეიძლება დიდი გადასახადები ჩაითვალოს. ასევე სკოლის 11-12 კლასის არსებობამ თავისი როლი დაკარგა და უბრალო ფორმალობად იქცა.

18. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

ჩემი აზრით, თუკი განათლების სისტემა თავის ხარვეზებს გამოასწორებს, ავტომალურად შემცირდება რეპეტიტორებზე მოთხოვნა, რადგან არავის აქვს დღეს

საქართველოში იმხელა ფინანსები, რომ რამდენიმე შვილს უპრობლემოდ ასწავლოს კერძო მასწავლებლებთან.

19. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

თითოეულ კლასში უნდა იყოს მაქსიმუმ 12-15 მოსწავლე. მასწავლებლების რაოდენობა უნდა გაიზარდოს ამ კლასების რაოდენობის გაზრდის გამო. ან არსებულ მასწავლებლებს ხელფასები უნდა გაუზარდონ, რათა მათ უფრო მეტი კლასი აიყვანონ. უნდა გაიზარდოს სკოლის ბიუჯეტები და უნდა გადაამზადონ მასწავლებლებიც. კვალიფიციური მასწავლებლების არსებობა მოაგვარებს ამ პრობლემას. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ, მოხუცი მასწავლებლები, რომელთაც ხათრით ვერ უშვებენ სკოლიდან. მათ არ შეუძლიათ ბავშვების დამორჩილება და შესაბამისად, მათთვის ცოდნის გადაცემა. სწორედ ამიტომაც სჭირდებათ მოსწავლეებს ხშირ შემთხვევაში რეპეტიტორებთან მომზადება. მოხუცი ან არაკვალიფიციური ახალგაზრდა მასწავლებლები ვერ ახერხებენ სწორად წარმართონ საგაკვეთილო პროცესი.

<u>**ინტერვიუ #6**</u>

სახელი: ნინო / ასაკი: 45

1. რამდენი ხანია ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან? რომელი კლასიდან?

ბოლო 1 წელია

2. რამდენ საგანში?

4 საგანში

3. რამდენს უხდით საშუალოდ მასწავლებლებს კერძო გაკვეთილებისათვის?

100 ლარი.

4. რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ მასწავლებელი?

ახლობლების რჩევით და პირადი გასაუბრებითაც.

5. რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან?

სკოლაში არ ისწავლება სათანადოდ, რომ ბავშვი მზად იყოს საგამოცდოდ.

6. რაში ხედავთ რეპეტიტორის შრომის შედეგს?

ინდივიდუალურად მუშაობს ბავშვთან, იცის რა სჭირდება რას მიაქციოს ყურადღება და უფრო სიღმისეულად განიხილავს მასალას.

7. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი შვილის აკადემიური მოსწრება?

ნუ არის კატეგორია მაღალია, არის კატეგორია დაბალი. რა თქმა უნდა მხოლოდ რეპეტიტორთან სიარულიც არ არის განმსაზღვრელი ფაქტორი. ნიჭიც და შრომისმოყვარეობაც საჭიროა.

8. უწევთ თუ არა ბავშვებს საგაკვეთილო საათების ხარჯზე სიარული კერძო რეპეტიტორებთან?

ჩემ შემთხვევაში არა. რადგან სკოლაშიც არის გაცდენებზე პრობლემა და აქედან გამომდინარე, რეპეტიტორთან მეცადინეობა სკოლის საათების გარეთ უწევს.

9. თუ შეგქმნიათ რაიმე სახის პრობლემა სკოლის ადმინისტრაციასთან ამ საკითხთან დაკავშირებით?

არა

10. რამდენად ხართ ჩართული თქვენი შვილის კერძო მასწალებელთან მზადების პროცესში?

საკმაოდ ვარ. ვცდილობ მქონდეს ხშირი კონტაქტი რეპეტიტორებთან.

11. როგორ თვიქრობთ, რამდენად მოტივირებულია თქვენი შვილი კერძო მასწავლებელთან სიარულით?

საკმაოდ მოტივირებულია.

12. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ შვილის დამატებით კერძო რეპეტიტორთან მიყვანა?

ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის თუმცა სხვა ბევრი მიზეზი არსებობს.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

არა, რადგან ეს ნებაყოფლობითია და არა იძულებითი.

14. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამუამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენი შვილის მოტივაციაზე?

ნაკლებად აქცევს ყურადღებას საგნებს, რომელიც არ შედის საგამოცდოდ ჩამონათვალში.

15. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

ზოგადად სკოლებში ერთ კლასში ბერი მოსწავლეა ხოლმე, ამიტომ თითოეულ მოსწავლეს ნაკლები ყურადღება ეთმობა.

16. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

იმდენად, რომ დღეს თითქმის ყველა აბიტურიენტი ემზადება და ამას გარდა უკვე ბავშვებს პირველი კლასიდან ამზადებენ.

17. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

რა თქმა უნდა უკეთესია არ სჭირდებოდეს ბავშვს კერძო რეპეტიტორი, თუმცა ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, გარდა დამატებითი ხარჯისა.

18. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

შემცირდეს რა თქმა უნდა რაც განათლების სისტემის გამართულობას მიუთითებს.

19. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს განათლების სამინისტრომ საჯარო სკოლებს. პედაგოგების კვალიფიკაციას. მოსწავლეთა რაოდენობას კლასში.

<u>ინტერვიუ #7</u>

სახელი: თამარი / ასაკი: 38

1. რამდენი ხანია ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან? რომელი კლასიდან?

მეოთხე კლასშია ჩემი შვილი და დამყავს ინგლისურში რეპეტიტორთან, წელს დავიწყეთ.

2. რამდენ საგანში?

ერთ საგანში.

3. რამდენს უხდით საშუალოდ მასწავლებლებს კერძო გაკვეთილებისათვის?

30 ლარს.

4. რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ მასწავლებელი?

ჩემი შვილის საგნის მასწავლებელი იყო.

5. რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან?

ცოტა გაუჭირდა უცხო ენის ათვისება და გადავწყვიტე კერძოდ დახმარებოდა მასწავლებელი.

6. რაში ხედავთ რეპეტიტორის შრომის შედეგს?

რეპეტიტორმა აღმოფხვრა ყველა ის სიძნელე, რასაც აწყდებოდა ბავშვი.

7. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი შვილის აკადემიური მოსწრება?

უკვე საკმაოდ მაღალი.

8. უწევთ თუ არა ბავშვებს საგაკვეთილო საათების ხარჯზე სიარული კერძო რეპეტიტორებთან?

არა, რა თქმა უნდა. გაკეთილების შემდეგ დამყავს.

9. თუ შეგქმნიათ რაიმე სახის პრობლემა სკოლის ადმინისტრაციასთან ამ საკითხთან დაკავშირებით?

არა.

10. რამდენად ხართ ჩართული თქვენი შვილის კერძო მასწალებელთან მზადების პროცესში?

ყოველთვის ჩართული ვარ, მე თვითონ დამყავს რეპეტიტორთან და შესაბამისად ხშირი კონტაქტი მაქვს.

11. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოტივირებულია თქვენი შვილი კერძო მასწავლებელთან სიარულით?

მოსწონს ძალიან და უფრო მოტივირებულია.

12. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ შვილის დამატებით კერძო რეპეტიტორთან მიყვანა?

არა, ყველა მასწავლებელი ცდილობს ბავშვთან იმუშაოს და მიიღოს კარგი შედეგი. მაგრამ ზოგჯერ ისე ხდება, რომ ბავშვი რაღაც საკითხებში საჭიროებს დახმარებას და დამატებით მეცადინეობას.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

ჩემი აზრით არა.

14. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამუამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენი შვილის მოტივაციაზე?

ჩვენს შემთხვევაში არ უმოქმედია, მაგრამ მე პირადად არ მომწონს გამოცდების გაუქმება, ვთვლი რომ ამით შემცირდება ბავშვების დამოკიდებულება ამ საგნებისადმი.

15. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

ის, რომ სკოლაში არ არის სათანადო სწავლა, რამაც წინა პლანზე წამოწია ამ ინსტიტუტის საქმიანობა.

16. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

დღეს უკვე ძალიან მოთხოვნადია. ვისაც ვიცნობ, ჩემს გარშემო ყველა ემზადება. უკვე ისეთი დამოკიდებულებაა, თითქოს მაგის გარეშე გამოცდებს ვერ ჩაბარებენ.

17. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დადებითი ისაა, რომ ბავშვი რეპეტიტორთან სიარულით იღებს მეტ ცოდნას. უარყოფითი ისაა, რომ ზედმეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ყველას არ აქვს აიმს შესაძლებლობა.

18. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

არა, არ უნდა შემცირდეს, რადგან ყოველთვის არიან ისეთი ბავშვები, რომელთან არ ჰყოფნით საგაკვეთილო დრო, იმისთვის რომ დაძლიოს მათთვის გათვალისწინებული პროგრამა. რეპეტიტორთან დამატებით მეცადინეობით კი შეძლებს აღმოფხვრას ხარვეზი.

19. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

სახელმწიფომ არ უნდა შეუშალოს ხელი რეპეტიტორებს.

<u>ინტერვიუ #8</u>

სახელი: თამუნა / ასაკი: 43

1. რამდენი ხანია ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან? რომელი კლასიდან?

კერძო რეპეტიტორთან უკვე რამდენიმე წელია ვამზადებ ბავშვებს.

2. რამდენ საგანში?

მეხუთე კლასელ შვილს მხოლოდ ინგლისურში, მეორე აბიტურიენტია და შესაბამისად გამოცდებისთვის საჭირო ყველა საგანში.

3. რამდენს უხდით საშუალოდ მასწავლებლებს კერძო გაკვეთილებისათვის?

საკმაოდ ბევრი მეხარჯება ყოველთვიურად, 600 ლარამდე.

4. რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ მასწავლებელი?

ჩემი მეგობარი ამზადებდა თავის შვილს რეპეტიტორებთან, კმაყოფილი იყო, და თვითონ მირჩია.

5. რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან?

პატარას ინგლისურში დამატებით ვამზადებ, ცოტა გაუჭირდა სკოლაში და ჩამორჩა სკოლის პროგრამას, ხოლო აბიტურიენტს რა თქმა უნდა გამოცდებისთვის.

6. რაში ხედავთ რეპეტიტორის შრომის შედეგს?

შედეგი არის ის, რომ დამატებით მეტ ცოდნას იღებენ, და უფრო მეტ შედეგს დაინახავ თუ გამოცდებს წარმატებით ჩააბარებენ.

7. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი შვილის აკადემიური მოსწრება?

რეპეტიტორთან სიარულის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა აკადემიური მოსწრება, რთულია სხვებს შეადარო, მთავარია თვითონ თავისი შედეგი გააუმჯობესა.

8. უწევთ თუ არა ბავშვებს საგაკვეთილო საათების ხარჯზე სიარული კერძო რეპეტიტორებთან?

არა, მხოლოდ გაკვეთილების შემდეგ, არ ვაძლევ უფლებას რომ სკოლა გააცდინონ.

9. თუ შეგქმნიათ რაიმე სახის პრობლემა სკოლის ადმინისტრაციასთან ამ საკითხთან დაკავშირებით?

არა, არასდროს, იგივე სკოლის მასწავლებლებთან არ ვამზადებ, შესაბამისად არ ეხებათ მათ ეს საკითხი.

10. რამდენად ხართ ჩართული თქვენი შვილის კერძო მასწალებელთან მზადების პროცესში?

ყოველთვის ვაქტიურობ ხოლმე მაგ საკითხში, თვითონ რეპეტიტორებიც ჩართული არიან, ხშირად ვეკონტაქტებით ერთმანეთს და მაცნობენ ხოლმე არსებულ სიტუაციას, და მეც შესაბამისად ვმოქმედებ.

11. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოტივირებულია თქვენი შვილი კერძო მასწავლებელთან სიარულით?

სიმართლე გითხრათ, სკოლაზე მეტ მოტივაციას, რეპეტიტორთან იჩენენ, რეპეტიტორიც დადებითი და მეგობრული პირონებაა, ალბათ ესეც განაპირობებს.

12. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ შვილის დამატებით კერძო რეპეტიტორთან მიყვანა?

არა, არ ვფიქრობ ეგრე, ძირითადად იგივე მასწავლებლებთან არ ემზადებიან ხოლმე და ამიტომ რატომ უნდა მოიქცნენ მასე.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

რა თქმა უნდა, იწვევს და ძალიან არ მომწონს ეგ ფაქტი, სკოლა თავის ფუნქციას კარგავს თანდათან.

14. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამუამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენი შვილის მოტივაციაზე?

მთელი ყურადღება გადაიტანა ეროვნულ გამოცდებზე, სტრესიც მოეხსნა. ამიტომ, გამოცდების გაუქმების ხარჯზე, სხვა საგნების მიმართ მოტივაცია გაიაზრდა.

15. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

მახასიათებლები არ ვიცი, მაგრამ სკოლა ვერ უზრუნელყოფს სათანადო სწავლებას, და ამიტომ „გაპოპულარულდა“ ეს ინსტიტუტიც. თუნდაც კლასებში არსებული მოსწავლეთა დიდი რაოდენობა, მასწავლებლების დაბალი ხელფასები და ა.შ.

16. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

ძალიან მოთხოვნადია. მგონი აღარ არსებობს მოსწალე, რომელსაც არ ამზადებენ.

17. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

როცა ადამიანი დამატებით ცოდნას იღებ, რა თქმა უნდა კარგი და დადებითი ფაქტორია, მაგრამ ამავდროულად უარყოფითია, რადგან დამატებით დროს ართმევს მოსწავლეს, რაც შეიძლება რომ დასვენებას და გართობას მოახმაროს, ასევე ხარჯები რა თქმა უნდა.

18. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

კი, უნდა შემცირდეს, მაგრამ ვფიქრობ რაღაც კუთხით მაინც უნდა არსებობდეს, ვისაც მართლა სჭირდება დამატებით მეცადინეობა.

19. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

სახელმწიფომ, პირველ რიგში, უნდა დააფასოს მასწალებლის პროფესია და მათი შრომა, უნდა გაუზარდოს ხელფასები. კლასებში უნდა შემცირდეს მოსწალეთა რაოდენობები, მაქსიმუმ 10 მოსწავლე რომ იყოს ერთ კლასში.

<u>ინტერვიუ #9</u>

სახელი: შორენა / ასაკი: 42

1. რამდენი ხანია ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან? რომელი კლასიდან?

მეორე წელია. მომზადება დავიწყეთ მეთერთმეტე კლასში.

2. რამდენ საგანში?

4 საგანში: ქართული, ინგლისური, ქიმია, მათემატიკა.

3. რამდენს უხდით საშუალოდ მასწავლებლებს კერძო გაკვეთილებისათვის?

ქიმიაში ერთიანად გადავიხადეთ 1000 ლარი. დანარჩენები თვეში 320 ლარი გვიჯდება.

4. რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ მასწავლებელი?

წინა წლების მაჩვენებლებით მათ საუკეთესო მოსწავლეები ჰყავდათ. ჩემი უფროსი შვილიც მათთან ემზადებოდა და კმაყოფილი ვიყავი.

5. რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან?

კლასში 35 მოსწავლეა, შესაბამისად, ვფიქრობ, საკმარის ყურადღებას ვერ უთმობს მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს. ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად კი გადავწყვიტეთ კერძოდ გვევლო იმ მასწავლებლებთან, რომლის შესაძლებლობები ვიცოდით.

6. რაში ხედავთ რეპეტიტორის შრომის შედეგს?

რეპეტიტორთან სიარულის შემდეგ ბევრად გაუმჯობესდა ჩემი შვილის აკადემიური მოსწრება და გაიზარდა ცოდნის დონე, უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება სწავლას.

7. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი შვილის აკადემიური მოსწრება?

საკმაოდ კარგი მოსწავლეა ჩემი შვილი. კლასში ერთ-ერთი წამყვანი. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ვინ არ ემზადება. მე ვინც ვიცი ყველა ემზადება, მათ შორის უმეტესობა ჩემი შვილის მასწავლებლებთან.

8. უწევთ თუ არა ბავშვებს საგაკვეთილო საათების ხარჯზე სიარული კერძო რეპეტიტორებთან?

კი, რადგან ქიმიის ჯგუფები გადავსებული იყო, მოგვიწია დილის საათებში აგვერჩია. დანარჩენ შემთხვევაში გაკვეთილების შემდეგ დადის.

9. თუ შეგქმნიათ რაიმე სახის პრობლემა სკოლის ადმინისტრაციასთან ამ საკითხთან დაკავშირებით?

რამდენიმე თვეა დირექციამ მოითხოვა ინტენსიური სიარული გაკვეთილებზე. თავდაპირველად, გაცდენები პრობლემა არ იყო, მაგრამ მერე დაგვიკავშირდნენ და გვითხრეს, რომ თუ ბევრი გაცდენა გვექნებოდა ატესტატს ვერ ავიღებდით.

10. რამდენად ხართ ჩართული თქვენი შვილის კერძო მასწალებელთან მზადების პროცესში?

მასწავლებელი ყოველთვის მატყობინებს, როდის არ იცოდა გაკვეთილი ჩემმა შვილმა ან თუ გააცდინა რაიმე მიზეზის გამო. მეც ვცდილობ ხშირად დავუკავშირდე და ვიკითხო ჩემი შვილის ამბები.

11. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოტივირებულია თქვენი შვილი კერძო მასწავლებელთან სიარულით?

ვფიქრობ, ძალიან. საკუთარი ინიციატივით დაიწყო მასწავლებლებთან სიარული. არც მანამდე ყოფილა ცუდი მოსწავლე, მაგრამ ახლა განსაკუთრებით ბევრს მეცადინეობს.

12. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ შვილის დამატებით კერძო რეპეტიტორთან მიყვანა?

არა. ძალიან კარგი მასწავლებლებია ჩვენ სკოლაში. ბავშვებსაც კარგი ნიშნები აქვთ.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

კორუმპირებაში მაღალი გადასახადები თუ იგულისხმება კი. სკოლაში რომ იყოს გახანგრძლივებული კლასები ეგ უკეთესი იქნებოდა.

14. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენი შვილის მოტივაციაზე?

ვფიქრობ, დიდად არ უმოქმედია. ისევ დადის მასწავლებლებთან და ისევ მეცადინეობს დამოუკიდებლად.

15. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

ტენდენცია, რომ თუ არ ემზადება ბავშვი მასწავლებელთან ის კლასშიც ვერ იქნება საუკეთესო. ვინც ემზადება მას ყოველთვის უფრო მაღალი ქულები აქვს.

16. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

ძალიან მოთხოვნადია. მე ორი შვილის დედა ვარ და უკვე ოთხი წელია მჭირდება, ასევე არიან ჩემი მეგობრებიც. ყველას გვყავს თითო რეპეტიტორი მაინც აყვანილი.

17. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

უარყოფითია მაღალი გადასახადი. დადებითია წარმატებული სასწავლო პროცესი. გამოცდების მარტივად ჩაბარება. დამატებითი განათლების მიღება.

18. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

არამგონია მოთხოვნის შემცირებამ კარგი შედეგები მოიტანოს. ნამდვილად საჭირო პროფესიაა და ეხმარება ჩვენ შვილებს წარმატებულად დაძლიონ გამოცდები.

19. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

უნდა შეიქმნას გახანგრძლივებული კლასები ყველასთვის და ამაზე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ.

<u>ინტერვიუ #10</u>

სახელი: თამუნა / ასაკი: 43

1. რამდენი ხანია ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან? რომელი კლასიდან?

კერძო რეპეტიტორთან უკვე რამდენიმე წელია ვამზადებ ბავშვებს.

2. რამდენ საგანში?

მეხუთე კლასელ შვილს მხოლოდ ინგლისურში, მეორე აბიტურიენტია და შესაბამისად გამოცდებისთვის საჭირო ყველა საგანში.

3. რამდენს უხდით საშუალოდ მასწავლებლებს კერძო გაკვეთილებისათვის?

საკმაოდ ბევრი მეხარჯება ყოველთვიურად, 600 ლარამდე.

4. რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ მასწავლებელი?

ჩემი მეგობარი ამზადებდა თავის შვილს რეპეტიტორებთან, კმაყოფილი იყო, და თვითონ მირჩია.

5. რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ამზადებთ ბავშვს კერძო რეპეტიტორთან?

პატარას ინგლისურში დამატებით ვამზადებ, ცოტა გაუჭირდა სკოლაში და ჩამორჩა სკოლის პროგრამას, ხოლო აბიტურიენტს რა თქმა უნდა გამოცდებისთვის.

6. რაში ხედავთ რეპეტიტორის შრომის შედეგს?

შედეგი არის ის, რომ დამატებით მეტ ცოდნას იღებენ, და უფრო მეტ შედეგს დაინახავ თუ გამოცდებს წარმატებით ჩაბარებენ.

7. იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც არ დადიან რეპეტიტორებთან, რამდენად მაღალია თქვენი შვილის აკადემიური მოსწრება?

რეპეტიტორთან სიარულის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა აკადემიური მოსწრება, რთულია სხვებს შეადარო, მთავარია თვითონ თავისი შედეგი გააუმჯობესა.

8. უწევთ თუ არა ბავშვებს საგაკვეთილო საათების ხარჯზე სიარული კერძო რეპეტიტორებთან?

არა, მხოლოდ გაკვეთილების შემდეგ, არ ვაძლევ უფლებას რომ სკოლა გააცდინონ.

9. თუ შეგქმნიათ რაიმე სახის პრობლემა სკოლის ადმინისტრაციასთან ამ საკითხთან დაკავშირებით?

არა, არასდროს, იგივე სკოლის მასწავლებლებთან არ ვამზადებ, შესაბამისად არ ეხებათ მათ ეს საკითხი.

10. რამდენად ხართ ჩართული თქვენი შვილის კერძო მასწალებელთან მზადების პროცესში?

ყოველთვის ვაქტიურობ ხოლმე მაგ საკითხში, თვითონ რეპეტიტორებიც ჩართული არიან, ხშირად ვეკონტაქტებით ერთმანეთს და მაცნობენ ხოლმე არსებულ სიტუაციას, და მეც შესაბამისად ვმოქმედებ.

11. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოტივირებულია თქვენი შვილი კერძო მასწავლებელთან სიარულით?

სიმართლე გითხრათ, სკოლაზე მეტ მოტივაციას, რეპეტიტორთან იჩენენ, რეპეტიტორიც დადებითი და მეგობრული პირონებაა, ალბათ ესეც განაპირობებს.

12. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით არ ასწავლიან სკოლაში სათანადოდ და ამიტომ გიწევთ შვილის დამატებით კერძო რეპეტიტორთან მიყვანა?

არა, არ ვფიქრობ ეგრე, ძირითადად იგივე მასწავლებლებთან არ ემზადებიან ხოლმე და ამიტომ რატომ უნდა მოიქცნენ მასე.

13. იწვევს თუ არა ის (რეპეტიტორთა ინსტიტუტი) ძირითადი განათლების სისტემის კორუმპირებას სხვადასხვა გზით?

რა თქმა უნდა, იწვევს და ძალიან არ მომწონს ეგ ფაქტი, სკოლა თავის ფუნქციას კარგავს თანდათან.

14. საგანმანათლებლო პროცესში მიმდინარე ამჟამინდელმა პროცესებმა (გამოცდების გაუქმება), რამდენად იმოქმედა თქვენი შვილის მოტივაციაზე?

მთელი ყურადღება გადაიტანა ეროვნულ გამოცდებზე, სტრესიც მოეხსნა. ამიტომ, გამოცდების გაუქმების ხარჯზე, სხვა საგნების მიმართ მოტივაცია გაიაზრდა.

15. თქვენი აზრით, ფორმალური განათლების რა მახასიათებლები განაპირობებს რეპეტიტორთა ინსტიტუტის პოპულარობას?

მახასიათებლები არ ვიცი, მაგრამ სკოლა ვერ უზრუნელყოფს სათანადო სწავლებას, და ამიტომ „გაპოპულარულდა“ ეს ინსტიტუტიც. თუნდაც კლასებში არსებული მოსწავლეთა დიდი რაოდენობა, მასწავლებლების დაბალი ხელფასები და ა.შ.

16. თქვენი აზრით, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია დღეს საქართველოში?

ძალიან მოთხოვნადია. მგონი აღარ არსებობს მოსწალე, რომელსაც არ ამზადებენ.

17. დაასახელეთ კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

როცა ადამიანი დამატებით ცოდნას იღებ, რა თქმა უნდა კარგი და დადებითი ფაქტორია, მაგრამ ამავდროულად უარყოფითია, რადგან დამატებით დროს ართმევს მოსწავლეს, რაც შეიძლება რომ დასვენებას და გართობას მოახმაროს, ასევე ხარჯები რა თქმა უნდა.

18. თქვენი აზრით, უნდა შემცირდეს თუ არა მასზე მოთხოვნა? თუ არა რატომ?

კი, უნდა შემცირდეს, მაგრამ ვფიქრობ რაღაც კუთხით მაინც უნდა არსებობდეს, ვისაც მართლა სჭირდება დამატებით მეცადინეობა.

19. თუ კი, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესამცირებლად.

სახელმწიფომ, პირველ რიგში, უნდა დააფასოს მასწალებლის პროფესია და მათი შრომა, უნდა გაუზარდოს ხელფასები. კლასებში უნდა შემცირდეს მოსწალეთა რაოდენობები, მაქსიმუმ 10 მოსწავლე რომ იყოს ერთ კლასში.